

675-75
2005

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
THE ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

პ რ ो ც ე ე დ ი ნ გ ს
И З В Е С Т И Я

ეკონომიკის სერია
ECONOMIC SERIES
СЕРИЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ



გვ. 30
VOLUME 13
TOM

2005 № 3-4

თბილისი * TBILISI * ТБИЛИСИ

მთავარი რედაქტორი
3. პაპავა

სარედაქციო კოლეგია

რ. აბესაძე, თ. აქუბარდია, თ. ბერიძე, მ. დაბროვსკი (პოლონეთი), ა. თეთრაული, მ. ქაჯულია, ა. გურაბაშვილი, ა. კრედისოვი (უკრაინა), კ. ისმაილოვი (აზერბაიჯანი), კ. მაუ (რუსთავი), ი. მესხია, კ. მიკულისკი (რუსთავი), ნ. აპიჯაძე, კ. პოტელი (ბელგია), ზ. სამედ-ზაფუ (აზერბაიჯანი), ა. სილაგაძე, შ. ტაბარა (იაპონია), ჯ. ტერესტრომი (აშშ), ა. ფილიპენკო (უკრაინა), თ. ჩიკავაძე, ლ. ჩიკავა, გ. ტეტრაული (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნ. ჭითანავა, მ. ჯიბუთი, ლ. ყორდანაშვილი.

EDITOR-IN-CHIEF

V. PAPAVA

EDITORIAL BOARD

R. Abesadze, T. Akubardia, T. Beridze, L. Chikava, T. Chikvaidze, N. Chitanava, A. Filipenko (The Ukraine), M. Djibuti, M. Dabrowski (Poland), E. Ismailov (Azerbaijan), M. Kakulia, L. Korbanashvili, A. Kuratashvili, A. Kredisov (The Ukraine), V. Mau (Russia), I. Meskhia, K. Mikulski (Russia), N. Paichadze, C. Potelle (Belgium), Z. Samed-Zade (Azerbaijan), A. Silagadze, Sh. Tabata (Japan), J. Tedstrom (USA), A. Tetrauli, G. Tsereteli (Deputy Editor-in-Chief).

ГЛАВНЫЙ РЕДАКТОР
В. ПАПАВА

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Р. Абесадзе, Т. Акубардия, Т. Беридзе, М. Дабровски (Польша), М. Джибути, М. Какулия, А. Кураташвили, Л. Корбанашвили, А. Кредисов (Украина), Э. Исмаилов (Азербайджан), В. Май (Россия), Я. Месхия, К. Микульский (Россия), Н. Паичадзе, К. Потель (Белгия), З. Самед-заде (Азербайджан), А. Силагадзе, Ш. Табата (Япония), Дж. Тедстром (США), А. Тетраули, А. Филипенко (Украина), Г. Церетели (зам. главного редактора), Л. Чикава, Т. Чиквайдзе, Н. Читанава.

0105, თბილისი, ქიქოძის 14, საქართველოს მცხინვებათა აკადემიის
3. გუბუშვილის სახელობის ექიმობის ინსტიტუტი
ტელ: (995-32) 996-853, ფაქსი: (995-32) 998-389

P. Gugushvili Institute of Economics, The Academy of Sciences of Georgia,
14, Kikodze street, Tbilisi, 0105, Georgia
Tel: (995-32) 996-853, Fax: (995-32) 998-389

Институт Экономики им. П. Гугушвили АН Грузии,
ул. Кикодзе, 14, Тбилиси, 0105, Грузия
тел: (995-32) 996-853, факс: (995-32) 998-389

E-mail: papavavladi@gsis.org; [papavavladi@yahoo.com](mailto:papavavladi@ yahoo.com)
<http://georgia-gateway.org/matsne/>

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
THE ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

გ ა გ ხ ე
P R O C E E D I N G S
И З В Е С Т И Я

ეკონომიკის სერია
ECONOMIC SERIES
СЕРИЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ

ტომი
VOLUME 13
TOM
№3-4

ქურნალი დაარსდა 1992 წლის ოქტომბერში
The journal is established in October, 1992
Журнал основан в октябре 1992 г.

გამოდის წელიწადში 4-ჯერ
The journal is published 4 times a year
Выходит 4 раза в год

თბილისი “ვეცნიერება”
TBILISI “METSNIEREBĀ”
ТБИЛИСИ «МЕЦНИЕРЕБА»

2005



გოორგე წერეთველი, ნანა ბიბილაშვილი პოსტკომუნისტურ ქვეყანაში, მარძოდ საქართველოში ინდიკატური დაგეგმვის ხისტემის ფრექვონციების თვირთველი ასექტები	6
ომარ შურლააბ მეორენობრიობის ქართველი ტრადიციები და ეროვნული მუურნეობრივი ფსიქოლოგიის ძირითადი ნიშნები (ისტორიულ-ეკონომიკური და სიცოლოგიური ასექტები)	40
გოორგე ამავა მპრონიმიკური პარალეგიზმების დალგვევისათვის.	52
გოორგე წერეთველი, ნანა ბიბილაშვილი პოსტსაბჭოთა სურიოვში სამრაობების შედეგად დაკარგული ტერიტორიული გამორჩევების დამსრულების კონტინუური სტანდარტებისა და მისი რეგიონების (აფხაზეთის, სამხრეთ ისტორიის) მაგალითებზე	63
* * *	
აქთანდილ სულეაბერიძე, მარინა დემეტრაშვილი, ვანო შემშეაკაშვილი მოსახუებების აღწამების უახლესი ტიპის შორის გარდამაცილი კერძოდი საფრთველოში	70
ოური ანანიაშვილი, ნოდარ ხალური, დავით თოლიურიშვილი, ნილარ ულუმბერაშვილი საქორთველოს რენიზეზის საჯარისუაციო დანახარჯებისა და თვითოდროებულების ანალიზი.	80
ნურუ ქისტაური დაბერძნისარებული ფაქტორები ექთნომიკური ანალიზის მეთოდელოგიის ზოგიერთი ასპექტი	99
გოორგე წერეთველი, იზა ნაიულაური, ნანა ბიბილაშვილი საქართველოსა და რუსეთის ქვითომიკური თანამშრომლობის ხაյოთები.	107

CONTENTS

Giorgi Tsereteli, Nana Bibilashvili The Theoretical Aspects of Functioning of Indicative Planning System in Postcommunist Countries, Particularly in Georgia	6
Omar Shurgia Peculiarities of Economic and Basic Signs of Economic Psychology in Georgia (Historical-Economic and Sociological Aspects)	40
Giorgi Papava Concerning the Overcoming of Economic Paralogisms	52
Giorgi Tsereteli, Nana Bibilashvili Economic Incentives of Returning the Territories Lost as a Result of Separative Movements in Postsoviet Period after the Example of Georgia and its Regions (Abkhazia, South Ossetia)	63

* * *

Avtandil Sulaberidze, Marina Demetashvili, Vano Shushtakashvili Intertype Transitional Period of Population Reproduction in Georgia	70
Iuri Ananishvili, Nodar Khaduri, David Onopriashvili, Nodar Ulumberashvili Analysis of Georgian Railway's Operational Costs and Cost Price	80
Nunu Kistauri Some Aspects of methodology of determined Factoral Economic Analysis	99
Giorgi Tsereteli, Iza Natelauri, Nana Bibilashvili The Problems of Economic Cooperation of Georgia and Russia	107

СОДЕРЖАНИЕ

Георгий Церетели, Нана Бибилашвили Теоретические аспекты функционирования системы индикативного планирования в посткоммунистической стране, в частности в Грузии	6
Омар Шургая Особенности хозяйствования и основные признаки национальной хозяйственной психологии в Грузии (историко-экономические и социологические аспекты)	40
Георгий Папава Для преодоления экономических парадогимов	52
Георгий Церетели, Нана Бибилашвили Экономические стимулы возвращения утраченных в постсоветский период территорий в результате сепаратистских движений на примере Грузии и ее регионов (Абхазия, Южная Осетия)	63

* * *

Автандил Сулаберидзе, Марина Деметрашвили, Вано Шуштакашвили	70
Межтиповой переходный период воспроизведения населения в Грузии	70
Юрий Ананиашвили, Нодар Хадури, Давид Онопришвили, Нодар Улумберашвили	80
Анализ эксплуатационных расходов и себестоимости железной дороги Грузии	80
Нуна Кистаури	
Некоторый аспект методологии детерминированного факторного экономического анализа.....	99
Георгий Церетели, Иза Нателauri, Нана Бибилашвили	
Вопросы экономического сотрудничества Грузии и России	107

პოსტკომუნისტურ ქვეყანაში, კერძოდ საქართველოში იღდიაზური დაბეგმის სისტემის უზრუნველისის თეორიული ასპექტები

გიორგი წერეთელი, ნანა ბიბილაშვილი
საქართველოს მცნობელობათა აკადემიის
პ. გუგუშვილის სახლობის გვრომიუს ინსტიტუტი
0105, თბილისი, ქიოხის ქ. №14
შემოფინვანი: 2005 წლის 6 სექტემბერს

რეზიუმე. ნაშრომი ეძღვნება პოსტკომუნისტურ ქვეყანაში, კერძოდ საქართველოში ინდიკატური დაგეგმვის სისტემის ფუნქციონირების შეთოლლოგიურ-მეთოდიური პრინციპების შემუშავებასა და მათი პრაქტიკული რეალიზაციის გზების დასახვას. მასში მოცემულია ინდიკატური დაგეგმვის მსოფლიო გამოცდილების შერჩევითი მასალის ანალიზი და განხორციელებულია უმნიშვნელოვანების მომენტების განხოვა; დასაბუთებულია პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, კერძოდ საქართველოში ეროვნული ეკონომიკის განვითარების პროცესთა ინდიკატური დაგეგმვის აუცილებლივია; შემუშავებულია ამ ქვეყნებში უნდაგდებული დაგეგმვის უზრუნველისის მექანიზმი; აგეტულია ამგვარი მექანიზმის პრაქტიკული რეალიზაციისათვის საჭირო ლონისძიებათა სისტემა საქართველოს მაგალითზე და სხვა.

* * *

ამჟამად ინდიკატური დაგეგმვის მსოფლიო პრაქტიკაში დაგროვილია საკმარის დიდი გამოცდილება. ეს უკანასკნელი ასახულია სხვადასხვა ქვეყნის ინდიკატური დაგეგმვის მოდელებში. მათგან აღსანიშნავა ინდიკატური დაგეგმვის ფრანგული, იაპონური, ჩინური, თანამედროვე მსოფლიო ეკონუმიკური მოდელები.


ინდიკატური დაგეგმვის ეგრეთწოდებული ფრანგული მოდელისათვის დამახასიათებელია ის, რომ ამგვარი დაგეგმვის რანგში განიხილება კონკრეტური და სხვა სუბიექტების ქმედებებისა და ინტერესების კოორდინაციის მექანიზმი. ამ დროს დაგეგმვას ინფორმაციული მნიშვნელობის გარდა, გააჩნია მაკორდინირებელი როლი. იგი ითვალისწინებს სახელმწიფოს საქმიანობის, დარგებისა და საწარმოების შეთანხმების პროცესს მათ მიერ საკუთარი საწარმო-სამეურნეო პროგრამების დამოუკიდებლად შემუშავებასთან ერთად. აღსანიშნავია ისიც, რომ ინდიკატური დაგეგმვის ფრანგული მოდელის პრაქტიკული რეალიზაციის დროს მთავრობა ქვეყნის კონკრეტურ განვითარებაზე უფრო მეტად ზემოქმედებს კოორდინაციისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის მეშვეობით, კიდრე გადაწყვეტილების მიღებისა და მითითებების გაცემის გზით.

ინდიკატური დაგეგმვის გამოყენება საფრანგეთში პირველად განხორციელდა გასული საუკუნის 40-იან წლებში. ამგვარი დაგეგმვის სისტემის გამოყენების “იდეურ მამად” საფრანგეთში ითვლება ქ. მონე.

ამ ქვეყანაში დამკვიდრდა დაგეგმვის ეკონომიკური იურარქიის ქვემო რგოლებიდან დაწყების პრინციპი, რომელიც ემყარება კონსულტაციების მიღებისა და შეთანხმებების პროცესს. იგი ითვალისწინებს განსხვავებული ჯგუფური ინტერესების წარმომადგენელთა თანაბარუფლებიან მონაწილეობას დაგეგმვის პროცესში.

საფრანგეთში გეგმების შემუშავება როგორც წესი ხდება ხუთ-ხუთი წლით და მათში აისახება ქვეყნის სასურველი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთო ორიენტირები. საზოგადოდ ინდიკატური გეგმის შემუშავება ამ ქვეყანაში ხდება მრავალსაფეხურიანი იტერაციის მეშვეობით. ამ გზით წარმოებს ინფორმაციის გაცვლა და მიღდწევა კონკრეტული კონსესუსი სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა მონაწილეებს და მეურნეობრიობისა და მართვის განსხვავებულ დონეებს შორის. მგვარი გეგმა შეიცავს საფრანგეთის ეროვნული ეკონომიკის განვითარების საშუალოვადიანი მიზნების ფორმულირებებს, სტრუქტურული პროპორციების გარდაქმნის პროგნოზულ ალგორითმებს. ამასთან უნდა დღინიშნოს, რომ გეგმის ძირითადი ნაწილები ეხება ეკონომიკური ზრდის ტენდენციებს, ინვესტიციებს, ფინანსურ ნაკადებს, ეროვნული ეკონომიკის დაბალანსებადობას, ინფლაციას, კონკურენციას.

ინდიკატური გეგმის შემუშავება საფრანგეთში ხდება სამი ძირითადი ეტაპის გავლით (იხ. ნახ. 1).



ნახ. 1

საფრანგეთში ინდიკატური დაგეგმვის პროცესში იყენებენ ისეთი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების კომპლექსს, რომლებიც დაკავშირებული არიან ეროვნული ანგარიშების სისტემასთან. ამასთან ერთობენ არიან ეროვნული არიან ეროვნული ანგარიშების სისტემასთან. ამასთან ერთობენ არიან ეროვნული ანგარიშების სისტემასთან.

თად გამოიყენება გეგმიური გათვალების ჩატარების ფორმალიზებული სისტემა, რომელიც ეყრდნობა ეროვნული ანგარიშების მონაცემებს.

აღნიშნულ ქვეყანაში ინდიკატური გეგმის შემუშავების ღროს იყენებენ მოდელების და პროცედურული ალგორითმების შემდეგ ტიპებს: а). პერსპექტიული პროგნოზირებისა და საშუალოვადიანი დაგეგმვის მაკრომოდელები დარგობრივ ჭრილში (რამდენიმე ათეული დარგის გათვალისწინებით); ბ). პირველი ტიპის მოდელების ისეთი მოდიფიკაცია, რომელიც მიიღება დარგთაშორისი ბალანსების და ეროვნული ანგარიშების სისტემის გამოყენების საფუძველზე; გ). ეკონომიკური ზრდის ერთდონიანი დინამიკური მოდელები, რომლებიც თავისი სახეობის მოხედვით მიეკუთვნებიან ოპტიმალური პროგრამირების მოდელების კლასს.

საფრანგეთში ინდიკატური გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობს დაახლოებით 150 კაცამდე. მის უშუალო შემუშავებას აწარმოებს დაგეგმვის კომიტეტი, რომელიც შედგება ვერტიკალური (დარგობრივი) და პორიტიკონტრალური (ფინანსური, ეკონომიკური და რეგიონული) ქვედანაყოფებისაგან. დაგეგმვის ხსენებული კომიტეტი ურთიერთქმდებს სხვა სამთავრობო უწყებებთან (მაგალითად, ფინანსთა სამინისტროსთან და სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტთან).

ამ გზით შედგენილ ინდიკატურ გეგმას ღებულობს და ამტკიცებს საფრანგეთის პარლამენტი.

შედგენილი ინდიკატური გეგმის აკარგიანობა ფასდება ინდიკატური დაგეგმვის სისტემის ეფექტიანობით. ამგვარი ეფექტიანობის შესაფასებლად საფრანგეთში არსებობს ორი ძირითადი გზა: 1). ამ დროს ხდება გეგმიური მაჩვენებლების შედარება ფაქტიურად მიღწეულ მაჩვენებლებთან; 2). ამ დროს ხდება შედარება საერთაშორისო მაჩვენებლებთან, კერძოდ, შესაბამისო მაჩვენებლად იყენებენ მსგავსი ეკონომიკის ქმონე ისეთი ქვეყნის მაჩვენებლებს, რომელშიც არ გამოიყენება დაგეგმვა.

ინდიკატური დაგეგმვის სფეროში საინტერესო და საყურადღებო იაპონური გამოცდილება.

იაპონიაში ინდიკატური დაგეგმვის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ეკონომიკის კერძო სექტორის საწარმოების ორიენტაცია სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის პრაქტიკულ რეალიზაციაზე. აქედან გამოდინარე ამ ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთოსახელმწიფოებრივი გეგმები არ წარმოადგენს კანონს, არამედ გვევლინებიან სახელმწიფო პროგრამების სახით და საერთო ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ითვალისწინებენ ამ პროგრამების შესრულებას ეკონომიკური სტრუქტურის ცალკეული რგოლების მიერ.

იაპონიაში ინდიკატური დაგეგმვის გამოყენება დაიწყო გასული საუკუნის 50-იანი წლების შუა პერიოდში, როცა იქ დასაბამი მიეცა საერთო სახელმწიფო ორგანიზაციის დაგეგმვას.

ამ ქვეყნიაში ინდიკატური დაგეგმვის გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერიოდულად შემუშავებადი საერთო სახელმწიფო ორგანიზაციის გეგმები. ამგვარი გეგმების შემუშავებაში მონაწილეობას ღებულობს ყველა სამთავრობო დაწესებულება. გეგმის შედგენის პროცესში მაკორდინირებელ როლს ასრულებს ეკონომიკური დაგეგმვის სამმართველო, რომელიც წარმოადგენს მინისტრთა კაბინეტის მნიშვნელოვან როლს. მას პყავს გენერალური დირექტორი, რომელიც ამავე დროს არის სახელმწიფო მინისტრიც. ამ სამმართველოს შემადგენლობაში შედის დაგეგმვის ბიურო. ამ უკანასკნელის უმნიშვნელოვანესი ფუნქციებია:

- ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხანგრძლივ-ჯდიანი გეგმების შემუშავების ორგანიზაცია;

- მთავრობის ყველა იმ ადმინისტრაციული ქვედანაყოფის საქმიანობის კოორდინაცია, რომლებიც თავიანთი კონკრეტული დაკავშირულებული არიან გეგმის მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებების სფერო-ქოთან;

- ქვეყნის საერთო პოტენციალის ანალიზი და შეფასება;

- ენერგეტიკის განვითარებასთან დაკავშირებული ძირითადი დონებიდებების და პროგრამების დაგეგმვა და კოორდინაცია;

- პროგნოზული გამოკალევების ეროვნული ინსტიტუტის კურირება.

იაპონიის ეკონომიკური დაგეგმვის სამმართველოსთან ფორმალურად შექმნილია ეკონომიკური საბჭო, რომელიც ექვემდებარება ქვეყნის პრემიერ-მინისტრს და იგი უშუალოდ ამჟავებს რა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთო სახელმწიფო ორგანიზაციის გეგმებს, წარმოადგენს მთავრობის სათათბირო ორგანოს. ეს საბჭო იქმნება ორორი წლით და იგი კომპლექტდება საკმაოდ წარმომადგენლობითი გზით (მასში შედიან მსხვილი ბიზნესის, აკადემიური წრეების, კვლეული ინიციატივების, პროფესიული გეგმების და ა.შ. წარმომადგენლები). მისი ფუნქციონირება ატარებს დემოკრატიულ ხასიათს.

იაპონიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საერთო-ეროვნული გეგმის დანამატის სახით მუშავდება ეროვნული განვითარების კომპლექსური გეგმები (ანუ პროგრამები).

ამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის განმასხვავებელ სპეციფიკურ ნიშანს წარმოადგენს მისი მოქნილობა. ეს უკანასკნელი გულისხმობების ახალი საგეგმო ინიენტირების იმგვარად შემუშავების აუცილებლობას, რომ ისინი შეესაბამებოდნენ ქვეყნის განვითარების რეგულარულად ცვალებად შიდა და გარე პირობებს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინდიკატური გეგმების რეალიზაციის იაპონური გამოცდილება წარმოადგენს მეტად სპეციფიკურს და მისი მექანიკური გამოყენება სხვა ქვეყნებში მაგალითად პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში ალბათ არ იქნება სწორი.

მეტად საინტერესოა აგრეთვე ინდიკატური დაგეგმვის ჩინური გამოცდილება.

ჩინეთში ინდიკატური დაგეგმვა წარმოადგენს მაკროეკონომიკურ დაგეგმვას საწარმოების დამოუკიდებლობის პირობებში.

ამ ქვეყანაში ძირითადი ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა ხდება სახელმწიფოს მიერ. ამგვარი პრობლემების სიმრავლიდან შეიძლება გამოიყოს შემდგენ ძირითადი:

- ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ეფექტიანი მიმართულებების, მიზნებისა და ტემპების განსაზღვრა;

- მრეწველობის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის უმნიშვნელოვანებისა სახეობების წარმოება;

- ძირითადი პროპორციების, კაპიტალდაბანდებების ზომების გახსაზღვრა და მათი ეფექტიანი განაწილება;

- ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საწარმოო ობიექტების მშენებლობა;

- საწარმოო ძალების გაადგილება;

- ხალხის მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის ამაღლება;

- სახელმწიფო ბიუჯეტის ეფექტიანი დაგეგმვარება, საკრედიტო საშუალებების შემოსავალი და გასავალი ნაწილების ურთიერთდაბალანსება, ფულის ემისია;

- სავალუტო შემოსავლების დაბალანსება და უცხოური კაპიტალის გამოყენება;

- რიგი სტრატეგიული საქონლის სახეობების შესყიდვის, განაწილებისა და მიწოდების, აგრეთვე მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების ორგანიზაცია;

- საგარეო სავაჭრო საქონელბრუნვის მოცულობებისა და საქონლის უმნიშვნელოვანების სახეობების იმპორტისა და ექსპორტის ღირებულების განსაზღვრა;

- მეცნიერებასა და ტექნიკაში ეგრეთწოდებული “გარღვევების” და სამეცნიერო გამოკვლევების წამყვანი მიმართულებების განსაზღვრა და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების პრაქტიკული დანერგვის სტატულირება;

- განათლებისა და ჯანდაცვის სფეროების, აგრეთვე სხვა სოციალური დარგების განვითარება;

- ეკონომიკური და ტექნიკური პოლიტიკის მთავარი მიმართულებების დადგენა;

- ფასების განსაზღვრა საქონლის ძირითად სახეობებზე.

ჩინეთში სახელმწიფო ახორციელებს საზოგადოებრივი წარმოების და მოხმარების კომპლექსურ დაბალანსებას.

ამ ქვეყანაში ერთიანი გეგმის საფუძველზე ცენტრალური დარგობრივი უწყებების და ადგილობრივი ორგანოების მიერ ხორციელდება კონკრეტული მრავალდონიანი მართვა.

გადაწყვეტილებების მიღების ძირითადი უფლება მთლიან ეროვნულ კონკრეტული თავმოყრილია ჩინეთის სახელმწიფო ხელისუფლების ხელში. ეს გადაწყვეტილებები, უზრუნველყოფილია რა საჭირო მატერიალური და ფინანსური რესურსებით, განსაზღვრავენ ცენტრალური ორგანოების პოლიტიკის რეალიზაციის ღონისძიებებს. ეს კი წარმოადგენს ჩინეთში არსებული დაგეგმვის სისტემების მთავარ განმასხვავებელ ნიშანს.

ჩინეთში ინდიკატური დაგეგმვა წარმოადგენს ისეთ ერთიან სისტემას, რომელიც შედგება სხვადასხვა ღონისა და ხანგრძლივობის გეგმებისაგან. ხანგრძლივობის მიხედვით გამოყოფენ ხანგრძლივადიან (10-20 წლიან), საშუალო-შამდიან (5 წლიან) და წლიურ ინდიკატორების მიზანის დაგეგმვას.

ხანგრძლივვადიანი ინდიკატური გეგმა არის ისეთი პროგრამული ღოკემენტი, რომელიც ასახავს ქვეყნის კონკრეტული გეგმებისა და ტექნიკის და სოციალური სფეროს განვითარების სტრატეგიას.

ხანგრძლივვადიანი და საშუალოვადიანი გეგმების შემუშავების პროცესში ჩინეთის ქვეყანა იყენებს შემდეგ მეთოდებს: ა). კომპლექსური ბალანსირების მეთოდს; ბ). მონიტორინგ მეთოდს; გ). გეგმის უწყებად შედგენის მეთოდს.

ჩინეთში საგეგმო სამუშაოების ხელმძღვანელობას ახორციელებს სახელმწიფო საბჭო, რომელიც წარმოადგენს უმაღლეს სახელმწიფო აღმასრულებელ ორგანოს.

სახალხომურნეობრივი გეგმების შედგენის, ორგანიზაციის და შესრულების პროცესს ჩინეთში კოორდინაციას უწევს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი.

ამ ქვეყანაში ამჟამად სახალხომურნეობრივი გეგმების შედგენისას წარმოებს ინფორმაციის მოძრაობა “ზემოდან-ქვემოთ”, “ქვემოდან-ზემოთ” და ამ თრი ვარიანტის ურთიერთშერწყმის მიმართ უდებით.

ხანგრძლივვადიანი და საშუალოვადიანი გეგმების შედგენის დროს ჩინეთში ინფორმაცია მოძრაობს “ორჯერ დაბლა, ერთჯერ მაღლა”.

ამგვარი გეგმების შედგენის პროცესს სახელმწიფო საბჭო იწყებს საგეგმო მაჩვენებლებისა და საკონტროლო (სარეკომენდაციო) ციფრულების შემუშავებით. ამის შემდეგ რეგიონები და დარგები ზემდგომ ორგანიზებს წარუდგენენ თავიანთი გეგმების ამსახველ პროექტებს. ბოლოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი კომპლექსური ბალანსების დახმარებულების მიზანის დაგეგმვას განვითარებს.

ბით ამჟავებს ქვეყნის გვონომიკური და სოციალური განვითარების სახალხომეურნეობრივი გეგმის პროექტს.

ჩინეთში ინდიკატური გეგმების შემუშავება, როგორც წესი, წარმოებს შემდეგი ოთხი ეტაპის სამუშაოების ჩატარების გზით:

ა). მოსამზადებელი სამუშაოები; ბ). საკონტროლო ციფრების შემუშავება; გ). გეგმის პროექტის შედგენა და მისი დასამტკიცებლად გადაცემა; დ). გეგმის განხილვა, დამტკიცება და გადაცემა იქრარქიის ქვემო რგოლებში მდებარე ორგანოებისადმი (“მაღლიდან-დაბლა”).

ჩინეთში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინდიკატური გეგმების პრაქტიკული რეალიზაციის მექანიზმის შემუშავებას. ამიტომ იქ მუდმივად მიმდინარეობს მაკროეკონომიკური სახელმწიფოებრივი რეგულირების ფორმებისა და მეთოდების ძებნა.

მაკროეკულირება (და დაგეგმვა) ჩინეთში არ ნიშნავს სახელმწიფოს ყოველმხრივ ჩარევას ეკონომიკაში, არამედ იგი ემსახურება ეროვნული ეკონომიკის განვითარების ზოგადი მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული პროცესების მოწესრიგებასა და მასზე კონტროლის გაწევას. ჩინეთში მაკროეკულირების მიზნების სიმრავლე პირობითად შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ჯგუფად: ა). ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა; ბ). ეკონომიკური სტაბილურობის მსარდაჭერა; გ). ეკონომიკური სამართლიანობის უზრუნველყოფა.

ამ მიზნებს შორის არსებობს ურთიერთკავშირი, რომლის შედეგადაც წარმოიქმნება მთლიანი სისტემა, რომელშიც ყოველი მიზანი იყფა ქვემიზნების სიმრავლეთ. აქედან გამომდინარე მაკროეკონომიკურ რეგულირებას ჩინეთში გააჩნია ამ მიზნებისა და ქვემიზნების ერთი გამაერთიანებელი საერთო კომპლექსური მიზანი, რომელიც მდგომარეობს ქვეყნის ეკონომიკის მთლიანი სისტემისა და საზოგადოებრივი კუთილდღეობის განვითარებაში.

ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვა ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში პირველად 1993 წელს დაინერგა მაშინდელი ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და ეკონომიკის სამინისტროს სპეციალისტების აქტიური მონაწილეობით. საქართველოს იმქამინდელი ეკონომიკის მართვის პროცესში გააჩნდა პირველი ინდიკატური გეგმები, რომელთა შედგნაც ხდებოდა სპეციალური მეთოდიკით. ამ დოკუმენტმა (საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმის შემუშავების მეთოდიკამ) თითქმის 10 წელი იარსება და მიუხედავად იმისა, რომ იგი ობიექტური მიზეზების გამოჩამორჩებოდა სასურველ სტანდარტებს, მაინც დიდი როლი შეასრულა ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების უმნიშვნელოვანების მაკროეკონომიკური ბერკეტების ფორმირებისა და განვითარების საქმეში. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ განვლილ პერიოდში აღ-

ნიშნული მეთოდიების საფუძველზე შემუშავებულ იქნა საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ორი საშუალოვადიანი (1996-2000 წ.წ. და 2001-2005 წ.წ.) და შესაბამისი 1-წლიანი ინდიკატური გეგმები.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ინდიკატური დაგეგმვის პროცესის სრულყოფისა და მისი პრაქტიკული გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების პროცესი მჭიდრო კავშირშია ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის, მისი ეკონომიკის განვითარების, მასში საბაზრო ურთიერთობათა დამკავიდრებისა და შესაბამისი ინსტიტუციური სტრუქტურების აღმოცენება-ამოქმედების, საბაზრო ეკონომიკის მამოძრავებელი მეურნე-სუბიექტების ჩამოყალიბებისა და ზრდა-განვითარების სიღრმისეულ პროცესებთან [1, 3, 5, 8, 17]. ამგვარი ტენდენცია დამახასიათებელი გახდა საქართველოს სინამდვილისთვისაც. ამას ნათელყოფს 1993 წელს შემუშავებული ინდიკატური დაგეგმვის პირველი ქართული მეთოდიების ავგარგიც.

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ 1993 წელს შემუშავებულ მეთოდიებს არ გააჩნდა მყარი იურიდიული და რეალური ეკონომიკური საყრდენები. უპირველესად ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ამჟამად ჩვენი ქვეყანა ჩაორეული იყო სისხლისმდვრელ სამოქალაქო და ეთნიკურ ოქებში. მას არ ჰქონდა არც კონსტიტუცია, არც რაიმე კანონმდებლობა ინდიკატური დაგეგმვის შესახებ. მაშინ ჩვენი სახელმწიფო დგამდა პირველ ნაბიჯებს მის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გზაზე, რამაც მომავალში საფუძველი ჩაუვარა კერძო მესაკუთრეთა სოციალური ფენისა და ეკონომიკის საბაზრო სექტორების შექმნას. იმ დროს ქვეყანაში ძევლი საგარეო-ეკონომიკური კავშირების მოშლის პირობებში მძინარებდა უმწვავესი სასურსათო და ენერგეტიკული კრიზისი; ჯერ კიდევ არ არსებობდა ეროვნული ვალუტა, გვონიმიკა მოქცეული იყო სუპერინფლაციის მარწუხებში, მოშლილი იყო ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო სისტემები; ეკონომიკური კრიზისი განაპირობებდა ტოტალურ უმუშევრობასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის მქეოთ დაცემას; მბრძანებლურ-დირექტიული მართვის პრინციპებზე აგებულ სახელმწიფო სტატისტიკის სისტემას გამოცლილი ჰქონდა ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და მხოლოდ პირველი ნაბიჯები იღგმებოდა გაეროს მიერ რეკომენდებულ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის თეორიული ათვისებისათვის (რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა სახელმწიფო სტატისტიკის ახლებურ მოწყობას).

ბუნებრივია, რომ ამგვარ პირობებში შემუშავებული ინდიკატური დაგეგმვის მაშინდელი მეთოდიკა გათვალისწინებული იყო არა ფაქტიურად მოქმედი, არამედ მხოლოდ წარმოსახვითი ეკონომიკური მოდელისა და სათანადო საბაზრო მექანიზმების (რომლებიც მომავალში

უნდა ამოქმედებულიყო) ფუნქციონირებისათვის. ეს მიღებომა კარგად პქონდა გათვითცნობიერებული ინდიკატური დაგეგმვის მაშინდევნ მეთოდიკაზე მომუშავე მეცნიერებსა და სპეციალისტებს, რომლებიც, საბედნიეროდ, სრულად ფლობდნენ სოციალისტური დირექტიული დაგეგმვის ორინიასა და პრაქტიკას და რაც მთავარია, მათ ხელთ არსებული მწირი შესაძლებლობების კვალობაზე, ორინიულად იცნობდნენ ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილებას ინდიკატური დაგეგმვის სფეროში. უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროისათვის, საღად მოაზროვნე მეცნიერ-ეკონომისტების შემოქმედებითი შემართება და ინტელექტუალური პოტენციალი წარმოადგენდა ერთადერთ რეალურ საყრდენს საბაზრო ეკონომიკისათვის აუცილებელი ახლებური მაკროეკონომიკური დაგეგმვის მეთოდოლოგიური საფუძვლების მომზადების საქმეში. მათი შრომის პროდუქტიულობა და თვით ამ ახალი საქმის წარმატებაც გაცილებით შთამბეჭდავი იქნებოდა, რომ მაშინდელ ხელისუფლებას მეტი ზრუნვა გამოიქმნინა ამ რთულ პრობლემებზე მომუშავე მეცნიერ-ეკონომისტთა შრომის სათანადო აღჭურვისა და მატერიალური სტიმულირების ელქმენტარული საკითხების მოგვარებაზე. სამწუხაროდ, ამ საქმეში არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება [7, 5, 17, 15].

აღნიშნულმა მეთოდიკამ შეასრულა რა დიდი როლი საქართველოს მაშინდელი ეკონომიკის მართვის პროცესში, 2001-2003 წლებში მოიხსევა მეცნიერული სრულყოფა. ამ მიზნით საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს თავოსნობით და კ. მელქაძის სახელობის სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უშუალო მონაწილეობით 2003 წელს შემუშავდა ინდიკატური დაგეგმვის ახალი მეთოდიკა. ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის აღნიშნული მეთოდიკა არსებითად განსხვავდებოდა თავისი წინამორბედისაგან, რაც განპირობებული იყო საქართველოს ეკონომიკაში მაშინდელ ბოლო ცხრა წლიან პერიოდში მომხდარი პოზიტიური ძვრებითა და მათი ადგევატური ასახვით ინდიკატური დაგეგმვის შინაარსსა და მეთოდოლოგიურ საფუძვლებში. იმუამად საქართველოს უმთავრეს სასიცოცხლო სფეროებში მომხდარმა თვისებრივმა გარდატეხამ ეს სფეროები საბოლოოდ შემოაბრუნა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და თანდათანობითი სრულყოფის მიმართულებით. ახალი კონსტიტუციისა და რიგი ფუნდამენტური საკანონმდებლო პქტების მიღებით თანდათან შეიქმნა ხელსაყრელი პოლიტიკური და სამართლებრივი სივრცე სახელმწიფოს დემოკრატიული მოწყობისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური სფეროების რეფორმების მიზანმიმართული განხორციელებისათვის. საქართველომ ჩვენი მეგობარი ქვეყნებისა და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების დახმარებით ისტორიულად ხანმოკლე პერიოდში მოახერხა სუპერინფლა-

ცის მოთვეება და მყარი ეროვნული ვალუტის შემოღება, მან ჩამოა-
ყალიბა თვისებრივად ახალი ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო სის-
ტები, განახორციელა საბინაო-საცხოვრებელი ფონდისა და მიწის,
აგრეთვე მცირე და საშუალო საწარმოთა პრივატიზაცია მრეწველობის,
შექნებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და
საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგებში. ამჟამად ქვეყანაში მიმდი-
ნარეობს ამ პროცესის გადანაცვლება ისეთ როლში სფეროებში, როგო-
რცაა ენერგეტიკა, მმმე მრეწველობა, მეცნიერება და სოციალური
ინფრასტრუქტურის დარგები.

ამით კი უნდა შეიქმნას საბაზო ეკონომიკის მთავარი სუბიექტი-
ჟწარმეთა ფენა, საბაზო ურთიერთობები და ჯანსაღი კონკურენტუ-
ლი გარემო საქართველოში. ამას ხელს უწყობს აგრეთვე საგადასახა-
დო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო სისტემის დახვეწა, ანტიმონო-
პლიური რეგულირებისა და სხვა საბაზო ინსტიტუტების აღმოცე-
ნება და განვითარება, რომელიც ქვეყანაში ამჟამად მიმდინარეობს. გან-
საკუთრებით უნდა აღინიშნოს საქართველოს გაერთიანება ევროსაბ-
ჭოში, რომელიც სასიცოცხლო სივრცესა და რეალიზაციის ხელშემწ-
ყობ პირობებს უქმნის ქვეყნის ახალ გეოპოლიტიკურ ფუნქციას – შეა-
სრულოს ხელსაყრელი სავაჭრო-სატრანზიტო დერეფნის როლი ევრო-
პისა და აზიის ქვეყნებს შორის.

საქართველოს გადაქცევამ „აბრეშუმის გზის“ უმნიშვნელოვანეს
საკვანძო ქვეყნად დასაბამი მისცა ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტრა-
ტეგიული განვითარების სრულიად ახალ მიმართულებას, შევცალა
ტრადიციული და ჩამოაყალიბა ახალი სტრუქტურული მიდგომები, მიზ-
ნები, ამოცანები და პრიორიტეტები ქვეყნის ეკონომიკური და სოცია-
ლური განვითარების კონცეფციაში. ეს ცვლილებები უკვე აისახა ჩვენი
ეკონომიკის წამყვანი დარგის მრეწველობის, აგრეთვე ტრანსპორტის
განვითარების უკავ ცნობილ კონცეფციებში; ანალოგიური ამოცანის
წინაშე დადგნენ ეკონომიკის სხვა დარგები და სექტორებიც.

უკანასკნელ წლებში თვისებრივი ცვლილებები მოხდა სახელმწი-
ფო სტატისტიკის მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ საფუძვლებში.
საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვა-
ნელობითა და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების ხელშეწ-
ყობით ქვეყნაში დაინერგა გაეროს მიერ რეკომენდებული ეროვნულ
ანგარიშთა სისტემა, რომელმაც გლობალურად მოიცვა ეკონომიკის
ანგარიშთა სისტემა, რომელმაც გლობალურად მოიცვა ეკონომიკის
სექტორი, აღწარმოებითი ციკლის ყველა სტადია და შემადგე-
ნელი ელემენტი. ამან ხელი შეუწყო საქართველოს ადაპტირებას მსოფ-
ლიო ცივილიზაციული ქვეყნების თანამეგობრობაში, აამაღლა ქვეყანაში
მიმდინარე ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული და სხვა უმ-
ნიშვნელოვანები პროცესების ანალიზის დონე, გაზარდა მათი გან-
ვითარების სწორი პროგნოზირებისა და მართვის შესაძლებლობები [16,

17, 18].

ინდიკატური დაგეგმვის 2003 წელს შემუშავებული მეთოდიკა, ჩვენი აზრით, ყვრდნობა მის უკანასკნელ ანუ ერთ-ერთ სრულყოფილ და ეფექტურ ვარიანტს. მისი მეშვეობით შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, დადგინდეს თანაფარდობა პროდუქციის (მომსახურების) და შემოსავლების შექმნის, განაწილებისა და მოხმარების პროცესებში მონაწილე ეკონომიკის დარგებსა და სექტორებს შორის, აგებულ და გაანალიზებულ იქნეს პროდუქციის (მომსახურების) წარმოებისა და განაწილების დარგთა-შორისი ბალანსები, ეკონომიკური კავშირურობიერობები საზღვარგარეთის ქვეყნებთან და ა.შ.

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის ხენებული მეთოდიკა ასახავს რა ცვლილებებს, რომელსაც საქართველოს ეკონომიკაში ჰქონდა ადგილი უკანასკნელი 9 წლის განმავლობაში, ძველისაგან განსხვავებით ეფუძნება არა წარმოსახვით, არაძედ სავსებით რეალურ საბაზრო ურთიერთობებისა და ინსტრუქტურის სტრუქტურული და ქმედითუნარიანად საქართველოს ეკონომიკის წინაშე ამჟამად მდგარი მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინდიკატური დაგეგმვის მეთოდიკის სრულყოფაში განსაკუთრებული როლი ითამაშა იმ მდიდარმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ, რომელიც საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სპეციალისტებსა და სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ყოფილი სამეცნიერო-კალეგითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს დაუგროვდათ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საშუალო და მოკლევადიანი ინდიკატური გეგმების შედგენის პროცესში. ეს გამოცდილება განზოგადებული სახით თანდათანობით ავსებდა გეგმების შინაარსს, მაჩვენებელთა სისტემასა და მათი გაანგარიშების წესს [5, 6, 7, 8, 9, 17].

საქართველოში ინდიკატური დაგეგმვის სამართლებრივი და ორგანიზაციული რეგულირების საკანონო საკითხები ასახულ იყო ქვეყნის პარლამენტის მიერ ჯერ კიდევ 1997 წელს მიღებულ კანონში „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური და გეგმვის საფუძვლების შესახებ“.

იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანაში დღესაც გრძელდება საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციური ჩამოყალიბებისა და სრულყოფის პროცესები, ჯერ კიდევ არ აღმდგარა მისი ტერიტორიული მთლიანობა, საბოლოოდ არ გადაჭრილა რეგიონული მართვის, მუნიციპალური ქონების გამიჯვნისა და სხვა სამართლებრივი საკითხები, ბუნებრივია, რომ მომავალში კვლავაც ინტენსიურად უნდა გაგრძელდეს მუშაობა



ინდიკატური დაგეგმვის მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ ხრულ-ყოფაზე-

საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის ცნობილ მეთოდიკაში გათვალისწინებულია იმ შენიშვნების დიდი ნაწილი, რომელიც მის მიმართ იქნა გამოთქმული საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის ყოფილი სამინისტროს სპეციალისტების მიერ.

ამ მეთოდიკაში ჩამოყალიბებულია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატორების, ანუ მათი განვითარების პარამეტრების განსაზღვრის მეთოდოლოგიური პრინციპები, მიღებული განვითარების შესები.

საქართველოში 1993-2002 წლებში ინდიკატურ დაგეგმვას უმნიშვნელოვანები როლი ენიჭებოდა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივების განსაზღვრის საქმეში. ინდიკატური დაგეგმვა არის რა განსაკუთრებული, წინასწარ დადგენილი წესით კოორდინირებული შეცნიერულ-ანალიტიკურ და პროგნოზულ დამტუშებული წარსებრება, მისი განხორციელების ძირითად მიზანს საქართველოში წარსებრება მოადგენდა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამის რეალურად მისაღწევ ინდიკატორთა (მაჩვენებელთა) ჩამოყალიბება და მათ უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებათა შემუშავება. ინდიკატური დაგეგმვა ჩვენს ქვეყანაში ემსახურებოდა მთავრობის მოქადაცების სტრატეგიის განსაზღვრას. ამასთან, იგი ხელს უწყობდა კოორდინაციას და ამასხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესების კოორდინაციას და ამას დროს ასრულებდა გარკვეულ შემეცნებით როლს, რაც ფართო საკუთრებისათვის აუცილებელი და სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებაში მდგომარეობდა. ინდიკატური გეგმების მაკროეკონომიკური პარამეტრები ჩვენთან ატარებდა მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს.

საქართველოში ინდიკატური დაგეგმვის ძირითად ამოცანებს წარმოადგენენ:

ა). მთავრობის მიმდინარე და საშუალოვადიანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის და სტრატეგიის ჩამოყალიბება; ბ). განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და მათი მიღწევის გზების ძიება; გ). ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის, დარგის და სოციალური ჯგუფის ინტერესების კოორდინაცია.

ინდიკატურ დაგეგმვას საქართველოში გააჩნდა შემდეგი ფუნქციები:

ა). ქვეყნისათვის აუცილებელი, რეალურად შესაძლებელი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიჯნების მიღწევის ღონისძიებებისა და რეკომენდაციების შემუშავება;

ბ). სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების უზრუნველყოფა აუცი-

ლებელი ანგარიშებით;

გ). კერძო სექტორის განვითარებისთვის ყოველგვარი ხელშეწყობა იმ ვარაუდით, რომ იგი ეკონომიკურად მაქსიმალურად დაინტერესდეს ქვეყნის საყოველთაო ეკონომიკურ აღმაფლობაში აქტიური მონაწილეობის მიღებით;

დ). ფართო საზოგადოებისათვის ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესახებ აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება;

ე). ინვესტორების, საბაზრო სუბიექტებისა და მომხმარებლებისათვის ორიენტირების მიცემა;

ვ). ქვეყნის ეკონომიკაში არსებული პრობლემების კომპლექსური ანალიზი და მათი გადაჭრის ღონისძიებების (ეტაპების და მექანიზმების გათვალისწინებით) შემუშავება.

საქართველოში ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმა,როგორც შემვები აღინიშნა, მუშავდებოდა საქართველოს 1997 წლის კანონის „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ“ შესაბამუსად. იგი ცალსახად განსაზღვრავდა, რომ საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ სხვა სამინისტროებთან და რეგიონული მართვის ორგანოებთან ერთად უნდა შეიმუშავოს საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმები.

ქვეყნაში ინდიკატური გეგმები მუშავდებოდა ეკონომიკის სფეროების მიხედვით და დარგობრივ ჭრილში საქართველოს სამინისტროების, უწყებების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ მომზადებული დარგებისა და ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამებისა და წინადაღებების გათვალისწინებით.

ინდიკატური გეგმები საქართველოში მუშავდებოდა მოკლე (1-წლიანი), საშუალო (3-5 წლიანი) და გრძელვადიანი პერიოდებისათვის. ერთწლიანი ინდიკატური გეგმის პროექტი (წინასწარი საპროგნოზო გაანგარიშებები) სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ფორმირების ერთერთი საფუძველი იყო. გრძელვადიანი ინდიკატური გეგმის შემუშავების შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა საქართველოს პრეზიდენტი. მისი საპრეზიდენტო პროგრამის შესაბამისად მუშავდებოდა ხუთწლიანი ინდიკატური გეგმები. ინდიკატური გეგმების პროექტებისა და სოციალურეკონომიკური განვითარების მიზნობრივი პროგრამების შემუშავებას საერთო ორგანიზაციულ-მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევდა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო.

ინდიკატური გეგმა ძირითადად შედგებოდა სამი ნაწილისაგან: ა). სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია; ბ). სოციალურ-

ეკონომიკური განვითარების პროგნოზები და გ). საგეგმო-მარეგულირებელი ხაწილი.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციაში ყალიბდებოდა და საბუთდებოდა სახელმწიფო პოლიტიკის მიზნები და პრიორიტეტები, განისაზღვრებოდა განვითარების ძირითადი ეტაპები და საშუალებები. მასში იკვეთებოდა პირველი რიგის ამოცანები.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზებში, როგორც ცნობილია, ასახულ უნდა იქნეს წარმოებისა და სოციალური სეფეროს განვითარების ტენდენციები, ხასიათი და პარამეტრები.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზების შემუშავება სკონტან ხდებოდა ქვეყნის ეკონომიკური ვითარების, რესურსების, პოტენციალის, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევათა რეალიზაციის შესაძლებლობების, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცების, ეკონომიკური რეფორმების ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბების კომპლექსური ანალიზის საფუძველზე პროგნოზირების თანახმედროვე, პროგრესული შეთოვდების გამოყენებით [1, 3, 6, 8, 9].

ინდიკატური გეგმებისათვის დამუშავებული პროგნოზების ხანგრძლივობა, როგორც წესი, ემთხვეოდა შესაბამისი გეგმის პერიოდს. ამასთან, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზული გაანგარიშებები უფრო ძლიერი პოლიტოლოგიურ, დემოგრაფიულ, სამეცნიერო ტექნოლოგიურ, კოლოგიურ და სხვა სახის გრძელვადიან პროგნოზებს. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზირებისას ფართოდ იყენებდნენ, აგრეთვე, სხვადასხვა ქვეყანასთან დადაბულ გრძელვადიან სამთავრობო ხელშეკრულებებს და საერთაშორისო ორგანიზაციების წინასწარგანზრახულობებს ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნების ხელშეწყობის თვალსაზრისით.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზები, ხაზნაო და საგარეო პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, როგორც წესი, მუშავდებოდა რამდენიმე ფარიანტად და მოიცავდა ინდიკატორთა სისტემას, რომელიც ახასიათებდა ეკონომიკის დინამიკას, სტრუქტურას და ეფექტიანობას, ფინანსურ მდგრმარეობას, ინფლაციურ პროცესებს, შინამუშავნეობების შემოსავლებს და ხარჯებს, ბაზრის ტევადობას, ფულის მიმოქცევას, საქონლისა და ფასიანი ქაღალდების ბაზარს, ფასებს, მოსახლეობის ცხოვრების დონეს, დემოგრაფიულ და კორლოგიურ ვითარებას, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებს, მატერიალური წარმოების სფეროსა და სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების განვითარების ძირითად ტენდენციებს და ა.შ.

ინდიკატური გეგმის სოციალურ-ეკონომიკური მიზნების რეალიზაციების უნდა განხორციელდეს ეკონომიკურ რეგულატორთა სისტემით. ეს ცია უნდა განხორციელდეს ეკონომიკურ რეგულატორთა სისტემით. ეს უკანასკნელი უნდა მოიცავდეს ისეთ კონკრეტულ დონისძიებებსა და



მიღებას, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო ზემოქმედებს გაონო-მიკაზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციასა და პროგნოზებში დასახული მიზნების მისაღწევად [7, 1, 8, 9, 17, 24].

აღნიშნულ რეგულატორთა სისტემის მთავარი დანიშნულება საქართველოში შემუშავებულ ინდიკატურ გეგმებში ეკონომიკური განვითარების დაქარება იყო. ამ რეგულატორების ძირითად ელემენტებს მიეკუთვნებიან: 1. თავისუფალი მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, 2. კორექტივები საგადასახადო განაკვეთებში, ამორტიზაციის ნორმებსა და დარიცხვის წესში, კაპიტალის პროცენტში, საბანკო რეზერვების ნორმებში, ბაჟებსა და მოსაკრებლებში, ცალკეულ საქმიანობათა ლიცენზირებაში, იმ მეწარმეების წახალისების სისტემაში, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოს რეკომენდაციებს; 3. ანტიმონოპოლიური პოლიტიკა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, 4. ფასების პოლიტიკა და ანტიინფლაციური ღონისძიებები; 5. პროდუქციის ექსპორტისა და იმპორტშეცვლებით წარმოების სტიმულირება საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესების მიზნით; 6. ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და განაწილების მექანიზმი; 7. მოსახლეობის სოციალური დაცვისა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ღონისძიებები; 8. ეროვნული ვალუტის დაცვის მექანიზმი და ა.შ [8, 9, 17].

საქართველოში შედგენილი ინდიკატური გეგმების საგეგმო-მარტიულირებელი ნაწილის უმნიშვნელოვანეს ელემენტებს წარმოადგენდნენ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები, რომელთა შემუშავების მიზნები, ამოცანები, დამუშავების ორგანიზაცია, წარდგენის, შერჩევის და დაფინანსების წესი რეგულირდებოდა კანონით „საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 24 დეკემბრის 711 ბრძანებულებით „სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების (საპროგრამო წინადაღებების) შერჩევისა და დაფინანსების წესის შესახებ“.

უოველწლიური ინდიკატური გეგმის ტექნოლოგიურ-ორგანიზაციული სქემა ითვალისწინებდა მის ორ ეტაპად შედგენას. პირველ ეტაპზე ხორციელდებოდა ინდიკატური გეგმის პროექტის წინასწარი საპროგნოზო პარამეტრების გაანგარიშება, რომელიც საფუძვლად ედებოდა შესაბამისი წლის ბიუჯეტის პროექტის შემოსავლებისა და ხარჯების, მათ შორის, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების და სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო სახსრების ფორმირებას. ინდიკატური გეგმის პროექტის წინასწარი საპროგნოზო გაანგარიშებები არსებული წესის მიხედვით სრულდებოდა საქართველოს პრეზიდენტისათვის შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრებისა და მიმართულებების წარდგენამდე ერთი თვით ადრე, ანუ წინა-

საგეგმო წლის 15 აპრილამდე.

საპროგნოზო მაჩვენებლების წინასწარი გაანგარიშებების ფორმირება იწყებოდა აუცილებელი ინფორმაციის მოვროვებითა და დამუშავებით. ამ მიზნით ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო საჭირო ინფორმაციის მისაღებად წინასწარ საზღვრავდა შესაბამის ფორმებსა და მაჩვენებლებს. ამის შემდეგ მას საჭირო განმარტებითა და რეკომენდაციებით დაჭყავდა იგი სამინისტროებამდე, სხვა უწყებებამდე და ორგანიზაციებამდე, აგრეთვე მმართველობის ადგილობრივ ორგანიზაციებამდე. ეს უკანასკნელები კი თავის მხრივ განსაზღვრულ ვადაში, უდგენდნენ საჭირო მასალებს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს.

საქართველოში ინდიკატური გეგმის პირველადი ინფორმაციით უზრუნველყოფის საქმეში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა ქვეყნის სტატისტიკური ორგანოები, პირველ რიგში კი სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. განსაკუთრებით დიდი იყო აღნიშნული სამსახურების წელილი ქვეყნის რესურსები პოტენციალისა და საბაზისო პორიოდისათვის ჩამოყალიბებული ეკონომიკური სიტუაციის (სასტარტო მდგრადისარებობის) შეფასებაში.

წვენს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ინდიკატური გეგმის შემუშავების საქმეში განსაკუთრებით დიდი იყო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების როლი. ქვეყანაში მიმდინარე ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის პირობებში სამეურნეო ფუნქციებს თანდათანობით თმობდნენ დარგობრივი სამინისტროები და ისინი მხოლოდ მეთოდოლოგიური ხელმძღვანელის ფუნქციას ინარჩუნებდნენ. ამგვარ ვითარებაში, რეალური წინადადებებისა და ინფორმაციის მიღება შესაძლებელი ხდებოდა მმართველობის ადგილობრივი ორგანოებიდან, ხოლო მომავალში მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ქვეყნის ინდიკატური გეგმის ერთ-ერთი ვარიანტის შემუშავება რეგიონული გეგმების საფუძველზე. ამ მიზნით ალბათ სათანადო ცვლილებები უნდა შევიდეს საქართველოს კანონში ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ.

შინაარსობრივად საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმის პროექტები და წინასწარი საპროგნოზო გაანგარიშებები შედგებოდა მოკლე განმარტებითი ბარათისაგან, საგეგმო წელს სარეალიზაციოდ განკუთვნილი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ანოტაციებისაგან და საპროგნოზო ცხრილებისაგან.

მაშინდელ განმარტებით ბარათში გადმოიცემოდა არსებული მაკროეკონომიკური გარემოს ანალიზი და მისი გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები, რაც იმავდროულად ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშემწყობლების გაქტივებად მოიაზრებოდა.

იმუამინდელ საპროგნოზო გაანგარიშებებში აისახებოდა ყველა ის პროგრამა, რომელიც ამ მიზნით ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭ-

რობის სამინისტროში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ შეარჩია და შეიტანა საგვამო წელს სარეალიზაციო სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ჩამონათვალში (საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 24 დეკემბრის 711 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის შესაბამისად). აღნიშნულ ჩამონათვალს ამტკიცებდა საქართველოს პრეზიდენტი.

აღნიშნულ დოკუმენტში საპროგნოზო ცხრილები ასახული იყო როგორც კრებითი სახით, ისე ცალკეული დარგების და სფეროების მიხედვით, იმ ვარაუდით, რომ ამ საფუძველზე სიმნივეები არ შექმნილიყო სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითადი პარამეტრების გაანგარიშების დროს.

იმ დროს ინდიკატური გეგმის პროექტის პარამეტრების დაზუსტება ხდებოდა ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში. მას საფუძვლად ედო ბიუჯეტის დაზუსტებებული პარამეტრები და განვლილ პერიოდში ეკონომიკის განვითარებაში მიღწეული დაზუსტებებული მაჩვენებლები. ამ გზით ინდიკატური გეგმის კონცეფციური, საპროგნოზო და საპროგრამო ნაწილები შესაბამისობაში მოდიოდა დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების პარამეტრებთან.

გეგმის მეორე ეტაპის სამუშაოები ხორციელდებოდა იმავე ტექნოლოგიური სქემით, როგორითაც პირველი. განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ ამ შემთხვევაში არ იყო აუცილებელი დაზუსტებებული ინფორმაციის მოპოვებისათვის ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ ფორმებისა და მაჩვენებლების ხელახალი შემუშავება და მათი სამინისტროებამდე, უწყებებამდე და რეგიონებამდე დაყვანა. ამ მიზნით შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო პირველი ეტაპის სამუშაოთა განსახორციელებლად დაგზავნილი ფორმები და მაჩვენებლები. იმ დროს არსებული წესის თანახმად სამინისტროები უწყებები და რეგიონები დაზუსტებულ მონაცემებს აწვდიდნენ ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს. ამ მონაცემებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებული ძირითადი პარამეტრების საფუძველზე შემუშავებული ინდიკატური გეგმის პროექტს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო დასამტკიცებლად წარუდგენდა საქართველოს პრეზიდენტს ორი თვით ადრე საგვამო წლის დაწყებამდე.

მას საქართველოს მთავრობის სხდომაზე განხილვის შემდეგ, საგვამო წლის დაწყებამდე ამტკიცებდა საქართველოს პრეზიდენტი.

ინდიკატური გეგმის პროექტის დაზუსტებული ვარიანტი (საწყისი ვარიანტისაგან განსხვავებით) შეიცავდა არა მხოლოდ საპროგნოზო გაანგარიშებებს, არამედ გეგმის კონცეპტუალურ და საგეგმო-მარეგულირებელ ნაწილებსაც. ამასთან, საგეგმო-მარეგულირებელ ნაწილში აუცილებელ სამთავრობო დონისძიებებთან ერთად წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული

სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები.


საქართველოში ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საშუალო და მოკლევადიანი ინდიკატური გეგმების შემუშავების ტექნოლოგიის თვალსაჩინოთ გამოსახატავად მოვიყვანოთ ასეთი ცნობილი სქემა (იხ. ნახ. 2).

ამ სქემიდან კარგად ჩანს სხვადასხვავადიანი ინდიკატური გეგმების ურთიერთავსებადობა და განპირობებულობა, მსგავსება მათი დამუშავების ტექნოლოგიურ ოპერაციათა ეტაპობრივ განაწილებაში. ამავე სქემიდან ნათლად ჩანს, აგრეთვე, რომ საშუალო ვადიან ინდიკატურ გეგმებს, ერთწლიანი გეგმისაგან განსხვავებით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებამდე განიხილავდნენ საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პროფილის კომიტეტები და დასკვნას რეკომენდაციის სახით წარუდგენდნენ საქართველოს პარლამენტს. პარლამენტის მიერ მოწონებული რეკომენდაციები გაითვალისწინებოდა ინდიკატური გეგმების საბოლოო ვარიანტის დაზუსტების პროცესში [17, 8, 9].

საქართველოში საგეგმო ინდიკატორების პროგნოზირების საქმეში გამოიყენებოდა ინდიკატორების პროგნოზირების რამდენიმე მეთოდი, რომელთაგან ყველაზე ცნობილად ითვლებოდნენ ექსტრაპოლაციის, ეკონომეტრიკული პროგნოზირების, ეკონომიკურ - მათემატიკური მოდელირების, პროგნოზული სცენარების აგების, ისტორიული ანალოგების, ექსპერტული შეფასებების და სხვა მეთოდები. როგორც ცნობილია თავის მხრივ, თითოეული მათგანი ხასიათდება სპეციფიკური თავისებურებებით, რაც ზოგჯერ, ბუნებრივია, ზღუდავდა მათი წმინდა სახით გამოყენების შესაძლებლობას და აუცილებელს ხდიდა მათ კომპლექსურ-სისტემურ გამოყენებას.

პროგნოზირების ხერხებიდან, როგორც ცნობილია, ყველაზე მარტივი და პრაქტიკულად ადვილად გამოყენებადია ექსტრაპოლაციის მეთოდი. ეკონომიკური პროგნოზირების ეს მეთოდი გულისხმობს, რომ ეკონომიკური მდგომარეობის წარსულ და მიმდინარე პერიოდში ჩამოყალიბებული ტენდენცია, მომავალშიც იმავე ფორმით და მიმართულებით განვითარდება. ცხადია, აღნიშნული მეთოდი მხოლოდ იმ შემთხვევაში იძლევა სასურველ შედეგებს, როცა ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებები მდგრადი და სტაბილურია. თუ ეს პირობა დაცული არ არის, პერსპექტივების კვლევა ექსტრაპოლაციის მეთოდით მეტად და-მახინჯებულ და პრაქტიკულად გამოუყენებად შედეგებს იძლევა.

მხედვის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საშუალო და მოპლიკაციანი ინდიკატორი გეგმების შემუშავების ფერმოლგიზმის სრულად



ნახ. 2.

ამჟამად პროგნოსტიკის თეორიასა და პრაქტიკაში ყველაზე უფრო საიმედო მეთოდად ითვლება ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდი. მოდელირება ნიშნავს ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების მათემატიკურ ფორმალიზაციას. მის საფუძველზე ვლინდება რეალობის შესაბამისი ახალი ეკონომიკური კანონზომიერებები. მოდელირების მეთოდს ეკონომიკური პროგნოზირების სხვა მეთოდებთან შედარებით, სხვადასხვა უპირატესობა გააჩნია. ჯერ ერთი, იგი იძლევა მრავალფაქტორული ანალიზის ჩატარების საშუალებას. მეორე, აღნიშნული მეთოდი წარმატებით იყენებს სხვა დანარჩენ მეთოდებს და მესამე, მოდელირების მეთოდი საშუალებას იძლევა ეკონომიკური განვითარების პროგნოზი გაანგარიშებულ იქნება რამდენიმე ვარიანტად და მათგან შეირჩეს ყველაზე საუკეთესო.

აღნიშნულიდან ცხადია, რომ საქართველოში ამჟამად დაგროვილია საკმაოდ დიდი გამოცდილება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესთა ინდიკატორი დაგეგმვისა და მართვის სფეროში. მუსიკულაცია ამსახ, საქართველოში აშენება აღარ წარმოვდეს ინდიკატური გვეგმების შედეგენა და რეალიზაცია. საქმე იმაში გახსენია, რომ 2003 წლიდან მთავრობაში მოვიდა რა რადიკალურად ამერიკის გამოცდილებაზე მიჯაჭვული მთავრობის ეკონომიკური გუნდი, ამ გუნდის ლიდერებმა, რომლებიც არ გამოირჩვიან ეკონომიკის თეორიისა და მისი კანონზომიერებების მეცნიერული ცოდნით, ამერიკის პრაქტიკას მიმდინარეობით, მთლიანად უარყვეს ინდიკატური მართვისა და დაგეგმვის მეთოდის საქართველოში გამოყენების აუცილებლობა და შეაჩერეს ამ საქმის რეალიზაცია. ყველაზე დიდი უბედურება იმაშია, რომ მათ არც ამერიკის ეკონომიკის მართვის ბერკეტები იციან დრომად, ვერ ასერხებენ ამ ბერკეტების საქართველოსათვის ეფექტური ანალიზების გამოძებნას და დაბნეულებებმა ძველის უსაფუძვლოდ უარყოფითად ახლის უქონლობის გამო, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მართვის სადაცები მიუშვეს თვითდინებაზე. ისინი ეკონომიკის მართვას ჯერ-ჯერობით ასერხებენ მხოლოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პოლიტიკის გამკაცებისა და შიშის სინდორმის დანერგვით, რაც საბოლოოდ ძალზე უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის სოციალური სფეროს განვითარებაზე და დიდ უკმაყოფილებას ბადებს მის მოსახლეობაში.

ბუნებრივია, რომ ეკონომიკის მართვას თავისი კანონები აქვს და მათი რეგულარული დარღვევა მოჩვენებით შედეგებს დიდხანს ვერ მოიტანს.

აღნიშნულიდან ცხადია, რომ მაღე დადგება დრო, როცა საქართველოს ეკონომიკის მართვა მოითხოვს აღნიშნული კანონების გათვალისწინებას. ამ დროს კი, ქვეყნის სპეციფიკაზე გამომდინარე, ჩვენი აზრით, უფრო მისაღები იქნება მისი განვითარების ინდიკატური მართვისა და დაგეგმვის მეთოდების გამოყენება, ვიდრე ამერიკის ეკონო-



მიკაზე მორგებული მართვის მოდელის პირდაპირი გაუცნობიერებელი გადმოტანა საქართველოს სინამდვილეში.

აქედან გამომდინარე ნათელია, რომ ინდიკატური დაგეგმვის მეთოდოლოგიურ-მეთოდიური საკითხების კვლევა დღესაც მეტად აქტუალურია პოსტკომუნისტურ სივრცეში მყოფი ქვეყნებისათვის, კერძოდ საქართველოსათვის.

პოსტკომუნისტური ქვეყნების უმრავლესობაში ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მსოფლიო გამოცდილების (მაგალითად ინდიკატური დაგეგმვის) გამოყენებაზე უარის თქმამ მნიშვნელოვნად იმოქმედა ამ ქვეყნებში ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებისა და დროში გაწელვის პროცესზე. ამგვარი კრიზისების სწრაფი გადალახვა მოითხოვს ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედების მასშტაბების დღვენდელ სიტუაციაში არსებულზე გაცილებით უფრო მეტად გაფართოებას და შესაბამისად ინდიკატური დაგეგმვის ეფექტიანი სისტემის შექმნას. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ დროს თავიდან უნდა იქნეს აცილებული სამეურნეო შექანიზმის ზედგები ცხეტრალიზაცია და ბიუროკრატიზაცია. ამასთან, ინდიკატური დაგეგმვა უნდა განხორციელდეს არა საბაზრო კანონზომიერებების, სტიმულების და ბერკეტების უგულებელყოფით, არამედ მათი გამოყენების საფუძვლზე.

ქვეყნის ეკონომიკის რეგულირების გეგმიური და საბაზრო მექანიზმების პარალელურად, ურთიერთშერწყმული გზით ისე გამოყენება, როგორც ეს ზემოთ იქნა მითითებული ადვილი არ არის. უფრო მეტიც, იგი მეტად რთულ პრობლემას წარმოადგენს. მისი წარმატებით გადაჭრისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს გეგმისა და ბაზრის ურთიერთგავლენის მსოფლიო გამოცდილება და მოხდეს მისი ადაპტირება პოსტკომუნისტური ქვეყნების, მათ შორის საქართველოს დღვენდელი პირობებთან.

სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად ისმის კითხვა – შესაძლებელია თუ არა ინდიკატური დაგეგმვის განხორციელება პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, თანამედროვე პირობებში? ზოგიერთი ეკონომისტი ამ კითხვაზე პასუხობს უარყოფითად. ამას ისინი იმით ხსნიან, რომ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (მათ შორის საქართველოში) ჯერ-ჯერობით არ ჩამოყალიბებულა არც ნამდვილი ბაზარი და არც ბევრი ისეთი პირობა, რომელიც აუცილებელია დასაჭლეოს ტიპის ინდიკატური დაგეგმვის განსახორციელებლად. ეს მოსაზრება თითქოს ერთი შეხედვით სწორია, მაგრამ იგი მაინც არ არის საკმარისად დამტკიცებული და ჩვენ მათი ავტორების დასკვნა არ მიგვაჩნია სწორად. ამის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ ამჟამდ პოსტკომუნისტური ქვეყნების უმრავლესობაში, მათ შორის საქართველოში, მწვავე ეკონომიკური კრიზისიდან დაჩქარებული გამოსვლა ით-

ხევს საბაზრო რეფორმების ჩატარების სპეციფიკურ და ქმედით მეთოდებზე გადასვლის აუცილებლობას. ეს აღბათ უნდა იყოს ისეთი მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს საბაზრო პროცესების შერწყმას ქვეყნის ანტიკრიზისული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესთა დაგეგმვასთან. ამ ამოცანის გადაწყვეტა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში თანამედროვე პირობებში არის მეტად რთული, რადგან იგი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია დირექტიული დაგეგმვის მიერ ამ ქვეყნებში დატოვებულ "ანტისაგეგმო სინდრომთან".

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, წარმოიშვა მაკროეკონომიკური დაგეგმვის პოსტკომუნისტური კონცეფციის შემუშავებისა და დასაბუთების ობიექტური აუცილებლობა ისეთ საბაზრო პირობებში, რომლებიც დააკმაყოფილებს პოსტკომუნისტური ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, განვითარების დღევანდებულ პირობებს.

ცნობილია, რომ ადნიშნულ ვითარებაში ინდიკატური დაგეგმვის სისტემის ფორმირების კონცეპტუალური საფუძვლების შემუშავებისა და დასაბუთების პროცესში, რომელიც წარმოადგენს მეტად რთულ პრობლემას, აუცილებელია შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტების გათვალისწინება: ა). პირველი ასპექტი დაკავშირებულია იმასთან, რომ ამ რთული პრობლემის წარმატებით გადასრა შესაძლებელია ისეთი სოციალური აღტერნაცივების თეორიის გამოყენების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებენ ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური სისტემების განვითარების პროცესთა მრავალვარიანტულობას; ბ). მეორე ასპექტი დაკავშირებულია იმასთან, რომ ინდიკატური დაგეგმვის სისტემის კონცეპტუალური საფუძვლების ფორმირების ამოცანის გადაწყვეტა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (მათ შორის საქართველოში) ამჟამად არსებულ პირობებში მოითხოვს სტრატეგიულად აზროვნების შესაძლებლობების გააზრების პრინციპულად ახალ დონეს; გ). მესამე ასპექტი ითვალისწინებს მთელი სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების გლობალიზაციის პროცესთა მოთხოვნების გათვალისწინების აუცილებლობას.

აღსანიშნავია, რომ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში ამჟამად არსებულ პირობებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის აუცილებელ ელემენტად უნდა იქცეს ინდიკატური დაგეგმვა. მან უნდა მოიცვას სამეცნიერო-ტექნიკური და სამრეწველო პოლიტიკა, მათ შორის იმ საწარმოთა რესტრუქტურიზაციის პოლიტიკა, რომლებიც უზრუნველყოფენ სამამულო მრეწველობის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

პოსტკომუნისტური ქვეყნების, მათ შორის საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ამ ქვეყნებში ამჟამად მიზანშეწონილი იქნება ინდიკატური დაგეგმვის სტრატეგიული, ან სტრუქტურულ-სტრატეგიული ფორმის გამოყენება.

ამ ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესების ეფექტიანი მართვა ითხოვს, რომ მათი განვითარების გეგმის ფორმირების ტექნოლოგიაში აუცილებელია შეტანილ იქნეს კარდინალური ცვლილებები. ასე მაგალითად, უკეთესობის გეგმები, ან უბრალოდ სტრატეგიული გეგმები, რომელშიც შესაბამისად ჩამოყალიბებულ უნდა იქნენ ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარების ისეთი უმნიშვნელოვანები სტრატეგიული მიზნები, რომელთა პრაქტიკული რეალიზაციაც შესაძლებელს გახდის მთლიან ეკონომიკურ სისტემაში საჭირო გარდევვის განხორციელებას.

ამგარ გეგმას გააჩნია რიგი უპირატესობებისა. მათგან შეიძლება გამოყოფილ იქნეს შემდეგი: ა). მისი სახელმწიფო სტრუქტურული პოლიტიკის მიზნებთან შეთავსებისა და შეთანხმების შესაძლებლობა; ბ). ეროვნული ეკონომიკის განვითარების ოპტიმიზაციის (რომელიც არასრული ინფორმაციის პირობებში გვეჩვენება არარეალურად) აუცილებლობის არ არსებობა; გ). გარდამავალი ეკონომიკის სტრატეგიული გეგმის შემუშავება არ ითხოვს მატერიალურ-ფინანსური დაბალიანებადობის უზრუნველყოფის (რაც მოცემულ პირობებში სშირად შეუძლებელია) აუცილებლობას; დ). ეკონომიკის სტრატეგიული დაგეგმვისა და ადმინისტრაციული მეთოდებით სახელმწიფო რეგულირების პროცესთა წარმატებული ურთიერთშერწყმის შესაძლებლობა გარდამავალ პერიოდში.

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, ამჟამად ინდიკატური გეგმის შემუშავების ტექნოლოგიაში არ უნდა სჭარბობდეს ძველი ტენდენციების ექსტრაპოლაცია. ამგვარი გეგმების შემუშავება უნდა დაიწყოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნების ფორმულირებით მოცემულ პერსპექტიულ პერიოდზე და ამ მიზნების რეალიზაციისათვის არსებული რესურსების შეფასებით.

ინდიკატური გეგმის შემუშავების პროცესი ზოგადად სქემატურად შეიძლება გამოისახოს ამგვარად (იხ. ნახ. 3):

აღნიშნული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციების ბაზაზე უნდა განხორციელდეს მათი განვითარების სტრატეგიების – განვითარების ინდიკატური გეგმების შემუშავება.

ინდიკატური გეგმების შინაარსები მათი დაგეგმვის პორიზონტის გათვალისწინებით უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

ხანგრძლივვადიანი (15 წლიანი) ინდიკატური გეგმის ძირითად მიზანს უნდა წარმოადგენდეს ქვეყნის ხანგრძლივვადიანი განვითარების ორიენტაცია სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკური განვითარების გლობალურ სივრცეში. ამგვარი გეგმის მთავარ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიული მიმართულებების ძებნა და შეჩევა.

ა). პროგნოზულ-ანალიზური დასაბუთება და გაანგარიშებები



ბ). ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციის ფორმირება



გ). სტრატეგიული ხასიათის სახელმწიფო ინდიკატური გეგმის შემუშავება



დ). სახელმწიფო ინდიკატური ღონისძიებების პროგრამის შემუშავება და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ფორმირება



ე). სახელმწიფო ინდიკატური გეგმის ღონისძიებების რეალიზაციის სტრატეგიის განსაზღვრა



ვ). კონტროლი სახელმწიფო ინდიკატური გეგმის ღონისძიებების რეალიზაციაზე.

ნახ. 3.

საშუალოვადიან (5 წლიან) ინდიკატურ გეგმაში მიზანშეწონილია განისაზღვროს ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისეთი პრიორიტეტები, რომლებიც დამახასიათებელია ინდიკატური დაგეგმვის საშუალოვადიანი ციკლიდამასახასიათებელია ინდიკატური დაგეგმვის საშუალოვადიანი ციკლის. ამგვარი პრიორიტეტები შეიძლება საფუძვლად დაედოს ეროვნული ეკონომიკის სასურველი პროპორციების განსაზღვრასა და მიზნობრივი პროგრამების შემუშავებას.

წლიური ინდიკატური დაგეგმვის პროცესი შეიძლება შეიცავდეს მირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების დახასიათებას და ეკონომიკური პოლიტიკის კონკრეტულ ინსტრუმენტებს.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის ინდიკატური სისტემების დანერგვა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტის კატური სისტემების დანერგვა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტის ბიუჯეტის სრულიად ფორმირების ტექნოლოგიის შეცვლას. ამ დროს ბიუჯეტი სრულიად უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული ეკონომიკის განვითარების პოლიტიკას. ასეთ პირობებში ბიუჯეტის შემუშავების საფუძვლად უნდა ჩაიდოს კანონით დადგენილი ისეთი ნორმატივები, რომლებიც განსაზღვრა დაგენერირებული ინდიკატურის მიზნების და მიზნობრივი პროგრამების შემუშავებას.

ვრავენ საბიუჯეტო დანახარჯების დონეს სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრული მიმართულებების მიხედვით. მასში, აგრეთვე, უნდა აისახოს პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომა დანახარჯების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესებისადმი.

ასეთ შემთხვევაში დაფინანსების დროს პრიორიტეტი უნდა მიუცეს იმ დანახარჯებს, რომლებიც განკუთვნილი იქნებიან: სამეცნიერო კვლევების ჩატარებაზე და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სტიმულირებაზე, განათლებაზე, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, ინვესტიციური პროგრამების დაფინანსებაზე.

ამგვარად შედგენილი ბიუჯეტი ხელს შეუწყობს ორი ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანის წარმატებით გადაჭრას, როგორიცაა: ა). ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის ინვესტიციური ნაწილის დაუფინანსებლობის შემცირება და თანდათან ლიკვიდაცია; ბ). კერძო ინვესტორების კაპიტალის სამეურნეო ბრუნვაში შეყვანის მასშტაბების მნიშვნელოვანი გაზრდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მომავალში აუცილებელია პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, სპეციალური ინვესტიციური ბიუჯეტის შემუშავების იდეამ შეიძინოს საყოველთაო აღიარება და უნდა მოხდეს მისი პრაქტიკული რეალიზაცია. ამისათვის კი, პირველ რიგში, საჭიროა აღნიშნულ ქვეყნებში შეიქმნას ნორმატიულ-სამართლებრივი წინაპირობები. ეს, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება აიხსნას იმით, რომ პოსტკომუნისტური ქვეყნების საბიუჯეტო სისტემას ახასიათებს რიგი ნაკლოვანებები. მათგან უმნიშვნელოვანების შეიძლება მიაკუთვნონ შემდეგი:

ა). პოსტკომუნისტური ქვეყნების, მათ შორის საქართველოს საბიუჯეტო სისტემები ამჟამად არ გამოირჩევიან ისეთი შესაძლებლობებით, რომ იმპულსი მისცენ საქმიანი და საინვესტიციო აქტიურობის ზრდას;

ბ). პოსტკომუნისტური ქვეყნების ბიუჯეტის ფორმირება ხორციელდება ეგრეთწოდებული "ნაშთების" მეთოდით;

გ). პოსტკომუნისტურ ბიუჯეტში არ ხდება მისი საშემოსავლო ნაწილის სანდო საფინანსო-რესურსული ბაზის გათვალისწინება.

დ). პოსტკომუნისტურ ბიუჯეტში არ არის უზრუნველყოფილი გასავლებისა და ისეთი სტრუქტურულ-ინვესტიციური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების ურთიერთკავშირი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას;

ე). პოსტკომუნისტური ბიუჯეტი ორიენტირებულია ისეთ მიზნობრივ "მაკავშირებელ" კრედიტებზე, რომლებიც მჭიდრო ურთიერთობებშია საზღვარგარეთის ფირმებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ვ). მათში გამოყენებულია პროექტების ბოლომდე დაუფინანსება-
ლობის პრაქტიკა, რაც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად ამცირებს კერ-
ძო ინვესტიციების ნდობას სახელმწიფოსადმი;

ზ). ამ ტიპის ბიუჯეტების მიერ სახელმწიფო საინვესტიციო გა-
რანტიების გაცემის სქემები არ არის სანდო.

აღნიშნულიდან ცხადია, რომ პოსტგრამუნისტურ ქვეყნებში, კერ-
ძოდ საქართველოში ამჟამად გადაუდებელ გადაწყვეტიას მოითხოვს
საბიუჯეტო პროცესების ფორმირებისა და რეგულირების მქანიზმების
ისეთი გარდაქმნების ამოცანები, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო
ბიუჯეტები აღნიშნულ ქვეყნებში უნდა გადაიქცნენ ეკონომიკის "დაცვ-
მის" პროცესების თავიდან აცილებისა და შემდგომში ეკონომიკური
ზრდის უზრუნველყოფით რეალურ ინსტრუმენტებად. ამის მისაღწევად
პოსტგრამუნისტური ბიუჯეტების ფორმირების პროცესებში საჭიროა
გათვალისწინებულ იქნეს ისეთი ცვლილებები, როგორიცაა: ა). საშუა-
ლოვალიანი ინდიკატური გეგმა შედგენილ უნდა იქნეს განვითარების
საშუალოვალიანი ბიუჯეტის შემუშავების პარალელურად. ბ). მიზანშე-
წონილად მიგვაჩნია განვითარების ბიუჯეტის მკაფიოდ გამიჯვნა ქვეშ-
ნის წლიური ბიუჯეტისაგან; გ). გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბიუჯეტის
გრის საშუალოვალიანი პროექტირების და განვითარების ბიუჯეტის
წლიური მაჩვენებლების კანონმდებლობითი გამაგრება; დ). განვითარე-
ბის ბიუჯეტის შემუშავების პრაქტიკაში აუცილებელია გამოყენებულ
იქნეს ამ ბიუჯეტის საშუალოვალიან და წლიურ ბიუჯეტებთან შეთან-
ხმების აუცილებლობის პრინციპი; ე). ჩამოყალიბებულ იქნეს განვითა-
რების ბიუჯეტის ისეთი მთლიანი სისტემა, რომელიც შედგება განვი-
თარების ფედერალური სისტემისაგან და რეგიონების განვითარების
ბიუჯეტისაგან; ვ). გათვალისწინებულ უნდა იქნეს განვითარების ბიუ-
ჯეტის საშემოსავლო ნაწილის მნიშვნელოვანი გაფართოება; ზ). განვი-
თარების ბიუჯეტი გამოყოფილ უნდა იქნეს კონსოლიდირებული ბიუ-
ჯეტისაგან და ის რეალიზებული იქნეს განვითარების ისეთი ინსტი-
ტუტების მიერ, რომელთა რეფინანსირება ხდება საკუთარი და მოზი-
დული წყაროების ხარჯზე.

გარდა ამისა, საჭიროა, რომ ინდიკატური დაგეგმვის სისტემაში
გათვალისწინებულ იქნეს ფულადი მიწოდების პროცესთა დაგეგმვა.

ინდიკატური დაგეგმვის პროცესში მნიშვნელოვანი როლი უნდა
შეასრულოს საჯაროების პრინციპის შეტანამ, რაც იმას გულისხმობს,
რომ ინდიკატურმა გეგმამ უნდა განიცადოს ფართო მასშტაბების სა-
ზოგადოებრივი განსჯის პროცესი.

ინდიკატურმა გეგმამ განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს
ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის საწარმოებთან დაკავშირებით.

ამჟამად პოსტგრამუნისტურ ქვეყნებში აღნიშნება დაგეგმვისათვის
საჭირო ინფორმაციის უკმარისობა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ინდიკა-

ტური გეგმები შეიძლება შედგეს სამწლიანი დროითი პერიოდის გათვალისწინებითაც. ამგვარი ინდიკატური გეგმები შეიძლება შეიცავდნენ შემდეგი ჯგუფის მაჩვენებლებს: а). სახელმწიფო საწარმოების საქმიანობის ამსახველი ძირითადი მაჩვენებლები; ბ). ძირითადი ეკონომიკური ნორმატივები და შედაგათები; გ). სუბსიდიები და შედაგათები კონკრეტული საწარმოების მიხედვით; დ). ისეთი მნიშვნელოვანი სახეობის პროდუქციის წარმოების მოცულობები, რომლებიც ჩართული არიან სახელმწიფო შეკვეთების და განვითარების სახელმწიფო პროგრამების დოკუმენტებში; ე). საწარმოო ინფრასტრუქტურის, მათ შორის სახელმწიფო კაპიტალდაბანდებების განვითარების მაჩვენებლები; ვ). სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ობიექტებისათვის სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების ამსახველი მაჩვენებლები; ზ). სახელმწიფო ცენტრების და სხვა ორგანიზაციების სისტემაში კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მაჩვენებლები; თ). სახელმწიფო სამეცნიერო დაწესებულებების განვითარების ძირითადი მაჩვენებლები; ი). ფუნდამენტური და უმნიშვნელოვანესი გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ფინანსირებისა და რესურსები უზრუნველყოფის მოცულობები; კ). სახელმწიფო პროექტების ფინანსირების მოცულობები; ლ). ახალი სახელმწიფო საწარმოების, სამეცნიერო ცენტრების და ა.შ. შექმნისათვის საჭირო სახელმწიფო კაპიტალდაბანდებების მოცულობები; მ). იმ რესურსებისა და შემოსავლების მოცულობები, რომლებიც ექვემდებარებიან გადანაწილების პროცესს არაეჭვივალენტურ საფუძველზე; ნ). ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის, როგორც მისი ძირითადი ფინანსური გეგმის შემოსავლები და გასავლები.

ამგვარ ინდიკატურ გეგმაში ეროვნული ეკონომიკის კერძო სექტორის ასახვა უნდა მოხდეს მასში მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების მსხვილი კორპორაციების, ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფების და სხვა ობიექტების განვითარების განზოგადებული მაჩვენებლების ჩართვის გზით.

ამგვარად აგებული ინდიკატური გეგმა უნდა ითვალისწინებდეს მისი პრაქტიკული რეალიზაციისათვის საჭირო ინსტრუმენტებს, რომლებიც შეიძლება ჩართულ იქნენ სახელმწიფო კომპლექსურ პროგრამებში და საკონტრაქტო სისტემაში.

ცნობილია, რომ სახელმწიფო ინდიკატური გეგმის შემუშავებისა და დასაბუთების დროს აუცილებელია რიგი მეთოდოლოგიურ-მეთოდიკური ხასიათის საკმაოდ რთული პრობლემების გადაწყვეტა. მათგან შეიძლება გამოიყოს შემდეგი: ა). დაფინანსების სახელმწიფო და კერძოწყაროების შესაძლებლობებს შორის რაციონალური ურთიერთდამოკიდებულების ზომების დადგენა და დასაბუთება; ბ). რესურსების შეზღუდულობის პირობებში ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და სოცი-

ალური, ეკოლოგიური და სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობებს შორის რაციონალური კაგშირების გამოვლენა და მათი პრაქტიკული რეალიზაცია; გ). სახელმწიფო ინდიკატურ და გეგმვასა და რეგიონული დაგეგმვის პროცესებს შორის საჭირო ურთიერთკავშირების უზრუნველყოფა.

ინდიკატური დაგეგმვის სტრატეგიული ფორმის გამოყენება იძლევა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რიგი პერსპექტივული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებებს. მათგან შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

ა). სტრატეგიული ხასიათის სახელმწიფო ინდიკატური გეგმის ფარგლებში უნდა განხორციელდეს ეროვნული ეკონომიკის საშუალო და ხანგრძლივადიანი განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტების მქაფიო და დასაბუთებული სისტემის შემუშავება;

ბ). სახელმწიფო ინდიკატური გეგმის შემუშავების დროს აუცილებელია ეკონომიკის განვითარების სახელმწიფო პროგნოზების დასაბუთებულობის მნიშვნელოვანი ზომით ამაღლება;

გ). აუცილებლად უნდა განხორციელდეს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ისეთი ღონისძიებები, რომლებიც იქნებიან ქვეყნის სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების აღექვაზერთიდან. სახელმწიფო როლის გაძლიერება ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის უზრუნველყოფისა და მხარდაჭერის სფეროში.

სახელმწიფოებრივი ინდიკატური გეგმის პრაქტიკული განხორციელების მქანიზმების შემუშავება პოსტკომუნისტური ქვეყნების, მათ შორის საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის პირობებში უნდა დაუყრდნოს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების, ისეთ ინსტრუმენტებს, რომლებიც უკვე შემუშავებული და აპრობირებულია მსოფლიო პრაქტიკში; ამ ინსტრუმენტებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი უმნიშვნელოვანები: 1. ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის განვითარების გეგმების შემუშავება და ოანდათანობითი რეალიზაცია; 2. ინვესტიციური შეთანხმებების გეგმის შემუშავება და განხორციელება; 3. ინოვაციური და ინვესტიციური სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია; 4. შეთანხმებული საფასო პოლიტიკის განხორციელება, ბუნებრივი მონოპოლიების ტარიფების რეგულირება, ხამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება; 5. სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური და ინვესტიციური საქმიანობისათვის კეთილსასურველი რეჟიმის შექმნა.

ინდიკატური დაგეგმვის სტრატეგიული ფორმის წარმატებით დანერგვისათვის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, აუცილებელია წინასწარ იქნეს გადაწყვეტილი ისეთი ძირითადი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი პრობლემების კომპლექსები, როგორიცაა: ა). პოსტკომუნისტური ქვეყნების, მათ შორის

საქართველოს ეკონომიკის ტექნოლოგიური და ინსტიტუციონალური მოდერნიზაციის ჩატარება; ბ). ეროვნული ეკონომიკის გაყვანა მყარი და დინამიკური განვითარების ტრაექტორიაზე; გ). ცხოვრების უზრუნველყოფა პირობების შექმნის და ეკონომიკური ზრდის პრიორიტეტებზე გადასვლა; დ). ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემის ისეთი გარდაქმნა, რომელიც ორიენტირებული იქნება განვითარების პროცესთა მართვაზე; დ). ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებისა და თვითრეგულირების ეკონომიკური ინსტიტუტების ეფექტიანი სისტემის ფორმირება.

წინამდებარე ნაშრომში ასახული სამეცნიერო კვლევის შედეგებიდან ყველაზე მნიშვნელოვანის რანგში შეიძლება გამოვყოთ ისეთები, როგორიცაა:

- მსოფლიო გამოცდილების ანალიზი გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ამჟამად პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, მაკროეკონომიკურმა დაგეგმვამ უნდა მიიღოს ინდიკატური დაგეგმვის ფორმა; ეს უკანასკნელი განხილულ უნდა იქნეს როგორც ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი ელემენტი, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების და საბაზრო თვითრეგულირების მექანიზმების რაციონალური შერწყმის აუცილებლობის მოთხოვნები;

- ინდიკატური დაგეგმვა საზოგადოდ წარმოადგენს ისეთი პროცედურების ერთობლიობას, რომლებიც ახდენენ ეკონომიკის მართვის სახელმწიფო და კერძო სუბიექტების ეკონომიკური ინტერესების ურთიერთშეთანხმებას ამ სუბიექტების თანაბარულფლებიანობის პირობებში;

- ინდიკატური დაგეგმვის მექანიზმი ითვალისწინებს სახელმწიფო რეგულირების შერწყმას სხვადასხვა დონის ეკონომიკური სისტემების საბაზრო და არასაბაზრო თვითრეგულირების პროცესებთან და ემყარება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების (ინდიკატორების) შემცველი სისტემის შემუშავებას;

- მსოფლიო გამოცდილების ანალიზიდან გამომდინარე ცხადია, რომ ინდიკატური დაგეგმვის სახესხვაობებიდან ძირითადად შეიძლება გამოიყოს ოთხი ტიპი: 1. "ინდირექტურული დაგეგმვის"; 2. კონკრეტურული; 3. სტრუქტურული და 4. სტრუქტურულ-ინდიკატური დაგეგმვის ტიპები.

პოსტკომუნისტური ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, ამჟამინდელ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში, ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში, ლაპარაკი შეიძლება ინდიკატური დაგეგმვის მხოლოდ კონკრეტურული ფორმის დანერგვაზე.

- პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, ინდიკატური დაგეგმვის სისტემის ფორმირების დროს აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ისეთი მოქნეტები, როგორიცაა: 1. აუცილებელია

შეიქმნას ეროვნული ეპონომიკის სახელმწიფო რეგულირების და გარდამავალ პერიოდში მაკროეკონომიკური რეგულატორების რაციონალური გამოყენების ორიგინალური სისტემა; 2. ქვეყნის ეკონომიკა განხილულ უნდა იქნეს, როგორც მთლიანი განვითარებადი სისტემა, რომლის ცენტრშიც იმყოფება ადამიანი, როგორც ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი მატარებელი; 3. ინდიკატური დაგეგმვის კონცეპტუალური საფუძვლების შემუშავების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს სოციალური აღტერნატივის თეორიის მოთხოვნები;

აღნიშნულისა და პოსტკომუნისტური ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, სპეციფიკური პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ნიშნებიდან გამოყინარე, ამ ქვეყნებში ამჟამად ქვეყნის ეკონომიკის მართვის სფეროში მიზანშეწონილად მიგვაჩნია ინდიკატური დაგეგმვის სტრატეგიული (ან სტრუქტურულ-სტრატეგიული) ფორმის გამოყენება.

სახელმწიფოებრივი ინდიკატური გეგმის შედგენისა და რეალიზაციის პროცესი უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ სტადიებსა და ელემენტებს:

— ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გარიანტების დასაშვები ერთობლიობის განსაზღვრისათვის საჭირო პროგნოზულანალიტიკური დასაბუთება და გათვლები;

— ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციის შემუშავება;

— სახელმწიფო ინდიკატური გეგმის შემუშავება, რომელიც სტრუქტურიზებული იქნება დროითი ნიშნის მიხედვით;

— სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შემუშავება;

— კონტროლი სახელმწიფო ინდიკატურ გეგმაში ასახული დონის ძიებების რეალიზაციაზე.

ლიტერატურა:

1. ი. ანანიაშვილი, ქ. აჩელაშვილი, ი. მესხია, ვ. პაპავა, ა. სილაგაძე, გ.წერეთელი. მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები. თბილისი, „მეცნიერება”, 2003. 739 გვ.
2. ჯ. არაბიძე, თ. მახვილაძე, „ძირითად სინთეზურ და საბიუჯეტო მაჩვენებელთა პროგნოზირების საბაზო მაკროეკონომიკური მოდელი”. ფინანსების ს/კ ინსტიტუტის შრომების კრებული, –V ტომი, თბილისი, 2000, გვ. 110-129.
3. ჯ. არაბიძე „საგადასახადო პოლიტიკის პირდაპირი ფისკალური შფექტის განსაზღვრის საკითხები (მეთოდოლოგიური საფუძვლები

- და პრაქტიკული აპრობაცია)”. ფინანსების ს/კ ინსტიტუტის შრომების კრებული, V – ტომი, თბილისი, 2002, გვ. 138-165.
4. თბასილია, ა.სილაგაძე, თ.ჩიკვაძე. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XX – საუკუნის მიჯნაზე თბილისი, 2001.
 5. ზ.ბერიშვილი. საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობები და ინდიკატური დაგეგმვა. ჟურნალი „ეკონომიკა“ 10-11, 1993.
 6. ა. გაბელია „საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლების პროგნოზირების მეთოდიკის შესახებ“, ფინანსების ს/კ ინსტიტუტის შრომების კრებული, V – ტომი, თბილისი, 2002, გვ. 178-193.
 7. ი. მესხია. ინდიკატური დაგეგმვა საბაზრო ეკონომიკის სამსახურში. ჟურნალი „ეკონომიკა“ №8-9, 1993.
 8. ს. სანაძე „ეკონომიკური განვითარების დინამიკისა და სტრუქტურის სახელმწიფო ბრივი რეგულირების საკითხები (მატერიალური და ფინანსური რესურსების ბრუნვის მოდელირება)“. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ს/კ ინსტიტუტის შრომების კრებული, -V ტომი, თბილისი, 1999, გვ. 249-262.
 9. ს. სანაძე „ეკონომიკური წონასწორობის პროგნოზულ-ანალიზური გაანგარიშების სქემა და მოდელთა კომპლექსი“. ქ. „მაცნე“, ეკონომიკის სერია, ტ. 6, 1-2, თბილისი, 1997. გვ. 3-11.
 10. ვლ. პაპავა. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომიკა და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, 2002, გვ. 526.
 11. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს 2002 წ. 20 მარტის 01/01-01/35 ბრძანება საქართველოს ტერიტორიული ერთეულის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამის შემუშავებისა და რეალიზაციის მეთოდური რეკომენდაციების შესახებ.
 12. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმა. თბილისი, 1996.
 13. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 2001-2005 წლების ინდიკატური გეგმა. თბილისი, 2001.
 14. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 2002 წლის ინდიკატური გეგმა. თბილისი, 2001.
 15. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო, საქართველოს სამრეწველო პოლიტიკის კონცეფცია (ცვლილებებით და დამატებებით). თბილისი, 2002.

16. საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი. პროდუქციის ხტაბის-ტიკური კლასიფიკაცია საქმიანობის სახეობათა მიხედვით. თბილისი, 1999.
17. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის მეთოდიკა. თბილისი, 2003.
18. კანონი საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ. თბილისი, 1997.
19. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წ. 24 დეკემბრის 711 ბრძანებულება "სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების (საპროგრამო წინადაღების) შეჩევისა და დაფინანსების წესის შესახებ".
- 20.Ю.В. Богатин, В.А. Швандар. Оценка эффективности бизнеса и инвестиций. Москва, 1999.
- 21.Джон Э. Ханк, Дин У. Уичерн, Артур Дж. Райте. Бизнес-прогнозирование. Седьмое издание. Изд. дом "Вильямс". Москва, Санкт-Петербург, Киев, 2003. Перевод с англ. яз. 651 стр.
- 22.В.Дудкин, Ю. Петров. Индикативное планирование – механизм координации деятельности государственных и негосударственных объектов управления экономикой. "Российский экономический журнал". Москва, 1998, №6.
- 23.Л.Евграшин. Из практики французского индикативного планирования. "Российский экономический журнал". Москва, 1999, №2.
- 24.Индикативное планирование: теория и пути совершенствования, Санкт-Петербургский госуниверситет экономики и финансов. Санкт-Петербург, 2000.
- 25.Институт экономики Российской Академии наук, Московская межбанковская валютная биржа. Россия – 2015: оптимистический сценарий. Ответств. редактор акад. Л.И.Абалкин. Москва, 1999.
- 26.Кристофер Доугерти. Введение в эконометрику. Москва, "Инфра-14", 1999.
- 27.Курс социально-экономической статистики. Под ред. проф. М. Г. Назарова. Москва, "ЮНИЕ", 2000.
- 28.Магнус Я.Р. идр. Эконометрика. Москва, "Дело", 1997.
- 29.Морис Алле. Условия эффективности в экономике. Москва, 1998.
- 30.Национальное счетоводство. Под ред. проф. Г.Д. Кулагиной. Москва, "Финансы и статистика", 1997.
- 31.Рабочая книга по прогнозированию. Москва, "Мысль", 1982.
- 32.Рынок труда и доходы населения. Под ред. проф. Н.А. Волгина. Москва, 1999.
- 33.Система национальных счетов 1993; том-1, том-2; Комиссия Европейских сообществ – Евростат, Международный валютный фонд, Организация экономического сотрудничества и развития; ООН, Департамент по

экономической и социальной информации и анализу политики; Всемирный банк. Брюссель/ Люксембург, Вашингтон, О.К., Нью-йорк, Париж, 1998.

34.Ю.Степанов. Макроанализ и прогнозирование в условиях перехода на систему национального счетоводства. Журнал "Вопросы экономики". Москва, 1993.

THE THEORETICAL ASPECTS OF FUNCTIONING OF INDICATIVE PLANNING SYSTEM IN POSTCOMMUNIST COUNTRIES, PARTICULARLY IN GEORGIA

Giorgi Tsereteli, Nana Bibilashvili

*P. Gugushvili Institute of Economics,
The Academy of Sciences of Georgia
14, Kikodze str., 0105, Tbilisi, Georgia*

SUMMARY. The work is dedicated to the elaboration of methodological-methodical principles of formation and functioning of indicative planning system in postcommunist countries, including Georgia and to the outlining the ways of their practical realization in Georgia. There is given the analysis of forecasting the functioning processes of the country economy and of selected materials of world experience of indicative planning and is also realized the socialization of the most important moments; there is substantiated the necessity of indicative planning of developing processes of national economy in postcommunist countries, particularly in Georgia; is worked out the formation-functioning mechanism of indicative planning in these countries; is constructed the measurement system necessary for practical realization of such a mechanism after the example of Georgia etc.

ТЕОРЕТИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ ФУНКЦИОНИРОВАНИЯ СИСТЕМЫ ИНДИКАТИВНОГО ПЛАНИРОВАНИЯ В ПОСТКОММУ- НИСТИЧЕСКОЙ СТРАНЕ, В ЧАСТНОСТИ В ГРУЗИИ

Георгий Церетели, Нана Бибилашвили

Институт экономики им. П. Гугушвили АН Грузии
Тбилиси, 0105, ул. Кикодзе 14

РЕЗЮМЕ. Работа посвящается разработке методолого-методических принципов функционирования системы индикативного планирования и намечанию путей их практической реализации в посткоммунистической стране, в частности в Грузии. В ней дается анализ данных, отражающих мировой опыт индикативного планирования, и обобщены наиболее значительные моменты такого опыта; обоснована необходимость индикативного планирования процессов развития национальной экономики в посткоммунистической стране, в частности в Грузии; разработан механизм функционирования системы индикативного планирования в стране; построена система мероприятий, необходимых для практической реализации подобного механизма на примере Грузии и др.



მეურნეობრიობის ძართული ტრადიციები და ეროვნული
მეურნეობრიობის ცენტრობის ძირითადი ნიშნები
(ისტორიულ-ეკონომიკური და სოციოლოგიური ასპექტები)

ომარ შურდაია

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა
და ხოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი
0105, თბილისი, აუშენის ქ., 5/7
შემოვიდა: 2005 წლის 15 სექტემბერს

რეზიუმე: სტატიაში განხილულია მეურნეობრიობის ქართული ტრადიციებისა და მეურნეობრივი ფსიქოლოგიის ურთიერთობიმართება-ურთიერთობანაორობების საკითხები, შესწავლილია საქართველოს სხვადასხვა მხარის ბუნებრივ-მეურნეობრივი და ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გავლენა, ერთი მხრივ, მეურნეობის გაძლოლის წესის, გამოცდილებისა და ტრადიციების, საერთოდ, ეროვნული მეურნეობრივი კულტურის. ხოლო, მეორე მხრივ, მეურნეობრივი ფსიქოლოგიის ძირითადი ნიშან-თვეებათა ჩამოყალიბება-განვითარებაზე.

დასაბუთებულია, რომ ქართულ მეურნეობრივ ფსიქოლოგიას მნიშვნელოვანწოდა და განსაზღვრავდა დედლ-მამულისადმი, მიწის დამუშავებისადმი, მცენარეთა კულტისადმი, სამყაროსადმი სრულიად გამორჩეული დამოკიდებულება. ამის გამოხატულება მიწისა და ქვეყნის ტოლფას მნიშვნელობის ცნებებიდან აღქმა, უფრო მეტიც, ქართული მეურნეობის უმთავრესი დარგების – მხელე-მთესებულობის, მევნეობისა და მედვინეობის ეროვნულობასთან, ქართველობასთან, მიწის მუშაკებისა კი – ადგილის მკვიდრობასთან, ბინადრობასთან, აბორიგენობასთან გაიგივება.

* * *

ეროვნული მეურნეობრივი კულტურა, მეურნეობრიობის გამოცდილება და ტრადიციები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის ერთერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია. ეს, უპირველეს ყოვლისა, ითქმის ისეთ ქვეყნაზე, როგორიც საქართველოა, სადაც მეურნეობის კულტურა და მეურნეობრიობის ტრადიციები შორეულ წარსელში იღებს სათავეებს. ამასთან დაკავშირებით თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ წერდა აღ. მანვალიშვილი: „ჩვენი ეროვნული მეურნეობის კულტურა რომ მაღალ საფეხურზე არ მდგარიყო, ერთი და იგივე ტერიტორია, მაშინ ხუთჯერ მეტ მოსახლეობას ვერ შეინახავდა“ [1, გვ. 37].

სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ ძველი ბერძნები საქართველოს „გორგიას“ ეძახდნენ. ვახუშტი ბატონიშვილს სწორედ მხნედ მუშაკობა მიაჩნდა ქართველთა ერთ-ერთ უპირველეს ეროვნულ თვისებად და სწორედ ამ თვისებას უკავშირებდა საქართველოს უცხოურ სახელწოდებას. გიორგიაცა, – წერდა იგი, – მხნედ მომჭირნეობისა მუშაკობისა ქართველთათა ეწოდა [რამეთუ „გორგი“ მუშაკად ითარგმნის“ [2, გვ. 39]. უწინარესად მუქაით შრომისმოყვარეობასა და მაღალ სამუ-

ურნეო კულტურაზე მეტყველებს იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჩამონათვალიც კი, რომლებიც ოდითგანვე მოჰყავდათ საქართველოში: „... ბრინჯი, ხორბალი, ქროლი, შვრივა, სიმინდი, ღომი, ფეტვი, ჭუბუდო, ლობიო, ოსპი, ცერცვი, საქარისი, ბაბა, მაშა, უგრებელი, კანაფი, სელი და სხენიცა... ნარინჯინი, თურილნი, ლიმონი, ზეთისხილი, ბროწეული, ყურძენი, ატამი, ვაშლატამი, ყაისი, ჭერამი, ალუხა, ტყემალი, ნუში, უნამი, თუთა, ხართუთა, ბურსტული, ქლიავი მრავალგუარი, ლელუკი, მბალი, ალუბალი, სხალი და ვაშლი მრავალგუარი, კოში, ნიგოზი, თხილი, ზღმატლი. ფშატი, ნეხვი, მელსახეაბონი, ჟემპულა, კიტრი... ბადრიჯანი, ქინძი, კამა, ცერცვი, ტარხუნა, ნიახური, ქონდარი, ხაბევი, პრასა, ბოლოკი, პეტრუშა, სტაფილო, ქინძიჯორა, ოხრახუში, მაკედონი, კომბოსტო, ლახანა, ყარდელი და სხუანიცა.“ [2, გვ. 39].

ამასთანავე, ფართოდ იყო განვითარებული მეცხოველეობა და მეფრინველეობა. ქართული მეურნეობის განუყოფელი ნაწილი იყო: აქლემი, ცხენი, ჯორი, ქათამი, ბატი, იხვი, ინდოური, ტრედი [2, გვ. 41-42]. და ბოლოს, მაღალი მეურნეობრივი კულტურის, მისი პარმონიულობისა და ქსოვებიკური სრულყოფილების გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ ჩვენი წინაპრებისათვის სულაც არ ყოფილა უცხო „სავარდეთა ფავილი“ მრავალნი: ვარდნი, წითელი, ყვითელი და თეთრი, მიხაკი, სუნდული, ნარგისი, ზამბახი, ყაყახონი მრავალგუარი, და კუალად სხუანიცა მრავალნი ყუავილნი სხუასხუა გუარნი და ფერნი“ [2, გვ. 41].

უწინარეს ყოვლისა, სწორედ ეროვნული მეურნეობრიობის ხასიათი განსაზღვრავდა ქართულ მეურნეობრივ ფსიქოლოგიას, უფრო მეტიც, იგი, შეიძლება, ამ მეურნეობრიობის თავისებურებათა ერთგვარ პროდუქტადაც კი მივიჩნიოთ. როგორც ცნობილია, „... ისეთ ქვეყანაში, ხალაც ხალხი არსებობისათვის ბრძოლაში გვიდონბა არა ნაირობას, არამედ მიწათმოქმედებას, მიწის დამუშავებას: ასეთ ქვეყანაში ხალხის იდეოლოგია, ფილოსოფია, ესთეტიკა, რელიგია – საერთოდ ხალხის სული თავის ილუზიებით, იდეალებით, გრძნობებით იხრება მდგომარეობისაკენ, სოციალური ყოფისა და ბუნებრივი პირობებისაკენ – მიწის დამუშავებისა და მცენარეების კულტისაკენ; მთელი ცხოვრება ადამიანს მაშინ ესახება როგორც ერთგვარი ესთეტიკური ფენომენი, გაშლილი ინდუსტრიულ არეებში და განათებული სოციალური ესთეტიზმის შინაგანი, ინტეიციური ხილვით; თითქოს ადამიანი, შეყვარებული და გატაცებული მიწის სიმშვენიერით, ნოუიერებით, მკისა და მუშაობის სილამაზით, სახავს ცხოვრების აზრს თავისი პროფესიის ინტერესებით და გემოვნების ისეთი მიმართებით, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ ამყოლობას სოციალური ყოფისას [3, გვ. 350].

მართლაც, მიწის დამუშავებისა და მცენარეთა კულტი თდითგანვე ზეობდა საქართველოში. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ ბერძნულ წყაროთა მიხედვით, ძველ საქართველოში, კერძოდ, კოლხეთში პყვა-ოდა სხვადასხვა, ხშირად მაგიური ძალის მქონე წამალთა დამზადების მაღალი ხელოვნება. სწორედ კოლხეთის ლეგენდარული მეფის, აიეტის (ძვ. წ. აღ. XIV ს.) ასულის – მედეას სახელს უკავშირდება მრავალი წამლის, მათ შორის, ე.წ. კოლხეური წამლის მიღება. მან გამოიგონა პირველმა თმების შედება /4, გვ. 30-31/. ცალკეულ მკვლევართა მოსაზ-რებით, აიეტის დის, კირკეს სახელი შეიძლება ეტიმოლოგიურად „წამ-ლების დამამზადებელს ნიშნავდეს /4, გვ. 31/. დიდი პოპულარობით სარგებლობდა მაშინდელ მსოფლიო ბაზარზე კოლხეური სელი, რომე-ლიც სპეციფიკური ადგილობრივი წესით მზადდებოდა /4, გვ. 30/. ან-ტიკური წყაროები ერთხმად ადასტურებენ, რომ ძველი კოლხეთი არა მარტო ოქრომრავლობით, არამედ მთის მდინარეებიდან მისი მოპოვების წესითა და ოქროს ნივთების წარმოებით იყო გამორჩეული და, ბოლოს, ხალიბები, რომლებიც ერთ-ერთ დასავლურ-ქართველურ ტომს წარმოა-დგენდნენ, განთქმული იყვნენ მეტალურგობითა და მჭედლობით, უფრო მეტიც, რკინის აღმომჩენებადაც კი ითვლებოდნენ /4, გვ. 30/.

თავის დედულ-მამულთან, მცენარეებთან, გარესამყაროსთან ქართ-ველი ადამიანის სრულიად გამორჩეული დამოკიდებულების გამოხატუ-ლება იყო ის, რომ იგი მიწასა და ქვეყანას ტოლფასი მნიშვნელობის ცნებებიდან აღიქვამდა. უფრო მეტიც, ქართული მეურნეობის უმთავრესი დარგების მხნელ-მთესველობა, ვენახის მოვლა და დვინის დაყენება გაიგივებული იყო ეროვნულობასთან, ქართველობასთან, მიწის მუშაკო-ბა კი – ადგილის მკვიდრობასთან, ბინადრობასთან, აბორიგენობასთან. კერძოდ, როგორც ბ. ნანობაშვილი აღნიშნავს, „გახეთში „გაქართველუ-ბა-გაკახელება“ გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, ვენახისა და ღვი-ნის ხელის ცოდნას“ /5, გვ. 29/. მკლევარის მიერ მოპოვებული მასა-ლებით, „ქიზიყველ კახელებისათვის“ ამასთან ერთად, და უპირატესად, „მხნელ-მთესველია“ არსებითი ნიშანი ქართველობისა, კახელობისა. ამის გახსენება იმიტომ დაგვირდდა, – შენიშნავს იგი, – რომ გვეთქვა, ჯერ ერთი, აქაური კაცი მკვიდრია, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ იგი მიწის მუშაკია და, მეორე, თუ ვინმე მიწის მუშაკი არ არის, იგი ჯერ კიდევ არ არის მკვიდრი /5, გვ. 29/.

მიწის მუშაკობა კი, მუხლიაუხერელ შრომასთან ერთად, დიდ გონი-ერებას, ჭირთათმენას, მრავალმხრივ ცოდნასა და გამოცდილებას მოი-თხოვდა. ქვეყნის სხვადასხვა მხარესა და კუთხეში ადგილობრივი პი-რობებისადმი მისადაგებული მეურნეობის მრავალფეროვანი დარგებისა და საქმიანობის სფეროს შერჩევა-შეხამების, განვითარებისა და წარმა-ტებული მეურნეობრიობისათვის აუცილებელი იყო ისეთ უმნიშვნელო-ვანეს ფაქტორთა გათვალისწინება, როგორებიცა: მეურნეობის გაძო-

ლის თავისებურებანი მთის პირობებში, მთისა და ბარის მეურნეობის ურთერთშეხამება, ქვეყნის ვერტიკალური ზონალური ნიშნებით არა-ერთგაროვან სამეურნეო გეოგრაფიულ არეებად და სარტყლებად და-ნაწილება, მთის, გარდამავალი ზოლისა და ბარის ბუნებრივ-სამეურ-ნეო გარემოსა და რელიეფის, პიდროგრაფიის, მცენარეული საფარის, მისი რადიაციის ხასიათის, ტერიტორიის აგებულების, დახრილობის, ნიადაგის შედგენილობისა და სხვ. ბუნებრივ-მეურნეობრივი და ბუნებ-რივ-გეოგრაფიული მაჩვენებლების განსხვავებულობა.

საუკრადღებო ისაა, რომ ძველ საქართველოში ყოველმხრივ პქონ-დათ გაცნობიერებული მეურნეობრიობისა და გარემო პირობების მრა-ვალფეროვნება და ფართოდ ითვალისწინებდნენ კიდევაც მათ მეურნეო-ბრივ-პრაქტიკულ საქმიანობაში. მაგალითად, ხვენი წინაპრები შესა-ნიშნავად ერკვეოდნენ სხვადასხვა ლირსების მიწის თვისებებში, რაც ნათლად ჩანს მათი დასახელებიდანაც კი. კერძოდ, კარგ, ნაყოფიერ მიწებს თავი-მიწა, ხოდაბუნი, სამეფო ყანა, შავი მიწა, უჩა დიხა, დიხა შხო, დოშიხო და სხვ. ერკვა, უხაყოფო ას მწირ მიწებს – მწირი შიწა, ჯინჯიძერი მიწა და სხვ. სწორ, ვაკე ადგილს მერე [6, გვ. 152; 7, გვ. 119, 126, 130-134]. რაც მთავარია, უნაყოფობა ან მცირენაყოფიერება, სიმწირე, დახრილობა-მდებარეობა, დაჭაობება თუ მიუვალობა, არ წარმოადგენდა გადაულახავ წინააღმდეგობას იმისათვის, რათა, კ. კა-პანელის სიტყვებით რომ ვთქვათ, მიწაზე შეყვარებულ, მისი სიმშვე-ნიერით, ნოესიერებით, მეითა და მუშაობის სილამაზით გატაცებულ ადამიანს „უხმარი“, „უქმი, „უდგაწი, „უშენი, „ოხერ-ქმილი“, „ნაოხარი“, „დატევებული მიწები, რომელთა დამუშავებას „საქმე“ და „მოქმედება“, შრომას კი „ღუაწა“ ეწოდებოდა [8, გვ. 153], „შრომითა და მედგარი ბრძოლით, მუშაობით“ ფაქტობრივად ხელახლა შეექმნა და „უხმარი“ სახმარად, ვარგისად ექცია, გამოუსადევგარი, მწირი, ჭკლე, მიუგალი მიდამო [8, გვ. 160], აყვავებულ ბაღნარად გაქხადა, ისე ეც-ხოვრა და ეღვაწა, რომ მსოფლიოში გავრცელებული ხორბლის 16 სახეობიდან 6 საუკეთესო სახეობის სამშობლოდ საქართველო ექცია, ვაზის 500-მდე უნიკალური ჯიში სწორედ მას გამოყევანა [9, გვ. 11] და თითოეულისათვის შეერჩია პოეტური სახელები: რქაწითელი, საფერავი, ბუდეშაური, ხიხვი, ძელშავი, ბოკურა-ვაზი, თითა, მელიკედა, სამარხო, მხარგრძელი, ბუტერი და სხვ. ამასთავე, დადგენილია, რომ საქართვე-ლოში ინვენტარიზებული ვაზის 248 ჯიშიდან 200-ზე მეტი ადგილობ-რივი, ქართულია, რომელთა რიცხვი, როგორც ფიქრობენ, ძველად გა-ცილებით მეტი უნდა ყოფილიყო [10, გვ. 15].

და, მართლაც, მთელს საქართველოში, მის ყველა კუთხესა და მხარეში მრავალფეროვანი ხალხური ხერხები და მეთოდები გამოი-ყენებოდა მიწის დამუშავების, მისი გაკეთილშობილება-განოყიერების, ახალი სახნავ-სათესი ფართობების შექმნა-გაფართოებისა და ამ გზით

უხვი მოსავლის მისაღებად. მაგალითად, დიდი დახრილობის მიწის ფართობების ხენა-თესებისას ფართოდ იყო გავრცელებული ნიადაგების ლარებად ათვისების წესი. ამ მიზნით სხვადასხვა სიმაღლის ფერდობები გამჟოფი მიმართულებით ივსებოდა სახნავებით, რომელთაც ერთი მთავარი მახასიათებელი ჰქონდათ: ეს იყო მუდამ ვიწრო და გრძელი ნაკვეთები, რომლებსაც სხვადასხვა სახეობის მარცვლეულის მოსაყვანად იყენებდნენ. თავისი აგებულებით ლარი წარმოადგენდა ფერდობში პორიზონტალურად შეჭრილ, ბრტყელი ზედაპირის მქონე სახნავ ფართობს, რომელიც მასიური სახენელის მეშვეობითა და ხვის განსაზღვრული წესის გამოყენებით იქნებოდა [III, გვ. 40-41] და გრძელა, გრძელას მიწა, გრძელები, გრძელაური და სხვ. ეწოდებოდა [III, გვ. 45]. რელიეფის დახრილობის მაღალი კოეფიციენტი (40-50 გრადუსი) გამორიცხავდა სიგანეში მისი გაზრდის შესაძლებლობას, რის კომპენსირებასაც ახდენდა ლარის სიგრძე, რომელიც ხშირად 300-400 მეტრს აღემაჩენდოდა [III, გვ. 40-41].

ლარების გავრცელებას თვალნათლივ ცხადყოფს ასეთი წესით დამუშავებული ფართობების ტოპონიმიკური სახელების სიმრავლეც. მაგალითად, შიდა ქართლში ასეთი მიწების აღსანიშნავად გამოიყენებოდა ისეთი სახელები, როგორიცაა: ლარები, პირდაპირება. ჯვრდაურის ლარები, ზაქარიას ლარები, გრძელი მიწები, ლარის მატულები, წვრთლი მიწები, ტყის ლარები, ხატის ლარები, სამყვირალო ლარები, ნინოურთ ლარები, ტყის მამულები, დაჭიმული ლარები, ხაჯის ლარები, ლარზე გაყოფილი მიწები, ლარის ახოები, ნაერისთავო ლარები, საჯვარეს ლარები, გარდიგარდმო მიწები, ცაცხვის მორის ლარები და ა.შ. [III, გვ. 41].

ხალხური სამეურნეო შემოქმედების ნამდვილი გვირგვინი იყო ტჭრასული მიწათმოქმედების კულტურა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მთელს საქართველოში ყვაოდა სხვადასხვა დახრილობის ფერდობების დატერასებისა და მათ დიდად შემოსავლიან ნაკვეთებად გადაქცევის ხელოვნება. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ფართოდ იყო გავრცელებული როგორც კედლიანი, ისე უკადლო ტერასები, რომელთაც სხვადასხვა სახელი ერქვათ. რაჭაში ფერდობების ხელოვნურად დავაკებისა და უსწორმასწორო ადგილების გასწორებისათვის ფართოდ მიმართავდნენ მოზვინვა-დაკადონებას, იმერეთში – მიწის მოვაკებას, ლექსუმში – დაკაპტოებას, დაჯებირებას, შეყორვას,

მრავალი თაობის თვალი ფართოდ მდგრადი გადამდებრივ მდგომარეობასთან, მათ ისტორიასთან, საკუთარ საზოგადოებრივ მდგომარეობასთან იყო უშუალოდ დაკავშირებული ქართველი მეურნისათვის მცენარეთა კულტი. მაგალითად, ვაზი და ხეხილი ქართველი გლეხებაცობისათვის არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო კულტის საგანი, რადგან მათ „შიგ ჩატანილი აქვს უკვდავ განძსავით წინაპართა მთელი ჯაფა, მთელი მხნე-

ობა და მეცადინეობა. ამიტომაც, ჩვენებურ გლეხებაცს ვენახი და ხილნარი მარტო გამორჩიმის წყაროდ კი არ მიაჩნია, არამედ იმ წმინდა აუზადაც, სადაც მის მამა-პაპას თვისი თფლი მიუღებია და მიუბარებია საშვილიშვილოდ. ჩვენებურ გლეხებაცის თვალში მის ვენახს, მის ხეხილის ბაღს, მის ნაფუძარს თვისი ისტორია აქვს, მართალია ბუნდი, წარსულის ღრუბლისაგან გამოურკვეველი, მაგრამ ღრმად კი ჩაჭდვული გულში, რომ ვენახი, ხეხილის ბაღი, სალაროა მის წინაპართა ჯაფისა, გარჯისა და მხნეობისა” [12, გვ. 188-189].

ამასთანავე, ქართველი გლეხებაცობისათვის ვენახი კულტის საგანი იმიტომაც იყო, რომ მისი ქონა თუ არქონა განაპირობებდა თითოეული მათგანის ადგილს საზოგადოების სოციალური იერარქიის კიბეზე. ვახტანგ VI-ის სამართალი მიუთითებდა: „ბოგანო ამას ჰქუიან, რომე ვენახი არა ქონდეს, თვითო სახლი და რჩომის აღაგი ექნების, და მიწა ან ექნების და ან არა ...ვენახის მქონეს გლეხს ბოგანო არა ქუიან, რაგინდ სხვა მამული ნაკლებად ქონდეს” [13, გვ. 508].

ვენახის, სხვა მრავალწლიანი კულტურების დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე მეტყველებდა ისიც, რომ ამ კულტურებს მკაცრად იცავდა სამართალი, მათი შეგნებული თუ შეუბრებელი დაზიანება და განადგურება მძიმე დანაშაულად ითვლებოდა და სახტიკად ისჯებოდა ქანონით. კერძოდ, ვახტანგ VI-ის სამართლის თანახმად, „თუ ... კაცმან კაცს ვაზი აუკაფოს, რომე არ ემართლებოდეს, სადაო და სალაპარაკო არა ქონდეს რა, დვინით გინა სიბრიყუით აუკაფოს, რამდენიც ვაზი მოჟრას, იმდენი აბაზისა მისცეს.

და მტერობა თუ რამ ედვასთ და ემართლებოდეს, ის მოსამართლემ გაუსინჯოს და იმრიგად სისხლისა იმის საქმეში გაუანგარიშონ [13, გვ. 528]... „სხილი თუ სახმარი ნერგი ან მოუქრას, ან მოუკაფოს, შუასკაცო გასინჯვით და დაფასებით როგორც თქვან და ღირდეს, ისრე პასუხი გასცეს.

და თუ ემართლებოდეს, სისხლში გაუთვალოო [13, გვ. 528].

ერთი მხრივ, უპირატესად მევენახეობისა და მეხილეობის განვითარება, რაც წარმოებას ინტენსიური ტიპის მეურნეობრიობის ხასიათს აძლევდა და ყოველდღიურ დაბაზულ შრომასთან ერთად მოითხოვდა როგორც მაპროფილებელი, ასევე, მასთან შეთანწყობილი, აგრეთვე, თანმდევი დარგების გაძლოლის მრავალმხრივ პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებას, რომლის დაუფლებას ხანგრძლივი დრო სჭირდებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, ი. ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, რაც კარგი რამ არის კერძო საკუთრებასა და საოქმო (სასოფლო) მფლობელობაში, იმისი ერთისოთვისაც და მეორესოთვისაც ჩამოთლა და ერთმანეთთან შედუღება [12, გვ. 190], დიდად განაპირობებდა იმას, რომ ქართველი გლეხებაცობისათვის, კვლავ ი. ჭავჭავაძის სიტყვებს რომ დავკესხოთ, ძნელი იყო ადგილიდამ დაძრა, იშვიათი იყო ... ჩვენში უბი-

ნაოდ ტანგალი და სულაც ცნობილი არ იყო ერთგვარი დანაშაულობა, რომელსაც „brodq'nihestvo“ ჰქვიან. ამიტომაც ჩვენში ბინადარს მცხოვრებს „მკვიდრი ერქვა და არა მდგმური, როგორც ზოგიერთ ენაშია“ [12, გვ. 189].

ქართველი ადამიანისათვის „მონაგებთა“, – ანუ მოგებულის, მონაგარის, შენაძენის) [14, გვ. 817], ნაყოფის, ნაყოფიერის, ქონების, შენაძენის [14, გვ. 263], ნაყოფის, ნაყოფიერის, ქონების, შენაძენის [15, გვ. 277] ნაყოფის, ნაყოფიერის, ქონების, შენაძენის, საგუთრების, შეძენილი ქონების, კეთილშენაძენის, საგუთარი გარჯითა და შრომით ნაღვაწების [16, გვ. 354-355], ნასყიდობით ან სხვა კანონიერი გზით შენაძენი ქონების [17, გვ. 140] – დატევება სისხლთა დათხევასა ემსგავსების [18, გვ. 263], რაგდან მას ჯერ გულიდან უნდა ამოედო თვისი თემი, თავისის ოჯახის წარსული, თავისი მამა-პაპა, რომელთა ნაშთი, ძეგლი თვითონეული ვაზია, თვითონეული ხეა, მამა-პაპის ხელით დარგული და ოფლით მორწყეული, და რომელსაც იგი სამკვიდროს ... [12, ვე 189]. ეძახდა, თავი უნდა დაენებებინა თავისი და თავისი წინაპრების არა ერთი თაობის ტიტანური შრომით, გარჯითა და მხნეობით შექმნილ გაკეთილ შობილებული სამკვიდროსათვის, თავისი „ნაჭირნახულევიმამულისათვის, თავისი კარ-მიდამოსათვის, მიწის იმ ნალეღასათვის, რომელიც განსაზღვრავდა საზოგადოებაში მისი და მისი ოჯახის სოციალურ მდგომარეობას, კეთილდღეობას, აწმყოსა და მომავალს და, საბოლოო ჯამში, განაპირობებდა მამა-პაპისეულ მიწაზე მის მყარად დამკვიდრებას, რაც შესაბამის ასახვას კანონშიც პოლიტიკური გერძოდ, ვახტანგ VI-ის სამართლით, საქართველოში მებატონეს უფლება ჰქონდა 30 წლის განმავლობაში ეძებნა და უკან დაებრუნებინა მისგან სხვა მებატონესთან გადასული ყმა, ხოლო 6 წლის განავლობაში, სანამ მეფეს ეყმობოდა [13, გვ. 53].

რუსეთში ფეოდალსა და გლეხობას შორის ურთიერთობის მობილობას უწინარესად ის განაპირობებდა, რომ გლეხებაცობას მიწა მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში სარგებლობისათვის ეძლეოდა, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა რუსი გლეხის ფსიქოლოგიას, მიწისადმი დამოკიდებულებას, რადგან, როგორც სამართლიანად შენიშვნავდა ილია ჭავჭავაძე, როცა ადამიანს მამული არამცოუ თავისად არ გამოელოდინება, არამედ დიდის ხნობითაც მისი ხელში შერჩენა არ ეგულება, გული არ მისდის მის საფუძვლიანად გაპატივებასა და კეთებაზედ [12, გვ. 190]. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, გლეხებაც შედარებით იოლად ტოვებს თავის ადგილსამყოფელს და მემამულეც შედარებით იოლად ურიგდება მის სხვა ფეოდალთან გადასვლას.

განსახვავებდა რა ერთმანეთისაგან ქართველი გლეხისა და რუსი მეთემის სამეურნეო ფსიქოლოგიას, დ. მუსხელიშვილი ხაზგახმით მიუთითებდა: „საგუთრების განსაზოგადოების იდეა რუსი ხალხის ფსი-

ქოლოგიური წეობის შედეგია და არა მატერიალური პირობების ზედნაშენი. ამიტომ არის, რომ სტოლიპინის დროსაც და დღესაც ფერმერს, იჯარადარს (არენდატორს) რუსი მეთემე (კოლმეურნე) „წითელი მამლით („Красный петух“) უმასპინძლდებოდა და უმასპინძლდება, ანდა პირდაპირ ფიზიკურდ უსწორდება. ამიტომაა, რომ კოოპერატორების წინააღმდეგ ეს ასეთი რეაქცია. ამის შემდეგ ადვილი გასაგებია, თუ რატომ დაგვირგვინდა წარმატებით XX ს-ის ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედია განაკულაკებისა და საყოველთაო კოლექტივიზაციისა. „კოლმეურნეობა“ თუ „საბჭოთა მეურნეობა“ იგივე ტრანსფორმირებული ძველი რუსული „ობშინაა“ (სასოფლო თემი) და ე.ი. რუსული ფსიქოლოგიისათვის დიდ ნაწილში სრულიად მისაღები მოვლენა. ამიტომაა, რომ დღესაც ... რუსი ხალხის დიდი ნაწილი კოლმეურნეობების გაუქმების წინააღმდეგია [19, გვ. 2].

სრულიად უცხო და მიუღებელია ასეთი ფსიქოლოგია ქართველი მეურნისათვის. იგი საკუთარი, ინდივიდუალური მეურნეობით მოვიდა XX საუკუნის 20-30-იან წლებამდე, ვიდრე სოფლის მეურნეობის სოციალისტური კოლექტივიზაცია განხორციელდებოდა, რომელმაც არსებითად შეცვალა არამარტო ერთ-ერთი უმთავრესი ტრადიციული დარგის – სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურა. მისი ორგანიზაციისა და გაძლიერის ფორმები და მეთოდები, არამედ თვით ქართული სოფლის სახეც. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ფაქტობრივად უცვლული დარჩება ქართული სამეურნეო ფსიქოლოგიის ძირითადი არსი და ნიშნები, ქართველ მეურნეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ვერანაირად ვერ გაითავისა მათი შინაგანი ბუნებისათვის უცხო და მიუღებელი სოციალისტურ-კოლექტივისტური, იმულებითი, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეურნეობრიობის პრინციპები: წარმოების ტოტალიტარული განსაზღვადოება, კონკრეტული საქმის გაუპიროვნებულობა და პასუხისმგებლობის გაუნაწილებლობა, ზემოდან დიქტატი და წვრილმანი მეურვეობა, შრომის საბოლოო შედეგებისაგან გაუცხოება და ა.შ., რაც მკვეთრად უარყოფით გავლენას ახდენდა თითოეული ადამიანის ფსიქოლოგიასა და შრომისადმი დამოკიდებულებაზე, მათ მორალურნეობრივ სახეზე.

ქართული მეურნეობრიობის ტრადიციებისადმი ერთგულება მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა იმას, რომ სოციალისტური ეკონომიკის პირობებშიც არ ჩამკვდარა ქართველ ხალხში თავისუფალი, შემოქმედებითი, ინდივიდუალური მეურნეობრიობისაკენ ლტოლვა. მართალია, ასეთი საქმიანობის გზაზე მრავალი ბარიერი იყო აღმართული, მაგრამ ადამიანთა მეტად მნიშვნელოვანი ჯგუფი სხვადასხვა ხერხით ფაქტობრივად მაინც ეწეოდა კერძო სამეწარმეო-კომერციულ საქმიანობას. მეურნეობის მრავალ დარგში, განსაკუთრებით, ვაჭრობასა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, საქმაოდ ფართოდ იყო წარმოდგ-

ენილი კერძო, უმეტესწილად, არალეგალური, ბიზნესი: მრავლად იყვნენ ისინი, ვინც გარკვეულ პროდუქციასა და მომსახურებას აწარმოებდა და ისინიც, ვინც ამ პროდუქციითა და მომსახურებით სარგებლობდა.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეურნეობის გაძლიერების ერთ-გნულმა წესმა და თავისებურებებმა არსებითი გავლენა მოახდინეს ქართველი მეურნის არა მარტო სამეურნეო ფსიქოლოგიაზე, არამედ ისეთი პროფესიული და მორალურ-ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბებაზე, როგორიცაა: ეკონომიკური აზროვნების ფართო, შემოქმედებითი თვალსაწიერი, ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების შესაფერისი დარგებისა და კულტურების განვითარებისა და მეურნეობრიობის ფორმებისა და მეთოდების შეთანაწყობის უნარი, ქვეყნისა და საკუთარი ოჯახის წინაშე პირადი პასუხისმგებლობის გაცნობიერება, შრომისმოყვარეობა, ინდივიდუალიზმის გრძნობა, მისწრაფება ინდივიდუალური, თავისთავადი, საკუთარი, კერძო მეურნეობრიობისაკენ, ზრუნვა მკვიდრი, მრავალი თაობისათვის გათვალისწინებული მეურნეობის მოწყობაზე, შეუპოვრობა და წინააღმდეგობათა მოთმინებით დაძლევის უნარი, წინდახედულება, თადარიგიანობა, მაღალი პროფესიონალიზმი.

ლიტერატურა:

1. მანველიშვილი ალ. I საკუთრება. II მიწის საკითხი საქართველოში. პარიზი, 1956.
2. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეცნისა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხხიშვილის მიერ. თბ., გამომც „საბჭოთა საქართველო“, 1973.
3. კაპანელი კ. ფილოსოფიური შრომები. თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989.
4. გორდეზიანი რ. ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა. თბ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1993.
5. ნანობაშვილი ბ. საოჯახო მეურნეობა კახეთში. XIX საუკუნის რეფორმის შემდგომ და XX საუკუნის I მეოთხედში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა). თბ., „მეცნიერება“, 1996.
6. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წიგნი პირველი. თბ., 1930.
7. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. წიგნი მეორე. თბ., 1934.
8. ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. IV. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სახელმწიფო

- უნივერსიტეტი, თბ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984.
9. დღონტი თ. ჭეშმარიტების ძიებაში. გაზ. „იბერია-სპექტრი“. 9-15 ნოემბერი, 1994, №108.
10. გვრიტიშვილი დ. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII-XIX სს.). თბ., გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1962.
11. ბერიაშვილი ლ. ნიადაგების ათვისებისა და დაცვის ტრადიცია საქართველოში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). თბ., „მეცნიერება“, 1989.
12. ჭავჭავაძე ი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. VI. თბ., საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1956.
13. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.
14. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. V. თბ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1958.
15. აბულაძე ილ. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბ., „მეცნიერება“, 1973.
16. ნადარეიშვილი გ. საკუთრების ზოგადი ცნების გამომხატველი ტერმინის წარმოშობა ქართულ სამართალში. იხ. წგნ, – სამართლის რეფორმა საქართველოში. თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1996.
17. დოლიძე ი. ძველი ქართული სამართალი. თბ., სტალინის სახელმისამართის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1953.
18. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I (V-X სს.), ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, პ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., 1963.
19. გ. მუსხელიშვილი. გზა სსნისა. გაზ. „კომუნისტი, 12.08. 1990, № 185.

PECULIARITIES OF ECONOMIC AND BASIC SIGNS OF ECONOMIC PSYCHOLOGY IN GEORGIA (HISTORICAL-ECONOMIC AND SOCIOLOGICAL ASPECTS)

Omar Shurgaia

*Institute of Demography and Sociological Research
of The Academy of Sciences of Georgia,
0105, 5/7 Pushkin st, Tbilisi*

ამ ასპექტში, მოსახლეობის აღწარმოების ტიპის არსიდან გამომდინარე [5, გვ. 525-526] თეორიულად არ არის მართებული დღემდე დამკვიდრებული ე.წ. მოსახლეობის აღწარმოების შუალედური ტიპი. უფრო მართებულია ტიპთაშორისი გარდამავალი პერიოდი. დემოგრაფიულ თეორიაში ცნობილია და დემოგრაფიულ ლექსიკონებში განმარ-

ტექულია რომ: მოსახლეობის აღწარმოების ტიპი არის ”კატეგორია, რომელიც ასახავს მოსახლეობის აღწარმოების ყველაზე მნიშვნელოვან თვისებრივ მხარეებს მეტნაკლებად მსგავს ისტორიულ, ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა პირობებში. მოსახლეობის აღწარმოების ტიპი მჭიდროდ არის დაკავშირებული მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმთან და განსაზღვრავს იმ საზღვრებს, რომელშიც შეიძლება იცვლებოდეს აღწარმოების პროცესის რაოდენობრივი მახასიათებლები...”

ხოლო მოსახლეობის აღწარმოების შუალედური ტიპი, ”წარმოქმნება მოსახლეობის აღწარმოების ერთი ძირითადი ტიპის მეორეთი შეცვლის პერიოდში. იგი თავის თავში აერთიანებს როგორც წარმავალი, ისევე მომავალი ტიპებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. ძირითადი ტიპებისგან განსხვავებით მოსახლეობის აღწარმოების შუალედური ტიპი მდგრადი არ არის და არ შეუძლია ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებობა.” [5, გვ. 474; 6, გვ. 184].

მოტანილი ციტატებიდან ნათელია, რომ მოსახლეობის აღწარმოების ერთი ძირითადი ტიპის შეორეთი შეცვლის პერიოდი, არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მოსახლეობის აღწარმოების ტიპი. გარდა იმისა, რომ ეს პერიოდი ტიპის ხანგრძლივობასთან შედარებით მნიშვნელოვნად მცირე დროით გრძელდება (დაახლოებით 20-25 წელი), ვერ აქმაყოფილებს მოსახლეობის აღწარმოების ტიპისთვის დამახასიათებელ ძირითად კრიტერიუმებს.

ამდენად, იგი უწინარესად წარმოგვიდგება, როგორც მოსახლეობის აღწარმოების ტიპთაშორისი გარდამავალი პერიოდი და არა როგორც აღწარმოების ტიპი [7, გვ. 69]. აღნიშნულის თაობაზე შეიძლება სხვა დემოგრაფიული გამოთქვეს მოსაზრება, მაგრამ მოსახლეობის აღწარმოების ისტორიულ ტიპებს, მით უფრო ფაზებს შორის არსებული გარდამავალი პერიოდის შესახებ გამოქვეყნებული ნაშრომი ჯერ-ჯერობით არ შეგვხვედრია. დემოგრაფიულ ენციკლოპედიაში კი, ამ უკანასკნელის თაობაზე საერთოდ არაფერია ნათქვამი. ამიტომ, საჭიროდ მივიჩნიეთ ტიპთაშორის და ფაზათაშორის გარდამავალი პერიოდის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საკითხებს წარმოგვედგინა ჩვენი შეხედულება.

მოსახლეობის აღწარმოების ტიპის განვითარება ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, თვისებრივი ცვლილების ფონზე, ფაზების სახით მიმდინარეობს. როდესაც მისი განვითარება კულტინაციურ მომენტს მიაღწევს, დგება დემოგრაფიული სისტემის თვისებრივი განახლების აუცილებლობა, რასაც ბუნებრივად მოსდევს წინამორბედისგან თვისებრივად სრულიად განსხვავებული მოსახლეობის აღწარმოების ახალი ტიპის ფორმირება. ეს კი გარკვეულ დროს მოითხოვს და ძირითადად, აღწარმოების მეცნიერება. ეს კი გარკვეულ დროს მოითხოვს და ძირითადად, აღწარმოების მეცნიერება. ეს კი გარკვეულ დროს მოითხოვს და ძირითადად, აღწარმოების მეცნიერება. ეს კი გარკვეულ დროს მოითხოვს და ძირითადად, ამ დროს საბოლოოდ ფორმირდება წინა ტიპისგან თვისებრივად განსხ-

ვაკებული შობადობისა და მოკვდაობის ახალი ტიპი და შესაბამისად აღწარმოების რეჟიმის ახალი საზღვრები. დასაშვებად მივიჩნევთ, რომ აღწარმოების ძველი ტიპის ბოლო ფაზათაშორისი პერიოდი, მისი დაწყებიდან ერთობ მოკლე დროში, გადაიზარდოს ტიპთაშორის პერიოდში.

საერთოდ, საზოგადოების ერთიანი სისტემის და მის ცალკეულ ქვესისტემათა (მ.შ. დემოგრაფიული) ტრანსფორმაცია დროის მოთხოვნაა და იგი სხვადასხვაგვარად წარიმართება. ეს პროცესი შეიძლება საზოგადოების ერთიანი სისტემის ცალკეულ ქვესისტემათა ერთდროული (თანხვედრი) ან არა თანმიმდევრული (არათანხვედრი) რეფორმის ფონზე განვითარდეს. პირველ შემთხვევაში ტრანსფორმაცია ფარული, ხოლო მეორე შემთხვევაში კი დია ფორმისაა. მათი, როგორც თვისებრივი ტრანსფორმაცია, ასევე გარდამავალი პერიოდის ხანგრძლივობა, ბევრადაა დამოკიდებული, როგორც მსოფლიოში, ასევე მის ცალკეულ გეოარეალში (რომელშიც ქვეყანა მდებარეობს) განვითარებული გლობალური და ლოკალური სახის მოვლენებზე.

მოსახლეობის აღწარმოების ტიპთაშორის და ფაზათაშორის გარდამავალი პერიოდში (ეტაპზე) დემოგრაფიულ ურთიერთობათა ქვესისტემის ტრანსფორმაციის ზოგად მახასიათებებლად (კრიტერიუმებად) შეიძლება მივიჩნიოთ:

1. საზოგადოების ერთიან სისტემაში, სხვა ქვესისტემებთან ურთიერთდამოკიდებულების ბალანსის დარღვევის შედეგად, დემოგრაფიულ ურთიერთობათა ქვესისტემის თვითგანვითარების პროცესის დეფორმაცია;

2. დემოგრაფიულ ფაქტორებთან შედარებით, არადემოგრაფიულ ფაქტორთა უპირატესი გავლენით, დემოგრაფიულ ურთიერთობათა ქვესისტემის თვითგანვითარების პროცესის დეფორმაცია;
3. დემოგრაფიულ ურთიერთობათა ქვესისტემის ტრანსფორმაციის მწვავე ხასიათი;

4. დემოგრაფიულ პროცესთა რაოდენობრივი მაჩვენებლების მკვეთრი ცვლილება;

5. დემოგრაფიულ ქცევაში მიმდინარე თვისებრივი ცვლილებების ტემპიდან და ხანგრძლივობიდან გამომდინარე, დემოგრაფიულ პროცესთა ინერციული ბუნების შესაბამისი დროით შეჩერება;

6. დაბალი შობადობის მქონე ქვეყნებში დეპოპულაციური პროცესების სპონტანური დაწყება;

7. ქორწინებათა და სასურველ ბავშვთა შობის გადავადება უკეთესი მერმისისათვის;

8. მოკვდაობის სტრუქტურის მნიშვნელოვანი ცვლილების შედეგად მისი მაღალი დონე;

9. დემოგრაფიული სტრუქტურის დარღვევით დემოგრაფიული დაბერების ზრდა და შესაბამისად დემორაფიული სტრუქტურის ტიპის ცვლილება და სხვ.

მოსახლეობის აღწარმოების ცალკეულ ტიპთაშორის და ფაზათაშორის გარდამავალ პერიოდში (ეტაპზე) დემოგრაფიულ ურთიერთობათა სისტემის ოვსებრივი ტრანსფორმაციის შეფასების კრიტერიუმები შეიძლება სხვადასხვანაირად გამოვლინენ. შესაძლებელია ისინი ერთიანად, კომპლექსურად ან მხოლოდ რამოდენიმე მათგანის სახით წარმოჩნდნენ. ეს ბევრადაა დამოკიდებული გარდამავალ პერიოდში ტრანსფორმაციის სიმწვავეზე, მისი გამოვლენის სახეზე – ფარულზე და დაზე.

დემოგრაფიული ქცევის მდგრადი ხასიათი ბევრად განსაზღვრავს ტიპთაშორის და ფაზათაშორის გარდამავალ პერიოდში დემოგრაფიული ქცევისტემის ტრანსფორმაციის საბოლოო შედეგს. სწორედ, მოსახლეობის დემოგრაფიული ქცევის მეტნაკლებად მდგრადმა ხასიათმა განაპირობა დსთ-ს ცალკეულ ქვეყნებში ტიპთაშორის და ფაზათაშორის გარდამავალ პერიოდში დემოგრაფიული ქცევისტემის თვისებრივი ტრანსფორმაციის განსხვავებული რაოდენობრივი შედეგი, რაც ზოგიერთი მათგანისთვის მოულოდნელ, “ნაადრევ” დეპოპულაციაშიც კი გამოფინდა.

დსთ-ს ევროპული ნაწილის ქვეყნებში, ისევე როგორც საქართველოში, მე-20 საუკუნეში მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის ფაზათაშორისი გარდამავალი პერიოდი 3-ჯერ აღინიშნა. პირველი 1914–1930წ.წ. მეორე–1967-1975წ.წ; ხოლო მესამე კი 1992 წლიდან მიმდინარეობს [8, გვ. 75].

საქართველოსა და დსთ-ს ევროპულ ნაწილში მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის მეორე ფაზათაშორისი პერიოდისგან განსხვავებით, პირველი ფაზათაშორისი გარდამავალი პერიოდი (1914–1930წ.წ.) ომისა და რევოლუციის შემდგომმა გლობალური და ლოკალური ხასიათის რევორმებმა განაპირობა. დემოგრაფიულ ურთიერთობათა და სხვა ქცევისტემათა ტრანსფორმაციის რევოლუციური ფორმის სიმწვავემ პირველიდან მეორე ფაზაზე გარდამავალი პერიოდი დროში გაწელა (დაახლოებით 12–15 წელი) და ამ ქვეყნებში მეორე ფაზის დასაწყისად 1928–1930წ.წ. უნდა ვიკარაულოთ.

1950-იანი წლების დასახრულისათვის, ყოფილ საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში შეუმჩნევლად შემოსულმა ევროპული ცხოვრების წესმა მნიშვნელოვნად განაპირობა დსთ-ს ევროპული ნაწილის ქვეყნებსა და საქართველოში 1965-1975წ.წ. დემოგრაფიული ქცევისტემის ტრანსფორმაცია და მეორედან მესამე ფაზაში გარდამავალი პერიოდი.

შეიძლება ითქვას, რომ დსთ ევროპული ნაწილის ქვეყნებისა და საქართველოსგან დანსხვავებით ორი გლობალური მნიშვნელობის მოვ-

ლენის (რევოლუცია, სამამულო ომი) თანმდევმა სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა ურთიერთობათა სისტემების ტრანსფორმაციამ, პრაქტიკულად მცირეოდენი გავლენა იქონია შეა აზიის ქვეყნების დემოგრაფიულ განვითარებაზე. მათი დემოგრაფიული ქცევის საქციფიკური თავისებურებანი (განსაკუთრებით რელიგიური) ბევრად უფრო მდგრადი აღმოჩნდა და დემოგრაფიული განვითარების ზოგადი კანონებისა და კანონზომიერებათა მოქმედება გარკვეული დროით გადავადა.

ტაჯიკეთისგან განსხვავებით, 1960 წელთან შედარებით, 1987 წლისთვის, შობადობა შემცირდა შეა აზიის ყველა ქვეყანაში, თუმცა ცალკეულ წლებში მისი ზრდაც აღინიშნებოდა, განსაკუთრებით 1980 წლისას, რაც არდვეეს დემოგრაფიული გადახვდის კანონზომიერებებს. დან, რაც არდვეეს დემოგრაფიული გადახვდის კანონზომიერებებს. ცხრილი I-დან ნათლად ჩანს, რომ 1980-იანი წლების შეა ხანებამდე ისინი პირველი ფაზისთვის დამახასიათებელი ოდნავ განსხვავებული რეპროდუქციული ქცევით გამოირჩეოდნენ. მეტიც, ტაჯიკეთი შობადობის ზრდის ტემპით ხასიათდებოდა და 1987 წლის დონემ (41,8%) 1960 წლის დონესაც (33,5%) გადააჭარბა.

ცხრილი I

შობადობის დონემის დათვის ქვეყნებში 1960-2000წწ.
(1000 ქაცხე გაანგარიშებით) [8; 9]

დათვის ქვეყნები	შობადობის ზოგადი კოეფიციენტი				შობადობის კოეფიციენტი				ჯამობრივი
	1960წ.	1987წ.	1992წ.	2000წ.	1960წ.	1987წ.	1992წ.	2000წ.	
აზერბაიჯანი	42.6	26.9	24.6	14.8	4.93	2.85	2.89	1.9	
სომხეთი	40.1	22.9	19.2	9.0	4.68	2.54	2.8	1.30	
ბელარუსი	24.4	16.1	12.4	9.0	2.76	2.03	1.75	1.31	
საქართველო	24.7	17.6	13.3	12.3	2.52	2.20	1.78	1.66	
ყაზახეთი	37.2	25.5	20.6	14.0	4.39	3.19	2.7	1.70	
ყარგიზეთი	36.9	32.6	28.6	22.0	4.23	4.20	3.62	2.80	
მოლდოვეთი	29.3	21.8	16.0	11.0	3.54	2.73	2.21	1.50	
რუსეთი	23.2	17.1	10.7	8.0	2.61	2.22	1.56	1.20	
ტაჯიკეთი	33.5	41.8	32.2	21.0	3.83	5.66	4.13	2.70	
თურქმენეთი	42.4	37.0	32.4	21.0	5.02	4.76	4.09	2.50	
უზბეკეთი	39.8	37.2	33.1	23.0	4.92	4.57	4.07	2.80	
ურაინა	20.5	14.8	11.4	8.0	2.86	2.06	1.70	1.30	

ამდენად, ცენტრალური აზიის ქვეყნებში, არაორდინარული რეპროდუქციული ქცევის გამო, ძნელია ზუსტად განსაზღვრო მეორე ფაზის არსებობა. თუმცა, მოკვდაობის შემცირების ნები ტემპებიდან გამომდინარე, უზბეკეთში მისი დაწყების პერიოდად 1975–1980 წწ. შეიძლება მივიჩიოთ, ხილო ყირგიზეთში, ტაჯიკეთსა და თურქმენეთში 1980-იანი წლების დასაწყისი.

ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების წარმოქმნა, გასული საუკუნის მესამე გლობალური ხასიათის მოვლენად მიგვაჩნია. იგი დს-ს ქვეყნების დემოგრაფიული ტრანსფორმაციის მნიშვნელოვან კატალიზატორად მოგვევლინა, რამაც მესამე ფაზათაშორისი გარდამავალი პერიოდის დაწყება და შემდეგ მისი ტიპთაშორის გარდამავალ პერიოდში გადაზრდა განაპირობა.

როგორც ცხრილი 1 გვიჩვენებს, 1960–2000 წწ. დსთ-ს ქვეყნებში დემოგრაფიული ვითარება აშკარად გაუარესდა, განსაკუთრებით დსთ-ს ეკროპული ნაწილის ქვეყნებსა და საქართველოში, სადაც შუა აზიის ქვეყნებთან შედარებით დაბერებული დემოგრაფიული სტრუქტურის გამო, გაიზრდა მოკვდაობა. მიუხედავად შუა აზიის ქვეყნებში შობადობის სწრაფი ტემპით შემცირებისა, იგი ისევ მაღალ დონეზეა და მოკვდაობის დაბალი ინტენსივობის პირობებში, მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას მაღალ დონეზე უზრუნველყოფს. ამას ადასტურებს ცხრილი 1-ში მოტანილი შობადობის ჯამბორივი კოეფიციენტები. მათი დიფერენცირებული განხილვა გვიჩვენებს, რომ 1992–2000 წლებში, შუა აზიის ქვეყნებში საშუალოდ ერთი ქალის ოკაროდუქციული ქვევა საშუალოდ 3,8-დან 2,5 ბავშვამდე შემცირდა მაშინ, როცა დსთ-ს ეკროპული ნაწილის ქვეყნებსა და საქართველოში მათგან განსხვავდით ეს პროცესი 1992 წლამდე დაიწყო და 2000 წლისთვის მან საშუალოდ 1,27 ბავშვი შეადგინა.

შობადობის დაბალი დონის პირობებში, საქართველოსა და დსთ-ს ეკროპული ნაწილის ქვეყნებში, შუა აზიის ქვეყნებთან შედარებით ბევრად უფრო მაღალი ტემპით იზრდება მოკვდაობის მაჩვენებელი. დსთ-ში 2000 წლისთვის მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის უმცირესი დონის მაჩვენებელი (ტაჯიკეთი – 5,0%), 3-ჯერ ჩამორჩება უმაღლეს დონეს (რუსეთი – 15,0%). მოკვდაობის ასეთმა ვარიაციამ მნიშვნელოვანი გავლენა იქნია ამ ქვეყნების მოსახლეობის აღწარმოების პროცესზე.

1992–2000 წწ. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ტენდენციებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ აზერბაიჯანსა და შუა აზიის ქვეყნებში შობადობის მაღალ დონეზე მიმდინარეობს მეორედან მესამე ფაზაში გარდამავალი ფაზათაშორისი პერიოდი. ყაზახეთი და სომხეთი კი, არაორდინაციური დემოგრაფიული ვითარების მიუხედავად, მესამე ფაზის დამამთავრებელ ეტაპზე არიან.

ამდენად, განხილული ანალიზი ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას ერთი მხრივ, 1990–2000 წწ. ფაზთაშორისი გარდამავალი პერიოდის არსებობაზე, ხოლო მეორე მხრივ, 2000 წლიდან საქართველოსა და დსთ-ს ეკროპული ნაწილის ქვეყნებში მესამე ფაზთაშორისი პერიოდის ტიპთაშორის გარდამავალი პერიოდში გადაზრდის თაობაზე. ანუ, 2000 წლიდან ამ ქვეყნებში მიმდინარეობს მოსახლეობის აღწარმოების თა-

ნამედროვე ტიპიდან უახლეს-ცივილიზებულ ტიპზე გადასვლის ტიპთა-შორისი გარდამავალი პერიოდი.

რამდენადაც მოსახლეობის აღწარმოების უახლეს კ.წ. ცივილიზებული ტიპისათვის დსთ-ს ევროპული ნაწილის ქვეყნების და საქართველოს დემოგრაფიული პროგნოზი განგაშის საფუძველს იძლევა, ამ ქვეყნების მთავრობებმა, ამთავითვე უნდა იზრუნონ მოსახლეობის აღწარმოების კ.წ. ცივილიზებულ ტიპს მისადაგებული სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკის შესამუშავებლად.

ლიტერატურა:

1. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი (შემდგენელი გ. წულაძე); თბილისი, 2005.
2. სულაბერიძე ა. სულაბერიძე ვ. მოსახლეობის აღწარმოების უახლესი ტიპის, ფაზათაშორისი და ტიპთაშორისი გარდამავალი პერიოდის შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის შრომების კრებული: “დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები” ტ. II., თბ., 2004, გვ. 61–76.
3. Гундаров И.А. Демографическая катастрофа в России: причины, механизм, пути преодоления. М.2001.с.205.
4. Демографический ежегодник СССР. М. 1990.
5. Иванов С. Новое лицо брака в развитых странах. Информационный бюллетень центра демографии и экологии человека Института народохозяйственного прогнозирования РАН. №63, июнь, 2002.
6. Информационный бюллетень Центра демографии и экологии человека Института народнохозяйственного прогнозирования РАН. №64, 2002.
7. Народонаселение. Энциклопедический словарь. М., 1994.
8. Россия и страны мира. Официальные данные. М., 2000.
9. Landry A. La revolution demographique. P., 1934, p. 203.

INTERTYPE TRANSITIONAL PERIOD OF POPULATION REPRODUCTION IN GEORGIA

Avtandil Sulaberidze, Marina Demetrašvili, Vano Shushtakashvili

Institute of Demography and Sociological Studies

The Academy of Sciences of Georgia

5, Pushkin Street, 0105, Tbilisi, Georgia

SUMMARY. The article addresses the theoretical and methodological aspects of the intertype and interphase transitional period of population reproduction.

The authors don't deem expedient the existence of internal type of population reproduction. In their opinion, this or that type has already formed the demographic behavior characteristic to this type. During the intermediate type it can be observed separate elements of the both new and old type of demographic behavior. Therefore the abovementioned period is represented not only as an intermediate type, but as an intertype transitional period of population reproduction. Its duration depends on political and socio-economic situation existing in the country and its regions.

It's grounded that along with the transitional period of intertype population reproduction there exists the interphase transitional period as well. The movement from phase to phase doesn't occur spontaneously and it takes place against the background of qualitative transformation of demographic system and it requires a certain time and represents an interphase transitional period.

The authors outline two types (hidden and open) of the intertype and interphase transitional period. There are given defining criteria of the intertype and interphase transitional period of population reproduction.

МЕЖТИПОВОЙ ПЕРЕХОДНЫЙ ПЕРИОД ВОСПРОИЗВОДСТВА НАСЕЛЕНИЯ В ГРУЗИИ

Автандил Сулаберидзе, Марина Деметрашвили, Вано Шуштакашвили

ინსტიტუტი დემოგრაფიის და

социологических исследований

აკადემია სამსახური

თბილისი, 0105, ულ. პუშკინა 5, საქართველო

РЕЗЮМЕ. В статье рассмотрены теоретико-методологические аспекты межтипового и межфазового переходного периода воспроизведения населения.

Авторы не считают правомерным существование промежуточного типа воспроизведения населения. По их мнению, при том или ином типе воспроизведения населения уже сформировано характерное для этого типа де-

мографическое поведение, а при промежуточном типе отмечаются отдельные элементы демографического поведения, характерные как для старого, так и для нового типов. Поэтому отмеченный период предстает не как промежуточный тип, а как межтиповoy переходный период воспроизведения населения. Его длительность зависит от политической и социально-экономической обстановки в стране и регионе.

Обосновано, что наряду с переходным межтиповым периодом воспроизводства населения существует и межфазовый переходный период. Переход с фазы в фазу не происходит спонтанно. Этот переход происходит на фоне качественной трансформации демографической системы, что требует определенного времени и представляет межфазовый переходный период.

Авторы выделяют два вида межтипового и межфазового переходного периода: открытый и скрытый. Первый характерен для трансформации эволюционного развития, а второй – для революционного развития и в определенном смысле зависит от политической обстановки в стране.

საქართველოს რკინიგზის სამსახურატაციო დანახარჯებისა და ინიციატივების ანალიზი

იური ანანიაშვილი, ნოდარ ხადური

იუ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
0143, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2

დავით ონოფრიშვილი, ნოდარ ულუმბერაშვილი

შპს საქართველოს რეინიგ ზა

0112, თბილისი, თამარ მეფის ქ. №15

შემოგვარა: 2005 წლის 12 სექტემბერს

რეზიუმე. სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს რკინიგზის საექსპლუატაციო დანახარჯები 2002-2004 წლებისათვის. აღწერილია რკინიგზის მოლიანი საექსპლუატაციო დანახარჯების სატვირთო და სამგზარო გადაზიდვებზე დანახარჯებად დაყოფის წესი. მოყვანილია ამ დანახარჯების კონკრეტული მნიშვნელობები მოლიანად რკინიგზისათვის და მისი მეურნეობებისათვის. განსაკუთრებული აღვილი კომობა საექსპლუატაციო დანახარჯებში მუდმივი და ცვლადი ჩატილების გამოყოფის პროცედურის განხილვას. ნაჩვენებია, რომ საქართველოს რკინიგზის საექსპლუატაციო დანახარჯებში მუდმივი დანახარჯების წილი დაახლოებით 70%-ია. აგებულია ტვირთბრუნვებზე და მგზავრთბრუნვაზე დანახარჯების ფუნქციები, რომელთა საფუძველზეც მიღებულ იქნა ზღვრული და საშუალო საექსპლუატაციო დანახარჯები სატვირთო და სამგზარო გადაზიდვებისათვის. მოლიანად რკინიგზისათვის და მისი მეურნეობებისათვის მოყვანილი და გაანალიზებულია მუდმივი და ცვლადი დანახარჯების კონკრეტული მნიშვნელობები, საიდანაც გამომდინარებს, რომ გადაზიდვებზე დამოკიდებული დანახარჯები საქართველოს რკინიგზაზე გააჩნია მხოლოდ სამ მეურნეობას-სალიანდაგოს, სალოკომოტივოს და სავაროოს.

* * *

საქართველოს ეკონომიკური განვითარების საქმეში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა და დღესაც ასრულებს საქართველოს რკინიგზა. 1985 წელს საქართველოს რკინიგზის მიერ გადაზიდული ტვირთების საერთო რაოდენობა 63,9 მლნ ტონას შეადგენდა. საბჭოთა კავშირის ნერევით გამოწვეული პროცესები მნიშვნელოვნად საქართველოს რკინიგზასაც შექმნა, ამიტომ 1995 წლისთვის მის მიერ გადაზიდული ტვირთების საერთო რაოდენობა 4,7 მლნ ტონამდე დაეცა. მომდევნო წლებში, ეროვნული ეკონომიკის თანდათანობითი აღორძინების და საქართველოს ტრანზიტული ფუნქციის გაფართოების კალობაზე, რკინიგზის მიერ გადაზიდული ტვირთების მოცულობამაც დაიწყო ზრდა და 2004 წლისთვის 15,4 მლნ ტონა შეადგინა. მაგრამ მიღწეული საქართველოს რკინიგზისათვის ზღვარი არ არის. ჯერ კიდევ არსებობს დიდი რეზერვები, რომელთა გამოვლენა და ოპტიმალური გამოყენება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს გადაზიდვების მოცულობის ზრდას და რკინიგზის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას. ამისათვის კი ერთ-

ერთი აუცილებელი ღონისძიებაა რეინიგზის საქმიანობის ეკონომიკური ასპექტების შეფასება, რაც პერსპექტივაში საფუძვლად დაედება წარმატებულ რესტრუქტურიზაციას და საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული მენეჯმენტის დანერგვას.

რეინიგზის საქმიანობის ეკონომიკური ასპექტებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საექსპლუატაციო დანახარჯების აღრიცხვა, ანალიზი და მართვა. უნდა ითქვას, რომ წინა წლებში საქართველოს რეინიგზაზე ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევიდა. წარმოდგენილი სტატია მოკლე ინფორმაციას იძლევა ავტორების მიერ ამ მიმართულებით ჩატარებული სამუშაოს და მიღებული შედეგების შესახებ.

საექსპლუატაციო დანახარჯების განაწილება სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვებზე

საქართველოს რეიინიგზა მრავალპროდუქტიაზი წარმოებაა, თუმცა იგი ძირითადად სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვებს ახორციელებს. როგორც სხვა მრავალპროდუქტიაზ წარმოებაში, რეინიგზაზეც არსებობს დანახარჯების პროდუქტებზე მიკუთვნების პრობლემა, ანუ არსებობს პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯები.

პირდაპირია ისეთი დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ სატვირთო ან სამგზავრო გადაზიდვებთანაა დაკავშირებული და არ მოითხოვს განაწილებას გადაზიდვების სახეებს შორის. პირდაპირ დანახარჯებს შეიძლება მივაკუთვნოთ, მაგალითად, დანახარჯები სატვირთო და სამგზავრო ვაგონების შემოწმებაზე, ამორტიზაციაზე და მიმდინარე რემონტზე, ელმაგლებისა და თბომაგლების სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვებზე გამოყენების დანახარჯები (შესაბამისი ბრიგადების ხელფასი, მატარებლების წევისათვის გამოყენებული საწვავი და ელგაქტროენერგია, საცხებ-საპოხი მასალები და ა.შ.), სამგზავრო და სატვირთო მატარებლებზე მიმაგრებული შესაბამისი ლოკომოტივების ამორტიზაცია, დანახარჯები სამგზავრო და სატვირთო მეურნეობების შენობა-ნაგებობების რემონტზე, დატვირთვა-გადმორტვითვის სამუშაოების დანახარჯები, დანახარჯები სამანევრო სამუშაოებზე სატვირთო და მახარისხებელ სადგურებზე და ა. შ.

სამწუხაროდ, რეიინიგზის მთლიან საექსპლუატაციო დანახარჯებში მხოლოდ მცირე ნაწილი (დაახლოებით 40%) შეიძლება უშუალოდ სამგზავრო ან სატვირთო გადაზიდვებს მივაკუთვნოთ. დანახარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი ერთდროულად დაკავშირებულია როგორც სატვირთო, ისე სამგზავრო გადაზიდვების შესრულებასთან, ანუ წარმოადგენს არაპირდაპირს. ლიტერატურაში ამ სახის დანახარჯების გამიჯვნისათვის რამდენიმე მეთოდის გამოყენებაა რეკომენდირებული

[1,2,3,4]. უკელა ეს მეთოდი შეიცავს პირობითობის ელემენტებს და გულისხმობს არაპირდაპირი დანახარჯების სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვებზე განაწილებას გარკვეული გამზომების პროპორციულად.

სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვებზე დანახარჯების გამიჯვისთვის ჩვენს მიერ გამზომ ერთეულად შემოღებულ იქნა პირობითი ვაგონ-კილომეტრი. ეს არის ზომის ერთეული, რომელსაც შეესაბამება 23 ტონა-კილომეტრი, ანუ ერთ კილომეტრზე გადაადგილებული 23 ტონიანი ვაგონი. ერთეულად ასეთი ვაგონის შერჩევა იმ გარემოებამ განაპირობა, რომ საქართველოს ოკინიგზაზე მოძრავი ვაგონების ძირითადი ნაწილი 23 ტონიანია, თუმცა სატვირთო ვაგონებს შორის გვხდება, აგრეთვე, 22, 29 და 39 ტონიანი, ხოლო სამგზავრო ვაგონების წონა კი შეადგენს 46 და 55 ტონას. ადვილად შევნიშნავთ, რომ უკელა ეს განსხვავებული წონის ვაგონი შეიძლება გამოვსახოთ პირობითი ვაგონის მეშვეობით. მაგალითად, 46 ტონიან სამგზავრო ვაგონს შეესაბამება 2 პირობითი ვაგონი, 39 ტონიან სატვირთო ვაგონს-1,7 პირობითი ვაგონი და ა.შ.

გამზომის შერჩევის შემდეგ მოხდა სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების შესაბამისი პირობით ვაგონ-კილომეტრების განსაზღვრა. ამ მიზნით სატვირთო გადაზიდვებისათვის გავითვალისწინეთ გადაზიდვის ძირითადი მაჩვენებელი-ტონა-კილომეტრი ბრუტო, რომელიც შესაბამის ანგარიშგებებში მოიცემა, ხოლო სამგზავრო გადაზიდვებისათვის - მატარებლების მოძრაობის გრაფიკი, მარშრუტის სიგრძე, შემადგენლობა და წონა (გადაყვანილ მგზავრთა წონის გარეშე). სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების შესაბამისი პირობით ვაგონ-კილომეტრების პროპორციულად არაპირდაპირი დანახარჯების განაწილებამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვებზე დანახარჯები 2002-2004 წლებისათვის, რომლებიც ცხრილ-1-შია მოცემული, როგორც მოლიანად ოკინიგზისათვის, ისე მისი მეურნეობების ჭრილში.

ამ მონაცემების მიხედვით 2002 წელში საქართველოს ოკინიგზის მოელი საექსპლუატაციო დანახარჯების 25.3% სამგზავრო, ხოლო დანარჩენი 74.7% სატვირთო გადაზიდვებზე მოდის. 2003 წელში ეს მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 24.3% და 75.7%, 2004-ში კი -23.6% და 76.4%-ს. როგორც ვხედავთ, მოლიანი საექსპლუატაციო დანახარჯების ძირითადი ნაწილი სატვირთო გადაზიდვებზე მოდის. ეს უკანასკნელი დაახლოებით 3-ჯერ აღემატება სამგზავრო გადაზიდვებზე დანახარჯების წილს. ამასთან, წარმოდგენილი პერიოდის მონაცემებით არსებობს ტენდენცია, რომლის მიხედვითაც განსხვავება სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვებზე დანახარჯების წილებს შორის სატვირთოს სასარგებლოდ უფრო ძლიერდება. ერთი მხრივ, ეს ბუნებრივია, ვინაიდან ამ ეტაპზე საქართველოს ოკინიგზის ძირითად ფუნქციას სატვირთო გადაზიდვები წარმოადგენს და ბევრი რამ კეთდება მისი გაუმ-

ჯობესებისა და გაზრდისათვის. მორე მხრივ, ეს შეიძლება დადგებით ტენდენციად აღვიძვად, ვინაიდან, როცა ადგილი აქვს რკინიგზაზე მგზავრობრუნვის ზრდას (და სწორედ ასეთი სიტუაციაა 2002-2004 წლებში), სამგზავრო გადაზიდვების დანახარჯების წილის შემცირებამ შეიძლება სამგზავრო გადაზიდვების თვითდირებულების გარკვეულ შემცირებამდე მიგვიყვანოს, რაც მეტად მნიშვნელოვანია თანამედროვე შემცირება.

ვიდრე სატყირო და სამგზავრო გადაზიდვების დანახარჯებს მეურნეობების ჭრილში გავაანალიზებთ წინასწარ დაგახასიათოთ მეურნეობები მთლიან საექსპლუატაციო დანახარჯებში შეტანილი წვლილის მიხედვით.

ცხრილი 1-ის მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველოს რკინიგზის მეურნეობები დანახარჯების სიდიდით ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. წარმოდგენილ პერიოდში (2002-2004 წწ) განსაკუთრებით დიდი მთლიანი საექსპლუატაციო დანახარჯებით სალიანდაგო მეურნეობა გამოირჩევა. 2002 წელს მისმა მთლიანმა დანახარჯმა შეადგინა მთელი საექსპლუატაციო დანახარჯების 27.4%, 2003-ში—27.3%, 2004-ში—29.9%.

ცხრილი 1

მიმღწერებულ დანასახრუნველო სატყიროთვის და სამგზავრო ტერიტორიაზე მდგრადი მოვლენების მიხედვით (ათას ლარებში)

მუცინებობა	2002 წელი			2003 წელი			2004 წელი		
	დანახარჯი	საბეჭირო ფაქტურის ხელშეკრულების მიხედვით	საბეჭირო ფაქტურის ხელშეკრულების მიხედვით	დანახარჯი	საბეჭირო ფაქტურის ხელშეკრულების მიხედვით	საბეჭირო ფაქტურის ხელშეკრულების მიხედვით	დანახარჯი	საბეჭირო ფაქტურის ხელშეკრულების მიხედვით	საბეჭირო ფაქტურის ხელშეკრულების მიხედვით
სალიანდაგო	46255	13035	59289	53951	14619	68570	53785	13033	66818
სამეურნეო საქმიანობა	9779		9779	11086		11086	96701		96701
მოძრაობა	6580,8	1620	8201	7971	1702	9673	7397	1624	9021
სალოკომოტივო	20070	15241	35311	23206	17729	40934	20420	16025	36446
საფაგნინი	22427	7405	29832	23226	7140	30365	21624	7686	29310
კლ. მომარტივება	8064	3728	11792	9196	3525	12721	8849	2781	11630
კაშირაბაბულებობა	4915	1573	6489	6291	1746	8038	7510	1577	9086
სამშენებლო	3671	1338	5009	4323	1411	5734	3610	1099	4709
სხვა ორგანიზაციების და ღონისძიებების დაფინანსება	15833	4265	20098	22436	5765	28201	18721	4412	23134
აღმინისტრაციული და სხვა ხარჯები	23957	6453	30409	28336	7282	35618	19235	4533	23768
სულ	161551	54656	216207	190021	60918	250939	170822	52772	223593

საექსპლუატაციო დანახარჯების სიდიდით მომდევნო ადგილს სალოკომოტივო მეურნეობა იკავებს. მართალია, სხვა მეურნეობებთან შედარებით სალოკომოტივოს დანახარჯები საგრძნობლად მაღალია (დაახლოებით 16.3%), მაგრამ საშუალოდ, სამწლიანი პერიოდის შედეგების მიხედვით, სალოკომოტივოს პოზიცია 1.7-ჯერ ჩამოუგარდება სალიანდაგო მეურნეობის, როგორც საქართველოს რეინიგზის ერთ-ერთ მთავარ დანახარჯწარმომქმნელი ობიექტის პოზიციას.

სალიანდაგო მეურნეობის სრულიად საპირისპირო მდგომარეობაში იმყოფება სამშენებლო-სარემონტო სამსახური. ამ უკანასკნელის წილად რეინიგზაზე ყველაზე მცირე დანახარჯები მოდის (დაახლოებით 2,2%). ამასთან, სალიანდაგო მეურნეობის დანახარჯები 10-ჯერ და მეტად აღემატება სამშენებლო-სარემონტო სამსახურის დანახარჯებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ 2002-2004 წლებში საქართველოს რეინიგზის საექსპლუატაციო დანახარჯების სტრუქტურას მეურნეობების ჭრილში რაიმე არსებითი ცვლილება არ განუცდია. თუ ცხრილ 1-ის მონაცემების საფუძველზე შეურნეობებს დაგალაგებთ მთლიანი საექსპლუატაციო დანახარჯების საშუალო წლიური მნიშვნელობების მიხედვით, მაშინ ისინი შემდეგი თანმიმდევრობით განლაგდებიან: სალიანდაგო მეურნეობა (28.2%); სალოკომოტივო მეურნეობა (16.3%); სავაგონო მეურნეობა (13%); ადმინისტრაცია (13%); ელექტრომომარაგების მეურნეობა (5.3%); სამეურნეო სამსახური (4.4%); კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის სამსახური (3.4%); სამშენებლო-სარემონტო მეურნეობა (2.2%)¹.

საინტერესო ის გარემოება, რომ მეურნეობების ეს თანმიმდევრობა მნიშვნელოვნად არ იცვლება, როდესაც მთლიანი საექსპლუატაციო დანახარჯებიდან სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დანახარჯებზე გადავიდივართ და მეურნეობებს გადაზიდვების სახეების პოზიციიდან ვიხილავთ. კერძოდ, სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვებისათვის დანახარჯების სიდიდის მიხედვით მოწესრიგებულ მეურნეობათა სიის პირველ ოთხეულში ისევ სალიანდაგო, სალოკომოტივო, სავაგონო მეურნეობები და ადმინისტრაცია შედის. გადაზიდვის ორივე სახისათვის მათ წილად საექსპლუატაციო დანახარჯების 3/4 მოდის. მაგრამ ამ მეურნეობებიდან სატვირთო გადაზიდვების დანახარჯებისათვის მთავარ როლს ასრულებს სალიანდაგო მეურნეობა (საშუალოდ დანახარჯების 29%), ხოლო სამგზავრო გადაზიდვებისათვის კი-სალოკომოტივო მეურ-

¹ შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ რუსეთის ფედერაციის რეინიგზაზე, ისევე როგორც საქართველოს რეინიგზაზე, საექსპლუატაციო დანახარჯების სიდიდის მიხედვით გამორჩეულ პირველ სამეურნეოს სალოკომოტივო, სალიანდაგო და სავაგონო მეურნეობები წარმოადგენს. როგორც აღნიშეულია [1] –ში 1999 წლისათვის ყველაზე მაღალი დანახარჯები სალოკომოტივოზე მოდის (26.7%) სალიანდაგოს წილი ოდნავ ნაკლებია და შეადგენს 24.6%, ხოლო სავაგონოს წილად კი მოდის 11.1%.

ნეობა (საშუალოდ დანახარჯების 29%). ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ თვითდირებულების შეცირების რეზერვები მნიშვნელოვანი იღლად შეიძლება ვეძებოთ სამგზავრო გადაზიდვებისათვის სალოკო-მოტივო მეურნეობის მუშაობაში, სატვირთო გადაზიდვებისათვის კი-სალიანდაგო მეურნეობის მუშაობაში.

მეურნეობები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო დანახარჯების სიდიდით, არამედ დანახარჯების სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვებზე განაწილების პროპორციით, რის იღუსტრირებასაც იძლევა ცხრილი 1. თუ თითოეულ მეურნეობისათვის ამ მონაცემებით გამოვითვლით სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვებზე გაწეულ დანახარჯების პროცენტულ მნიშვნელობებს, შევნიშნავთ, რომ ყველა მეურნეობისათვის სატვირთო გადაზიდვებისათვის განხორციელებული დანახარჯების წილი მნიშვნელოვნად აღემატება სამგზავრო გადაზიდვების დანახარჯების წილს. ამასთან, თუ მეურნეობებს განვიხილავთ, მაგალითად, სამგზავრო გადაზიდვებზე დანახარჯების პროცენტული წილის კლების (შესაბამისად, სატვირთო გადაზიდვებზე დანახარჯების წილის ზრდის) მიხედვით, მაშინ ისინი შემდგენაირად შეიძლება დაგალაგოთ (ფრჩხილებში მითითებულია მეურნეობების სამგზავრო გადაზიდვებზე დანახარჯების პროცენტული მნიშვნელობა, რომელიც 2002-2004 წლების შესაბამის მნიშვნელობათა საშუალო არითმეტიკულია): სალოკომოტივო მეურნეობა (43,4%); ელექტრომომარაგების მეურნეობა (27,7%); სამშენებლო-სარემონტო მეურნეობა (24,9%); სავაგონო მეურნეობა (24,8%); კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის სამსახური (21,1%); სალიანდაგო მეურნეობა (20,9%); ადმინისტრაცია (20,2); მოძრაობის სამსახური (18,5).

როგორც კეთებავთ, სამგზავრო გადაზიდვებზე დანახარჯებს ყველაზე მეტი პროცენტული მნიშვნელობა (საშუალოდ 43%) შეესაბამება სალოკომოტივო მეურნეობაში (ცხადია, იმავდროულად, სალოკომოტივო მეურნეობაში სხვა დანახარჯენ მეურნეობებთან შედარებით სატვირთო გადაზიდვებზე დანახარჯების პროცენტული წილი ყველაზე ნაკლებია (საშუალოდ 57%)). სალოკომოტივო მეურნეობას რამდენადმე უახლოვდება ელექტრომომარაგების მეურნეობა, სადაც ასევე შედარებით მაღლია სამგზავრო გადაზიდვებზე დანახარჯების წილი (საშუალოდ 28%). სრულიად საპირისპირ მდგრამარეობაა სალიანდაგო მეურნეობასა და მოძრაობის სამსახურში. მათი დანახარჯების სტრუქტურაში სამგზავრო გადაზიდვების წილი 2-ჯერ და მეტად ჩამოუგარდება სალოკომოტივო მეურნეობის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ჩვენ კარგად გვაქვს გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვებზე დანახარჯების სტრუქტურით მეურნეობების ზემოთ წარმოდგენილი განსხვავებულობა და, შესაძლებელია, თანმიმდევრობაც, რამდენადმე პირობითია და გარკვეულად შედეგია იმ

მეთოდიკის, რომელიც საფუძვლად დაგუდეთ დანახარჯების სამგზავრო და სატვირთო სახეებად გამიჯვნას. არ არის გამორიცხული, რომ სხვა მეთოდიკის გამოყენების შემთხვევაში მეურნეობების ზემოთ მოყვანილი თანმიმდევრობა და შესაბამისი პროცენტული მნიშვნელობები მცირეოდენ განსხვავებული იყოს. მაგრამ მეურნეობების სპეციფიკის, საქმიანობის სახეების, აგრეთვე, დანახარჯების ელემენტების შემადგენლობის და ამ ელემენტების ამა თუ იმ საქმიანობის შესრულებაში მონაწილეობის გათვალისწინება იმის საფუძველს გვაძლევს, რომ სურათი, რასაც საქართველოს რეინიგზის შესახებ ცხრილ 1-ის მონაცემები პქმნიან, რეალობასთან საქმარისად მიახლოებულად ჩავთვალოთ და იგი არსებული მდგომარეობის ანალიზისათვის და მომავლის შეფასებისათვის გამოვიყენოთ.

აღვნიშნოთ კიდევ ერთი საინტერესო გარემოება, რომელიც ცხრილ 1-ის მონაცემებიდან გამომდინარეობს. თუ მეურნეობების სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვებზე დანახარჯების თანაფარდობას დინამიკაში განვიხილავთ, ზოგიერთი მათგაბისათვის 2002-2004 წლებში დანახარჯების წილის სამგზავრო გადაზიდვებზე შემცირების და, შესაბამისად, სატვირთო გადაზიდვებზე გადიდების ტენდენციას შევნიშნავთ. მაგალითად, ასეთი მკვეთრად გამოხატული ტენდენცია აღმქმრომომარაგების მეურნეობას, კავშირგაბმულობისა და სამშენებლო-სარემონტო სამსახურებს, აგრეთვე, ადმინისტრაციას გააჩნიათ. დანარჩენი მეურნეობებისათვის რაიმე სტაბილური ტენდენცია არ არსებობს. მაგრამ, როგორც სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვების მთლიანი საექსპლუატაციო დანახარჯების დინამიკის ანალიზმა გვიჩვენა, საქართველოს რეინიგზაზე განხილულ პერიოდში ადგილი აქვს დანახარჯების წილის შემცირებას სამგზავრო გადაზიდვებზე და გადიდებას სატვირთო გადაზიდვებზე.

სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების მუდმივი და ცვლადი დანახარჯები საქართველოს რეინიგზაზე

რეინიგზის საექსპლუატაციო ხარჯების შემადგენლობაში არსებობს დანახარჯთა ორი ჯგუფი, რომლებიც სხვადასხვა მიმართებაში იმყოფებიან გადაზიდვების სიდიდესთან. დანახარჯთა ერთი ჯგუფი გადაზიდვების ცვლილებისას გარკვეულ პირობებში და დროში თავის სიდიდეს არ იცვლის. მათ მუდმივი (ან პირობით მუდმივი) დანახარჯები ეწოდება. დანახარჯთა მეორე ჯგუფის მნიშვნელობა იცვლება გადაზიდვების მოცულობის ცვლილებისას-გადიდებისას იზრდება, შემცირებისას მცირდება. მათ ცვლადი დანახარჯები ეწოდება. პრაქტიკაში, სააღრიცხვო მასალებზე მუშაობისას, გარკვეულ წილად შესაძლებელია ყოველი მოცემული პერიოდის (წლის) მთლიან საექსპლუატაციო დანა-

ხარჯებში TC-ში მუდმივი FC და ცვლადი VC ნაწილების გამოყოფა და დაფიქსირება. ამის საშუალებას დანახარჯების შემადგენელი ელქ-მენტების ბუნების შესახებ პრიორული ცოდნა იძლევა.

მაგალითად, წინასწარ ცნობილია რომ რეინიგზაზე გადაზიდვის მოცულობაზე დამოკიდებულ დანახარჯებს მიეკუთვნება ლოკომოტივებისა და მატარებლების ბრიგადების ხელფასი, მატარებლების წევაზე საწვავისა და ალექტროგენერის დანახარჯები, მასალების დანახარჯები მოძრავი შემადგენლობის რემონტზე, და მუშა მდგომარეობაში შენარჩუნებაზე, დანახარჯების ნაწილი სარკინიგზო ხაზების ზედა ნაგებობების რემონტზე და სხვა.

მუდმივი დანახარჯები საკმაოდ მრავალფეროვანია. პირველ რიგში ასეთია მართვის აპარატის და გზის სამსახურების, აგრეთვე, საღგურების შეტაცების მნიშვნელოვანი ნაწილის, კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის სამსახურის შენახვის დანახარჯები, ამორტიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილი, სამშენებლო-სარემონტო სამსახურის ხარჯები, დანახარჯები რეინიგზის მიწის ვაკისზე, გზების გაწმებდისა და დაცვის სამუშაოებზე და ა.შ.

აქ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს რკინიგზისათვის 2002-2004 წლებისათვის განისაზღვრა მუდმივი და ცვლადი დანახარჯები, რომლებიც, როგორც მთლიანობაში, ისე სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების ჭრილში წარმოდგენილია ცხრილ 2-ში.

ცხრილი 2

მუდმივი და ცვლადი დანახარჯები საქართველოს რკინიგზაზე გადაზიდვის სახეების მიხედვით
2002-2004 წლებში (ათას ლარებში)

	2002 წელი			2003 წელი			2004 წელი		
	FC	VC	TC	FC	VC	TC	FC	VC	TC
მთლიანად რეინიგზაზე	149606	66601	216207	177894	73045	250939	157222	66371	223593
სატვირთო გადაზიდვებზე	110149	51402	161551	132499	57522	190021	118706	52116	170822
სამგზავრო გადაზიდვებზე	39457	15199	54656	45395	15523	60918	38516	14256	52772

პირველი, რაც მოცემული ცხრილის ანალიზისას ყურადღებას იქცევს ისაა, რომ, როგორც მთლიანად რკინიგზისათვის, ისე სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვებისათვის დანახარჯების ძირითადი ნაწილი მუდმივ ხასიათს ატარებს და, მაშასადამე, დამოკიდებული არ არის ტვირთ და მგზავრობრუნვის მაჩვენებლებზე. მაგალითად, 2002 წლისათვის რკინიგზის მთლიან საექსპლუატაციო დანახარჯებში მუდმივი დანახარჯების წილად მოდიოდა 69,2%, 2003-ში -70,9%, ხოლო 2004-ში

კი 70,3%. შესაბამისი წლებისათვის იგივე მაჩვენებელი სატვირთო გადაზიდვებისთვის 68,2%-ს, 69,7%-ს და 69,5%-ს, ხოლო სამგზავრო გადაზიდვებისათვის კი 72,2%-ს, 74,5%-ს და 73%-ს შეადგენს.

მოლიან საექსპლუატაციო დანახარჯებში მუდმივი დანახარჯების ასეთი მაღალი წილი შესაბამის ასახვას პოულობს გადაზიდვების თვითღირებულებაში. საქმე იმაშია, რომ საექსპლუატაციო დანახარჯებში მუდმივი შემადგენლის არსებობისას გადაზიდვების თვითღირებულება, რომელიც TC/Q შეფარდებით მიიღება, ცვლადი სიდიდეა, დამოკიდებულია გადაზიდვების მოცულობაზე და ამ უკანასკნელის მიმართ კლებადია. ამასთან, თვითღირებულების გადაზიდვების ცვალებადობაზე დამოკიდებულების ხარისხსა და დიაპაზონს მნიშვნელოვანწილად მოლიან საექსპლუატაციო დანახარჯებში მუდმივის წილი განსაზღვრავს: რაც მცირეა ეს წილი, გადაზიდვების თვითღირებულება მით ნაკლებადაა დამოკიდებული გადაზიდვების მოცულობაზე, უფრო სტაბილურია მისი მნიშვნელობა და, მაშასადამე, არსებობს სტაბილური სატარიფო განაკვეთების შემუშავებისა და ამოქმედების საშუალება. ცხადია, საწინააღმდაგო სიტუაციას აქვს ადგილი მაშინ, როცა მოლიან საექსპლუატაციო დანახარჯებში მუდმივი დანახარჯების წილი ისეთი მაღალია, როგორც საქართველოს რკინიგზის რეალობაში. კერძოდ, საექსპლუატაციო დანახარჯებში მუდმივი დანახარჯების დაახლოებით 70%-იანი წილი (რაზეც ზემოთ მივუთოთ) იმის ნიშანია, რომ საქართველოს რკინიგზაზე ყოველწლიურად გადაზიდვების საშუალო თვითღირებულების ცვლილება ფართო დიაპაზონშია შესაძლებელი და სტაბილური სატარიფო სისტემის შემუშავება და დანერგვა, აგრეთვე, რკინიგზის ეფექტიანი ფუნქციონირება დიდმასტებიანი სამგზავრო და სატარიფო გადაზიდვების განხორციელებას მოითხოვს.

უდავოა, რომ მოლიან დანახარჯებში მუდმივი და ცვლადი ნაწილების გამოყოფა რკინიგზის საქმიანობის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციას იძლევა. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ცხრილ 2-ში მოცემული ინფორმაცია. მაგრამ არანაკლებ ღირებული და მნიშვნელოვანია

$$TC(Q) = FC + VC(Q)$$

ფუნქციის კონკრეტული სახის განსაზღვრა. ამ ფუნქციის ცოდნა საშუალებას იძლევა მიახლოებით დავადგინოთ თუ რა გავლენის მოხდენა შეეძლო საანალიზო პერიოდში ცვლად და მოლიან დანახარჯებზე გადაზიდვების მოცულობის ცვლილებას. როგორც წესი, ასეთი ფუნქციის აგება ეკონომეტრიკული მეთოდებით ხორციელდება. მაგრამ ამ მეთოდების გამოყენებისათვის საჭიროა მონაცემთა ფართო მასივი მოლიანი, მუდმივი და ცვლადი დანახარჯების შესახებ. აქვთ გვინდა აღვნიშნოთ, რომ, როდესაც ვისილავთ საექსპლუატაციო დანახარჯების გადაზიდვების მოცულობაზე დამოკიდებულებას, აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ რკინიგზაზე არ არსებობს ისეთი დანახარჯები,

რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და ნებისმიერ პირობებში უცვლელი იყოს. გადაზიდვების მოცულობის ცვლილების კვალობაზე, პრინციპში, უცვლელი დანახარჯი იცვლება, მაგრამ მათი ცვლილების ხასიათი და ხარისხი სხვადასხვაა. აქედან გამომდინარე, მუდმივი ნაწილის გამოყოფა მხოლოდ პირობითია, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს დანახარჯები უცვლელია დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გადაზიდვების მოცულობის გარკვეულ დასაშვებ ფარგლებში და რეინიგზის ფუნქციონირებისა და ექსპლუატაციის გარკვეულ, ანუ "სხვა თანაბარ პირობებში".

საქართველოს რეინიგზის შესახებ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია საშუალებას არ გვაძლევს ეკონომეტრიკული მეთოდით განვახულვროთ TC(Q) ფუნქციის კონკრეტული სახე, როგორც გადაზიდვების ჭრილში, ისე მთლიანად რკინიგზისათვის. მაგრამ ცხრილ 2-ში მოყვანილი მონაცემებით და გარკვეული დაშვებების გამოყენებით შესაძლებელია TC(Q) ფუნქციისათვის კონკრეტული სახის მიცემა მოკლევადიანი პერიოდისათვის. ამისათვის საჭიროა ინფორმაცია გადაზიდვის მოცულობის ამსახველი მაჩვენებლების შესახებ.

სატვირთო გადაზიდვების მოცულობის დახასიათებისთვის ძირითადად გამოიყენება ტვირთბრუნვის მაჩვენებელი. იგი რკინიგზაზე ტრანზიტით, იმპორტზე, ექსპორტზე და ადგილობრივად ყოველი გადატანილი ტვირთის რაოდგობის გადატანის მანძილზე გამრავლებით და შემდეგ მიღებული სიდიდეების შეკრებით გამოითვლება. აქედან გამომდინარე, ტვირთბრუნვის ზომის ერთეულს წარმოადგენს ტონა-კილომეტრი. 2002 წლისთვის ეს მაჩვენებელი საქართველოს რეინიგზაზე 4840.2 მილიონ ტ-კმ-ს შეადგენდა, 2003-ში ტვირთბრუნვა რამდენამდე გაიზარდა და 5232.1 მილიონ ტ-კმ შეადგინა. სამწუხაროდ, ტვირთბრუნვის ზრდის ეს ტენდენცია მოძდევნო წელში აღარ შენარჩუნებულა, უფრო ზუსტად, იგი 11,5%-ით შემცირდა და 2004 წლისათვის 4534.7 მილიონ ტ-კმ-მდე დავიდა, რაც ძირითადად ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვაზე ეკონომიკურად დაუსაბუთებელი ტარიფების შემოღებით იყო განპირობებული.

სამგზავრო გადაზიდვების ზომის მთავარ მახასიათებელს მგზავრთბრუნვა წარმოადგენს. მისი ზომის ერთეულია მგზავრ-კილომეტრი. მგზავრთბრუნვის მაჩვენებლის გასაანგარიშებლად გაითვალისწინება როგორც ადგილობრივ და საგარეუბნო მიმოსვლაზე, ისე პირდაპირ მიმოსვლებზე (შემოყვანა, გაყვანა, ტრანზიტი) რკინიგზის ტრანსპორტით გადაყვანილ მგზავრთა მთლიანი რიცხვი და ამ მგზავრების გადადგილების მანძილი. არსებული მონაცემების მიხედვით, 2002 წელში საქართველოს რკინიგზაზე მგზავრთბრუნვამ შეადგინა 400.6 მილიონი მგზავრ-კილომეტრი. მოძდევნო 2003 წელში მგზავრთბრუნვა 3,3%-ით შემცირდა და გაუტოლდა 387.4 მილიონ მგზავრ-კილომეტრს, ხოლო

2004 წელში რიგი მიზეზების გამო (რკინიგზის მუშაობის გაუმჯობესება, მგზავრთა მომსახურების ხარისხის ამაღლება, ამ სფეროში აღრიცხვიანობის მოწესრიგება და საქმიანობის ლეგალიზაცია) მგზავრთბრუნვა მნიშვნელოვნად (58%-ით) გაიზარდა და 614.0 მილიონი მგზავრილომეტრი შეადგინა. ცნობისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ 2002-2004 წლებში მგზავრთბრუნვის ძირითადი წილი ადგილობრივ მიმოსვლებზე მოდის. ამასთან, ეს წილი განხილულ პერიოდში იზრდებოდა და შესაბამისად შეადგენდა 96,6%, 97,2%, 98,4%-ს [7]. მთლიან მგზავრთბრუნვაში ადგილობრივი მიმოსვლის ასეთი მაღალი წილი და მისი ზრდის ტენდენცია საქართველოს რკინიგზის ჩაკეტილობაზე, მგზავრთა საერთაშორისო გადაზიდვებში მის ძალზე უმნიშვნელო მონაწილეობაზე მიუთითებს. ტვირთბრუნვისა და მგზავრთბრუნვის მონაცემები მოყვანილია ცხრილ 3-ში.

ცხრილი 3

საქართველოს რკინიგზის სატერიტო და სამგზავრო გადაზიდვების მაჩვენებლები 2002-2004 წლებში

	2002 წ.	2003 წ.	2004 წ.
გადაზიდული ტვირთი (ათასი ტონა)	14155,9	15168,7	14130,6
ტვირთბრუნვა (ათასი ტ-კმ.)	4840187	5232072	4534652
გადაჭვანილი მგზავრები (ათასი კაცი)	2136,116	2155,122	3021,811
მგზავრთბრუნვა (ათასი მგზავრ-კმ)	400630	387433	614016

ტვირთბრუნვის მნიშვნელობა აღვნიშნოთ **Q**_ტ სიმბოლოთი, ხოლო მგზავრთბრუნვის მნიშვნელობა **კი- Q**_მ სიმბოლოთი. განვიხილოთ მარტივი შემთხვევა და აპრილიულად დაგუშვათ, რომ საქართველოს რკინიგზაზე ცვლადი დანახარჯები VC ყოველწლიურად პირდაპირპორციულადაა დამოკიდებული შესრულებული გადაზიდვების მოცულობაზე, ეს დაშვება სამართლიანად მივიჩინოთ ერთდროულად სატვირთო, სამგზავრო და მთლიანად სარკინიგზო გადაზიდვებისათვის. აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ პირდაპირპორციულობის დაშვება განსაკუთრებით სამართლიანია მაშინ, როდესაც სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვები მთელი წლის განმავლობაში თანაბარზომიერად ხორციელდება.

ვთქვათ, სატვირთო გადაზიდვების ცვლადი დანახარჯებისათვის პროპორციულობის კოეფიციენტია $n_{სატ}$, ხოლო სამგზავრო გადაზიდვების ცვლადი დანახარჯებისათვის კი- $n_{სამ}$. მაშინ ცვლადი დანახარჯების განმარტებიდან გამომდინარე შეგვიძლია ჩაეწეროთ

$$VC_{სატ} = n_{სატ} \cdot Q_{ტ}, \quad VC_{სამ} = n_{სამ} \cdot Q_{მ}.$$

სადაც $VC_{სატ}$, $VC_{სამ}$ – სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების ცვლადი დანახარჯებია.

ცხრილ 2-ში და 3-ში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ადვი-
ლად გამოვითვლით $n_{\text{საგ}}$ -ს და $n_{\text{სამ}}$ -ს მნიშვნელობებს (იხილეთ ცხრილი
4). თუ ვისარგებლებით ამ კოეფიციენტებით, აგრეთვე, მუდმივი დანა-
ხარჯების შესახებ ცხრილ 2-ში არსებული ინფორმაციით, მაშინ
სამგზავრო და სამგზავრო დანახარჯებისათვის შემდეგ კონკრეტულ
ფუნქციებს მივიღებთ:

ცხრილი 4.

ზღვრული საექსპლუატაციო დანახარჯების კოეფიციენტები

	2002 წელი	2003 წელი	2004 წელი
$n_{\text{საგ}}$	0,01062	0,01099	0,01149
$n_{\text{სამ}}$	0,03794	0,04007	0,02322

ტკირთბრუნვაზე დანახარჯების ფუნქციები

$$\begin{aligned} TC_{\text{საგ}} &= 110149 + 0,01062 Q_{\text{გბ}} \quad (2002 \text{ წლისთვას}), \\ TC_{\text{საგ}} &= 132499 + 0,01099 Q_{\text{გბ}} \quad (2003 \text{ წლისთვის}), \\ TC_{\text{საგ}} &= 118706 + 0,01149 Q_{\text{გბ}} \quad (2004 \text{ წლისთვის}); \\ &\text{მგზავრთბრუნვაზე დანახარჯების ფუნქციები} \\ TC_{\text{სამ}} &= 39457 + 0,03794 Q_{\text{აგ}} \quad (2002 \text{ წლისთვის}), \\ TC_{\text{სამ}} &= 45395 + 0,04007 Q_{\text{აგ}} \quad (2003 \text{ წლისთვის}), \\ TC_{\text{სამ}} &= 38516 + 0,02322 Q_{\text{აგ}} \quad (2004 \text{ წლისთვის}). \end{aligned}$$

აქ მოყვანილი ფუნქციების ანალიზი საინტერესო ინფორმაციას იძ-
ლევა საქართველოს ოკინიგზის შესახებ. განვიხილოთ, მაგალითად,
ტკირთბრუნვაზე დანახარჯების ფუნქციებიდან ერთ-ერთი. თუ კონკრე-
ტულად შევჩერდებით 2002 წლის შესაბამის ფუნქციაზე, მის საფუძ-
ველზე პირობითად შეგვიძლია ვიმსჯელოთ არა მარტო იმაზე, თუ
როგორი იყო 2002 წელს ტკირთბრუნვის არსებული მოცულობის პი-
რობებში მუდმივი, ცვლადი და მთლიანი დანახარჯები; მოცემული
ფუნქციით გარკვეული წარმოდგენა შეგვიძლია შევიქმნათ, აგრეთვე,
იმაზე თუ როგორი იქნებოდა 2002 წელს აღნიშვნული დანახარჯები
ტკირთბრუნვის ხებისმიერი სხვა მნიშვნელობის შემთხვევაშიც. ანალო-
გიური თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ სხვა დანარჩენი ფუნქ-
ციებიც.

ყველა ამ ფუნქციაში განსაკუთრებით საინტერესოს ისაგ და ისამ
კოეფიციენტების რიცხვითი მნიშვნელობები წარმოადგენს. შინაარსობ-
რივად ეს კოეფიციენტები ზღვრულ საექსპლუატაციო დანახარჯებს გა-
მოხატავს, ანუ ახასიათებენ გადაზიდვის მოცულობის შესაძლო ცვლი-
ლების გალენის ხარისხს ცვლადი და მთლიანი დანახარჯების სიდი-
დეზე. თუ დაკუბრუნდებით, მაგალითად, 2002 წლის ტკირთბრუნვაზე

დანახარჯების ფუნქციას, მაშინ აქ წარმოდგენილი კოეფიციენტი $n_{\text{საგ}}=0,01062$ გვიჩვენებს, რომ მოცემულ 2002 წელს ტვირთბრუნვის ყოველი დამატებითი 1000 ტ-კმ-ით გადაიდებისას შესაბამისი ცვლადი და მთლიანი დანახარჯები გაიზრდებოდა დაახლოებით 10,6 ლარით. შედარებისათვის აღვნიშნოთ, რომ $n_{\text{საგ}}$ კოეფიციენტის ზემოთ მოყვანილი მნიშვნელობების თანახმად 2003 წელში ცვლადი და მთლიანი დანახარჯების ანალოგიური ცვლილება 11 ლარია, ხოლო 2004 წლისათვის $\approx 11,5$ ლარი.

მსგავსი ინფორმაცია მიიღება მგზავრთბრუნვის ფუნქციებიდან მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში უკვე დანახარჯებზე მგზავრთბრუნვის მოცულობის შესაძლო ცვლილების გავლენის ზომას ვაღდენთ. კერძოდ, კოეფიციენტები $n_{\text{საგ}}=0,03794$, $n_{\text{საგ}}=0,04007$ და $n_{\text{საგ}}=0,02322$ მიგვანიშნებენ იმაზე, რომ 2002, 2003 და 2004 წლებში მგზავრთბრუნვის დამატებითი 1000 მგზავრ-კმ-ით გაზრდას (შემცირებას) შესაბამისი (კვლადი და მთლიანი დანახარჯების დაახლოებით 38, 40 და 23 ლარით გადიდება (შემცირება) დასჭირდებოდა.

როგორც ვხედავთ, სამგზავრო გადაზიდვებზე ზღვრული დანახარჯები რამდენჯერმე (2002 და 2003 წლებში 3-ჯერ და მეტად) აღმატება სატვირთო გადაზიდვებზე ზღვრულ დანახარჯებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების ზღვრულ დანახარჯებს შორის არსებული ეს მნიშვნელოვანი განსხვავება შემთხვევითი არ არის. ტრადიციულად რკინიგზაზე (მათ შორის საბჭოთა კავშირის არსებობის დროსაც კი) სამგზავრო გადაზიდვები ბევრად უფრო ძვირი ჯდებოდა, ვიდრე სატვირთო გადაზიდვები. ეს კანონზომიერება ამჟამადაც გრძელდება, რის დადასტურებასაც საქართველოს რკინიგზაზე სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების საშუალო დანახარჯების, ანუ თვითდირებულების მაჩვენებლების შედარება იძლევა (იხ. ცხრილი 5).

ცხრილი 5
გადაზიდვების თვითდირებულება საქართველოს რკინიგზაზე 2002-2004 წლებში (ლარებში)

	2002 წელი	2003 წელი	2004 წელი
10 ტონა-კილომეტრი	0,3338	0,3632	0,3767
10 მგზავრ-კილომეტრი	1,3643	1,5723	0,8594

2002 წელში სატვირთო გადაზიდვის თვითდირებულება, ანუ დანახარჯი ტვირთბრუნვის 10 ტ-კმ-ზე (თვითდირებულების გამოთვლის დროს სატვირთო გადაზიდვებისათვის გადაზიდვის ერთეულად აიღება 10 ტ-კმ, ხოლო სამგზავრო გადაზიდვებისათვის კი 10 მგზავრ-კმ) შეადგენდა 33,4 თეთრს. მომდევნო ორ წელში სატვირთო გადაზიდვის თვითდირებულება რამდენადმე გაიზარდა და შეადგინა 2003-ში 36,3 თეთრი, 2004-ში 37,7 თეთრი. ზრდის მიუხედავათ სატვირთო გადაზიდვების თვითდირებულება სამგზავრო გადაზიდვების თვითდირებულების (ანუ

10 მგზავრ ქმ-ს საშუალო დანახარჯის) ფონზე ურიგოდ არ გამოიყურება. ეს უკანასკნელი 2002 წელს შეადგენდა დაახლოებით 1 ლარსა და 36 თეთრს, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ წელში საქართველოს რეინიგზაზე 1ქმ-ზე 10 მგზავრის გადაყვანა 4-ჯერ ძირი დაჯდა, ვიდრე 10 ტონა ტვირთის გადაზიდვა. 2003 წელში სამგზავრო გადაზიდვების თვითღირებულება კიდევ უფრო გაიზარდა და 1 ლარი და 57 თეთრი შეადგინა, მაგრამ, რადგანაც ამავე წელში პარალელურად ადგილი პქნენდა სატვირთო გადაზიდვების თვითღირებულების ზრდას, თანაფარდობა სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვების თვითღირებულებებს შორის თითქმის უცვლელ დონეზე დარჩა².

თვითღირებულებების თანაფარდობაში მნიშვნელოვანი ძვრა მოხდა 2004 წელში - სამგზავრო გადაზიდვების თვითღირებულება წინა წლების თვითღირებულებებთან შედარებით 1.5-ჯერ და უფრო მეტად შემცირდა და 10 მგზავრ-ქმ-ზე შეადგინა 85,94 თეთრი. მაშასადამე, 2004 წელს სამგზავრო გადაზიდვების თვითღირებულება წინა წლის ახალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 71,29 თეთრით შემცირდა. ერთწლიანი პერიოდისათვის ეს ძალიან სერიოზული ცვლილებაა და ამაში თავისი როლი ითამაშა, როგორც სამგზავრო გადაზიდვებზე მოლიანი საექსპლოატაციო დანახარჯების შემცირებამ (შეგახსენებოთ, რომ 2004 წელში სამგზავრო გადაზიდვებზე მოლიანმა საექსპლუატაციო დანახარჯებმა წინა წლის მაჩვენებლის მხოლოდ 86,6% შეადგინა), ისე მგზავრთბრუნვის უპრეცედენტო-58%-იანმა ზრდამ. მაგრამ, რომ გავარკვიოთ ამ ორი ფაქტორიდან თითოეულის წვლილი სამგზავრო გადაზიდვების თვითღირებულების მოლიან შემცირებაში, საჭიროა მივმართოდ ფაქტორულ ანალიზს და მისი ერთ-ერთი მეთოდით დანახარჯების შემცირებით და მგზავრთბრუნვის გადიდებით გამოწვეული ეფექტების მნიშვნელობა განვსაზღვროთ. მაგალითად, ფაქტორების შეფასების განსაზღვრის ინტეგრალური მეთოდის [5], ანუ ეილერ-ლაგრანჯის მეთოდის საფუძველზე (ეს მეთოდი ფაქტორული ანალიზის სხვა მეთოდებთან შედარებით მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ყველაზე მეტადაა მისაღები, რადგანაც რეინიგზაზე, როგორც წესი, საექსპლუატაციო დანახარჯების და მგზავრთბრუნვის ცვლილების პროცესი წლის განმავლობაში თანდათანობით მიმდინარეობს) ვდებულობთ, რომ 2004 წელში სამგზავრო გადაზიდვებზე საექსპლუატაციო დანახარჯების შემცირებამ თვითღირებულებების მხოლოდ 1,66 თეთრით შემცირება გამოიწვია. დანარჩენი 69,63 თეთრით კლება კი მგზავრთბრუნვის გადიდების შედეგია.

². შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ რუსეთის ფედერაციაში მგზავრ-კილომეტრების და ტონა-კილომეტრების თვითღირებულებათა თანაფარდობა 1998 წელში 2.59, ხოლო 1999 კი 3.16-ს შეადგნდა [1, გვ. 59].

ჩვენი აზრით, 2004 წელში მგზავრთბრუნვის მაჩვენებლის 58%-იანი ზრდა განპირობებულია უფრო მეტად რკინიგზაზე აღრიცხვიანობის გაუმჯობესების და საქმიანობის ლეგალიზაციის პროცესებით, ვიდრე მგზავრთნაკადების რეალური ზრდით. თუ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ ფაქტორული ანალიზის ზემოთ მოყვანილ შედეგზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2002 და 2003 წლებში სამგზავრო გადაზიდვების თვითდირებულება საქართველოს რკინიგზაზე რეალურად იმაზე გაცილებით ნაკლები იყო ვიდრე ამას ცხრილ 5-ში წარმოდგნილი მნიშვნელობები გვიჩვენებენ.

